

კრებული საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის  
ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფო-ზე» გამოქვეყნებული  
მასალების საფუძველზე მომზადდა.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა  
და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის  
ძველი და ახალი ამბები.

გამოსაცემად მომზადდა ეროვნული ბიბლიოთეკის  
გამომცემლობის განყოფილებაში.

ლიტერატურული საუბრები

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### საუბრები:

ლიტერატურული მრგვალი მაგიდა “ებლიტფოზე”.

ქალის ნაწნავი და გველი.

როგორ ვმუშაობ ლექსზე.

ლექსი რომელიც არ გამოვიდა.

ახალი სახელები.

შეხვედრა ნინო დარბაისელთან.

თავისუფალი ვარ.

არამედ რაღაც სხვა.

მე თქვენ მიყვარდით.

კონცეპტუალური — პოეზია.

### პირისპირ:

როგორ და – პირისპირ – და ორი მეგობარი.

### მონოლოგი:

რუსუდან კაიშაურის “ცოცხის მონოლოგი”.

### ინტერვიუები:

ნინო სილაგაძესთან.

(ვ) ანუცასთან.

## « ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ რ გ ვ ა ლ ი მ ა გ ი დ ა » ე ბ ლ ი ტ ფ ო ზ ე

*ეს საუბარი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე», სპონტანურად, წინასწარი მზადებისა და შეკითხვების გარეშე შედგა.*

*დაიწყო პოეზიაში რიტმის ფუნქციაზე საუბრით და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მოიცვა. საუბრისას მნიშვნელოვნადწილად გამოყენებულია ამონარიდები თომაზ სტენზ ელიოტის წიგნიდან – «ათი ესეი», რომელიც თარგმნეს და წინასიტყვა დაურთეს როსტომ და პაატა ჩხეიძეებმა. მოდიალოგენი, ამ თავისუფალ ფორმატში ისეთ თემებს მიუბრუნდნენ, რომელთა გახსენება თუ შეხსენება სავალდებულოდ მიიჩნიეს. აქ იკვეთება ერთი თეზა, მრავალს რომ სადაოდ გაუხდია, კერძოდ კი ის პრინციპი, რომ «რაიმეს» შეცვლა ან ჩანაცვლება ლიტერატურაში, უნდა მოხდეს იმ «რაიმეს» ღრმა ცოდნისა და ათვისების შემდეგ. არსებობს ალტერნატიული დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც მოსაუბრეთა ერთი ნაწილი არ იზიარებს.*

*ვიმედოვნებთ, რომ პოეზიის მოყვარულები ინტერესით გაეცნობიან ამ საუბრის ბეჭდურ ვერსიას.*

**გივი ალხაზიშვილი:** ბოლო დროს, ქართულ კონვენციურ ლექსში ლამის დაკანონდა პირობითი სარიტმო წყვილების გამოყენება. თანანას ლექსი ამ თვალსაზრისითაც არის საყურადღებო. განწყობილება, რასაც იგი გადმოგვცემს, უფრო დღიურული ჩანაწერია და ამაში მე ვგულისხმობ გულღიანობის ხარისხს, რომელზეც არის მინდობილი მთელი ლექსი.

ვფიქრობ, მხოლოდ გულწრფელი წუხილი არ არის საკმარისი მხატვრული ტექსტისთვის და ლექსის ნაკლიც ესაა.

ბახმანს სიკვდილის მერე გამოუქვეყნეს მანამდე დაუბეჭდავი ლექსი, ისიც სიბერეს ეხება, რომელიც იმდენად შთამბეჭდავია, რომ დღემდე მახსოვს.

თვითონ თემა ისეთი, რომ როგორმე ბანალობას უნდა ასცდეს ავტორი.

თანანას ტექსტი პირდაპირია და აღმსარებლური, მაგრამ არასაკმარისია ჩემთვის შესრულების თვალსაზრისით. ალბათ ამის მიზეზი ისიცაა, რომ წარმოდგენა არ აქვს რა არის სიბერე, მეც მასზე საგრძნობლად უფროსმაც ხეირიანად არ ვიცი, რა არის სიბერე, რომელზეც ჰესე თავის დროს წერდა, რომ «ყოველ ასაკს აქვს თავის ხიბლი»//.

**თანანა:** ბატონო გივი, გმადლობ ჩემი ლექსის საფუძვლიანი შეფასებისთვის. აუცილებლად გავითვალისწინებ თქვენს შენიშვნებს. თუმცა, ვერ დავეთანხმები თქვენს მოსაზრებას ჩემს მიერ სიბერის ცოდნა-არცოდნაში. სიბერე ყველას სხვადასხვა ასაკში უკავუნებს კარს და მისი ჩამქრალი მზერის აღქმაც ისეთივე ინდივიდუალურია, როგორც თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრება...

**გივი:** თანანა, ცოტა მკვახედ მომივიდა იმის თქმა, რაც სხვაგვარად უნდა მეთქვა.

ჯერ სიბერემდე შენთვის ძალიან შორია და ასე შორიდანაც კი უფროთხი იმას, რაც გარდაუვალია.

გულწრფელად გეტყვი, მე რამდენჯერმე მეგონა, რომ დავბერდი - 40, 50 და 60 წლის ასაკში, მაგრამ სამივეჯერ ცრუ განგაში აღმოჩნდა.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ თემაზე ლექსი არ დაიწეროს, პირიქით, უნდა დაიწეროს, მაგრამ ლექსში მთავარი უნდა იყოს პოეზია, როგორც შენს სხვა ლექსებში და არა მხოლოდ ასაკის მატებით გამოწვეული წუხილი.

**გივი:** «დაჟინება იმისა, რომ პოეტი უნდა იყოს თვითნება და განუსჯელი, რომ იგი უნდა დაეყრდნოს მხოლოდ შთაგონებას და უარყოს ტექნიკა, იქნებოდა ლაფსუსი, რაც დიად ცივილიზებულ ურთიერთობას ბარბაროსობად აქცევდა... ეს საკითხი დიდად არ აწუხებდა ჩემს გონებას, ვიდრე არ გავიაზრებდი, რომ პოეტის თეორია უნდა წარმოიშვას მისი პრაქტიკიდან და არა პრაქტიკა თეორიიდან... \_ თომას ელიოტი, «ედგარ პოდან პოლ ვალერიმდე» (თარგმნეს და წინასიტყვა დაურთეს როსტომ და პაატა ჩხეიძეებმა.).

«ელიოტის წარმოდგენა, რომ რიტმის გრძნობა არის «აზროვნების ღრმა შემეცნებით ფენაში», ნათელს ხდის თუ რას გულისხმობდა, როცა «ღვთაებრივ კომედიასთან» დაკავშირებით» \_ მატისენი, «როგორ უკავშირდება პოეტის აზრი მსმენელის წარმოსახვას».

«სტილი, რიტმი, რაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს და მნიშვნელოვან გონებასაც წარმოაჩენდეს, უნდა შეიქმნას ახალი შინაარსისთვის ახალი ფორმის საჭიროების გამო» \_ ელიოტი.

**გივი:** რა ძალა ადგა ელიოტს ამდენს რომ ფიქრობდა პოეზიის რაობასა და პოეტიკის საკითხებზე, ანდა რა რჯიდა ეზრა პაუნდს მუსიკისა და პოეზიის არსში ჩაძირულიყო და დაეწერა უმნიშვნელოვანესი წიგნები?! აქ აღარ გავაგრძელებ ჩამოთვლას და აღარც პოლ ვალერის ლიტერატურულ მიებებს შევხები და არც იეიტის «ვიზიონებს». დარწმუნებული ვარ, რომ ბანალური მოსაზრება «მეწერება» და «ვწერ» სულაც არ არის საკმარისი რაიმე ღირებული ტექსტის შესაქმნელად და

ამგვარი დამოკიდებულება ფსევდოავტორის თვითმომსახურებაა და არა სერიოზული ლიტერატურა.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, არც ერთ ქართველ პოეტს არ აქვს ასეთი ღრმა კვლევები პოეტიკაში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დარგში, ჩვენში, ტრადიცია მოიკოჭლებს და წყდება ჯერ კიდევ რუსთველთან. ამიტომ ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ სხვათა გამოცდილების შესწავლას, ათვისებას და განვითარებას ქართულ სინამდვილეში. აი, ეს გააკეთა გალაკტიონმა, როცა შეძლო ევროპული პოეზიის მიღწევების უაღრესად ბუნებრივად გადმონერგვა და ქართულ ტრადიციაზე «დამყნობა». მაგრამ ახლა სხვა პრობლემები ჩნდება და სხვა რიტმებსა და ფორმებს მოითხოვს რეალობა და არა სრულ ანარქიას, უფორმოებას და ურიტმოებას და უშინაარსობას და უ...

**ანა:** ეგებ, მაინც გაგეგრძელებინათ, ცოტა მაინც..

**ჰექსე:** ძალიან ხშირად მიფიქრია ამაზე.

მგონია, რომ ის, რასაც სინამდვილეში ეს დიდი სიტყვა – პოეზია – ჰქვია, ამ «მეწერებათი» მხოლოდ იწყება – და არსებობას კი განიმტკიცებს ავტორისეული დამოკიდებულებით, როგორც წერის პროცესის, ასევე «პროდუქტის» მიმართ.

ის განცდა, რომ ხანდახან საკუთარ «მეწერებასაც» უნდა აჯობო, ანუ ერთი შეხედვით თუ შეხებით რაც არის, მხოლოდ ის არა – მაქსიმუმი უნდა მოსთხოვო, თუ გინდა, რომ განვითარდე. არა, განვითარებაც უფრო მაღალი საფეხურია – თუ გინდა, რომ უბრალოდ იარსებო, როგორც «დამწერმა». შემოქმედებითობა მართო ინსტინქტი არ არის – არამედ, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობაა.

რომ «წერის» დროს სიტყვები გაბარია და სიტყვა კი «პირველად იყო», ამ დროს «ზე» ხარ, არ გაქვს უფლება, დააღალატო.

რომ ერთდროულად საკუთარ თვითობაშიც უნდა დარჩე და გახსნილიც უნდა აღმოჩნდე იმათთვის, ვინც კითხულობს – სხვა მხრივ შემოქმედება თავის პირველად აზრს თუ დანიშნულებას კარგავს და – ვეთანხმები გივის – «თვითმომსახურებად», მე ვიტყვოდი, ზოგჯერ თვითთერაპიადაც გადაიქცევა. აქ იმის თქმაც მინდა, რომ ამ თვითმიმართებასაც, ცხადია, აქვს არსებობის უფლება და თავის ფუნქციას ასრულებს კიდევ, მაგრამ სასაცილო და გამაღიზიანებელიც კი ხდება, როცა «სხვა» პრეტენზიებიც გამოერევა.

და რა კუთხიდანაც არ უნდა შეხედო, დრო და მკითხველი (მკითხველი – ამ სიტყვის ზუსტი და არა ზოგადი მნიშვნელობით), ალბათ მაინც შეუმცდარია. ამ ორს ვერ მოატყუებ.

**გივი:** ....თითქოს მოულოდნელია პოეზიაში ამგვარი ინტერესების გაჩენა ძველი ლიტერატურული სკოლების მიმართ, მაგრამ, როგორც ნესტეროვი წერს «ინოსტრანნია ლიტერატურა»-ს ერთ-ერთ ნომერში, როცა მიმოიხილავს ამერიკული უნივერსიტეტების ლიტერატურულ წრეებში მიმდინარე პროცესს, აღნიშნავს – რომ მკაფიოდ შეინიშნება გასული საუკუნის დასაწყისში არსებული ლიტერატურული მიმდინარეობების ესთეტიკით, «გლეხურად რომ ვთქვათ», გაცხოველებული დაინტერესება. რას უნდა ნიშნავდეს ეს ფაქტი, პოსტმოდერნული ძიებებით თავის შექცევას თუ მოყირჭებული ერთფეროვნებისა და სულიერი გამოფიტულობისგან გაქცევის მცდელობას?! ეს ტენდენცია მრავალმხრივ არის საინტერესო და დასკვნების გამოტანა ნაადრევია.

შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთ პოეზიის აღმანახში, სადაც ზბიგნეჲ ჰერბერტის /თარგმანები/ და ეშბერიც არის დაბეჭდილი, გამოქვეყნდა ერთი აზიელი ინგლისურენოვანი პოეტის ლექსები დახელის სტილში შესრულებული. ამ პუბლიკაციამ თურმე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ამის მიზეზი ლექსების მონატრებული კონვენციურობა იყო, რაც მეტად დამაფიქრებელია.

«რიტმი მიანიშნებს პოეტის განსაკუთრებულ კავშირზე წარსულსა და აწმყოსთან, ორმაგ ფლობაზე «ყველაზე უძველესი და ყველაზე ცივილიზებული აზროვნებისა», იმაზე, რომ მან იცის ბგერის პრიმიტიული ჯადოსნობის არსებობა, რაც დაკავშირებულია პოეტურ იმპულსთან, თანადროული ცხოვრებიდან რომ მომდინარეობს. ამიტომ რიტმმა ხორცი უდა შეასხას მძაფრ გრძნობას სიტყვათა მუსიკალობითაც და მათი მრავალფეროვანი შინაარსითაც» – ფრენსის ოტო მატისენი, (წიგნიდან თომას ელიოტი, «ათი ესეი»).

მატისენი საუბრობს ელიოტის დამოკიდებულებასა და მოსაზრებებზე, კერძოდ კი – პოეზიაში რიტმის ფუნქციის შესახებ. აქ საინტერესოდ იკვეთება რიტმში «ორმაგი ფლობის» არსებობა, ანუ წარსულისა და აწმყოს შენივთება, რომ პოეტის რიტმი მოიცავს «ბგერის პრიმიტიულ ჯადოსნობას», რითაც იგი ხსოვნის შემნახველია და ასევე თანამედროვეობითაც საზრდოობს, და ეს ყველაფერი პოეტურ იმპულსში ცოცხლობს, როგორც «ორმაგი ფლობის» ბუნებრივი ერთობლიობა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რიტმის უარმყოფელი ლექსმწერი, შეგნებულად თუ შეუგნებლად უპირისპირდება «ორმაგი ფლობის» უნივერსალურ შესაძლებლობებს და უარს ამბობს პოეტურ იმპულსზე. ასე დაიწყო ქართული პოეზიის ერთმა ნაწილმა ანტიპოეზიაში გადასვლა და საკუთარი გამოცდილების ახალ ეტაპად გამოცხადება, მერე კი მისი დამკვიდრება და ეს ყოველივე ხდება პროსოდის სრული იგნორირების, აუთვისებლობის, ზოგადად, პოეზიაში მუსიკის არსებობის უარყოფის, უფრო კი ვერფლობის ხარჯზე, ასევე საკუთარი სისუსტის ორიგინალურობასთან გაიგივების პრეტენზიით.

ტრადიციის აუთვისებლობა ისეთივე ნაკლია, როგორც მისი გადამღერება და უაზრო კაკაფონია. სხვა გზებია საძებნი და ეს სხვა გზები იკვეთება გამოცდილების სრული ათვისების შემდეგ, ახალ ალტერნატივაში, ახალ რიტმებსა და ფორმებში, არსობრივად ახალ ტროპში, ახალ თემატიკასა და ინტონაციურ მახვილებში, ახალ სინტაგმებში და არა უფორმო სიტყვიერი ნანგრევების შენობებად გასაღებაში.

**ანა:** საინტერესოა.

სულ მაინტერესებს, როცა რამის უარყოფა ხდება, როგორც აღნიშნეთ, შეიძლება იყოს მისი «ვერფლობა»... თუმცა, იქნებ «ვერფლობა», საკმარისი მიზეზია ამ «რაღაცის» მნიშვნელობის შემცირების ინდიკატორად?

ცხადია, კონკრეტულად არ ვეხები «რიტმის» თემას, უბრალოდ, განზოგადოების ფონზე...

დავუშვათ, რომ ასე არაა...

და «ვერფლობა» არის ინდიკატორი ფუნდამენტური ღირებულების «ვერწვდომის»...

მაშინ, ხომ არ გგონიათ, რომ პოეზია გადადის მეცნიერების რეგისტრში?

ამ უკანასკნელში, «ვერწვდომა» უკვე წარუმატებლობაა, მაშინ როცა, პირველში, ჩემი მორიდებული აზრით, შესაძლებლობის მიხედვით წვდომა, უბრალოდ, ინდივიდუალიზმია.

არ ვიცი, ხელოვნება რა პროპორციით მოიცავს ინდივიდუალისტურ ასახვას და «დამკვიდრებული ღირებულებების კატეგორიებით» ასახვას... იქნებ, ორივე ფორმაა და თითოეულის გამართლებულობა ფუნქციური კუთხით უნდა შეფასდეს?

ეს ფიქრები კი მარტივად, იმ მიზეზით წამოვიდა, რომ ჩემთვის ადამიანთა ნებისმიერ აქტივობას (მაგ. რიტმის უარყოფას) ყოველთვის აქვს არსებობის უფლება. და უფრო მაინტერესებს ხოლმე, რატომ მოუწიათ ამის გაკეთება, ვიდრე ის, რომ გააკეთეს. როგორც ჩანს, მაინც დიდი დინამიკაა თქვენს ფლანგზე ხელოვანებო, ჩვენთანაც...

**P.s.** და როგორც ინტერაქციული თეორიების მომხრე (ქაოსის პრინციპით), ისიც მაინტერესებს, რა კონტექსტუალურ პირობებში ხდება კონკრეტული ფაქტები – «რიტმის უარყოფა», ამ შემთხვევაში...

არც ის მგონია, რომ ინდივიდუალური ნიჭიერი ადამიანები კონტექსტიდან ამოვარდნილები ვითარდებიან.

და, ნეტავ რა იყო ეს პირობები?

**ნატა:** რენე შარის «ნუგეში» წავიკითხე ფრანგული პოეზიის ანთოლოგიაში და ვთქვი – პროზაა.

მაგრამ... წავიკითხე, დავხურე წიგნი, ქუჩაში გამოვედი და, მაგრამ...

ის ამღერდა ჩემს სხეულში...

ხო.

ის პროზა-ლექსი ამღერდა ჩემში. გახმოვანდა-ახმიანდა.

«ჩემი სიყვარული ქალაქში დადის და ის სულაც არ არის ჩემი» – აი, ახლაც მახსოვს.

«რიტმი მიანიშნებს პოეტის განსაკუთრებულ კავშირზე წარსულსა და აწმყოსთან, ორმაგ ფლობაზე «ყველაზე უძველესი და ყველაზე ცივილიზებული აზროვნებისა», იმაზე, რომ მან იცის ბგერის პრიმიტიული ჯადოსნობის არსებობა, რაც დაკავშირებულია პოეტურ იმპულსთან, თანადროული ცხოვრებიდან რომ მომდინარეობს. ამიტომ რიტმმა ხორცი უდა შეასხას მძაფრ გრძნობას სიტყვათა მუსიკალობითაც და მათი მრავალფეროვანი შინაარსითაც». გივი ალხაზიშვილის ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა.

მოვინიშნე: პოეტის რიტმი, რიტმის უარყოფელი ლექსმწერი, «ორმაგი ფლობა», ტრადიციის ათვისება.

ერთი კი ზუსტად ვიცი და მწამს, ლექსში მუსიკის შეგრძნება, რომელსაც რიტმი იწვევს, ლექსს დაუვიწყარს ხდის, რასაკვირველია, რიტმის გარდა სხვაც თუ იკითხება მასში.

**გივი:** ანა, მეტად საინტერესო განსჯაა. ბევრჯერ მიფიქრია ამ საკითხზე და შორი გზა რომ არ მოვიარო, მარტივად დავასკვნი, რომ მე არ ვაკნინებ არცერთ მიმართულებას თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მაგრამ მიუღებელია ჩემთვის, ახალი დინების ერთადერთ და შეუმცდარ მიმართულებად გამოცხადება. ნებისმიერი სიახლე, თავისთავად, კარგი ან ცუდი ვერ იქნება, მიუხედავად ფორმალისტური

სხვაობისა. უბრალოდ, «ახალი ეტაპის» დამწყებმა თუ დამჩემებელმა, ეს ყოველივე უნდა დაამტკიცოს პრაქტიკით და არა თვითმიზნური თეორიებით, რომლის განხორციელებასაც ვერ ახერხებს. დაწუნება «რაიმესი» არ უნდა ხდებოდეს «რაიმეს» ვერფლობის გამო და შესაბამისად, არც იმის ზიზღი უნდა გქონდეს, რაც ვერ აითვისე. უარყოფა და განვითარება იწყება მას მერე, როცა რაიმეს აითვისებ. ვერც უარყოფ და ვერც განავითარებ იმას, რაც არ იცი.

ნატა, არსებობს ლექსი პროზად და ამ ფორმას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აბა დაფიქრდი, ნატა, რატომ ჰქვია ლექსი პროზად და არა უბრალოდ ლექსი?

იქაც კი «მუშაობს» რიტმი, მაგრამ არის სხვაობა ევროპულ და ქართულ ენებს შორის. ევროპულში მახვილი ძლიერია, ქართულში სუსტი. ქართულში რიტმის შესანარჩუნებლად სხვა გზაა საძებნი. ფაქტობრივად იგი მოძებნილია. ბარნოვის პროზაში რიტმი მკვეთრია, მაგრამ ახლა პროზაზე არ ვისაუბრებ. რიტმი არსებობს ზეპირმეტყველებაში, ცხადია პროზაშიც, ჩვენი ცხოვრების წესში და არ გაგეცინოთ – სიყვარულში, სასიყვარულო ქმედებებში. ეს არის სიცოცხლის ხმა, უმთავრესი იმპულსის ხმა, სააზროვნო სიტყვების უღრმესი შრეებიდან წამოსული.

არ გამოვრიცხავ, ანას შეკითხვებს ისევ დავუბრუნდე, რადგან მის კითხვებში მრავალი პრობლემა იკვეთება. თუმცა მათზე საუბარი ძალიან შორს წამიყვანს და კულტუროლოგიაში მომიწევს გადაპარვა, ამის სურვილი კი არ მაქვს.

**ანა:** თუ სურვილი გაგიჩნდებათ, გავაგრძელოთ...

თქვენს პოსტს ჩავყვებოდი ღრმად...

ძალიან საინტერესო იყო...

მე რომ ვიყო იმ ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც «რიტმს» უარყოფს.. რა განცდები, რა კოგნიციები, დასაბუთებები მექნებოდა.. აი, ეგ მაინტერესებს..

თქვენ რომ იყოთ?

შეგიძლიათ მათი პოზიციიდან, რომ მითხრათ რამე?

ძალიან მაინტერესებს... ალბათ, ბევრჯერ გისაუბრიათ მათთან.

ისე ხომ არ იქნება, რომ იცოდნენ, რომ «რიტმი» კარგია და საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ? ასე ვერ იქნება, იმ კონკრეტულ შემთხვევებში მაინც, როცა რიტმის უარყოფა არჩევანია და არა იძულება...

და, რატომ გამოვრიცხოთ, რომ არჩევანიც შეიძლება იყოს? რადგან არ არსებობს უნივერსალური კატეგორიები (თეთრი და შავი), ასევე, უნივერსალური სიმართლევები – თითქოს, იქნებ, არსებობს? აი, ეს მაინტერესებს.

მე სიამოვნებით ვილაპარაკებდი მათ მაგივრად, უბრალოდ არგუმენტები არ მყოფნის...

**P.s.** ამ შეკითხვას საფუძვლად უდევს არგუმენტი, რომ «ვერფლობა» არ იქნება განცხადებული სუბიექტისთვის.. მაგრამ, «ვერფლობის» შედეგი იმდენად ცხადია ხოლმე, რომ ობიექტური რეალობა გვაიძულებს ვაღიაროთ.

ადამიანს რომ ეგონოს, რომ ვერ ფლობს (ვერ მართავს მანქანას), მეტი ალბათობით, არ გაწირავს თავს, პრინციპში, არც მე დავეუკრავ არფაზე. მაშინ რა ხდება?

ხომ არ შეიძლება ამდენი ხალხი ერთად «უკრავდეს არფაზე», «ვერ ფლობდეს» და ვერ ხვდებოდეს?

არარაციონალურია.

**ჰექსე:** არჩევანი? არ ვიცი. არჩევანი ალტერნატივას გულისხმობს და აქ უკვე გვინდა თუ არ გვინდა, «ფლობას» უნდა შევვებით – ამიტომ მე პოზიციას დავარქმევდი.

პოეზიის ახლებური გადააზრება, მისი – უხეშად რომ ვთქვათ – ფუნქციის ჩათვლით: ნებისმიერი «ფორმალისტური» წახნაგი არასაჭირო კომპრომისად განიხილება, ლექსი – მხოლოდ კონცეპტუალურ წარმონაქმნად, რომელიც კი არ უნდა მიიღო, არამედ, ხშირ შემთხვევაში, «ამოიცი».

რიტმი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კონვენციური ელემენტი – კეთილხმოვანებისთვის გაღებული ხარკია, უფუნქციო, «მხოლოდ საკუთარი თავისთვის» არსებული და შესაბამისად – ზედმეტი.

კიდევ არგუმენტი: თანამედროვეობის ქაოტური სინამდვილე დისონანსში მოდის ნებისმიერ, თუნდაც «შინაგან» რიტმულ მონახაზთან. სიმღერის დრო გავიდა, ახლა ამოყვირების, ამოჩხაპნის, ამოფურთხების დროა – საკუთარ შეგრძნებებს მინდობილი, ინტუიციისა და ბუნდოვანი არქექტიპული ასოციაციების ანაბარა ხარ მიგდებული ამ სამყაროში, სადაც მაღალი ინსტანციის კარები საიმედოდ არის ჩარაზული და კეთილი ინებე – პოეზიაშიც (რომელიც ასევე აღარ არსებობს, ანუ – პირობითად პოეზიაშიც) ამ კანონებით იარსებე.

**გივი:** მე ვიყავი მსგავსი ჯგუფის (რომელიც «რიტმს» უარყოფს) წევრი სამოცდაათიან წლებში, მაგრამ მაშინ სხვა ვითარება იყო. ვერლიბრისტები, როგორც ერთმა სახელოვანმა პოეტმა დაბეჭდა, ანტიპოლიტიკურები არიანო. გავვითახეს კომკავშირის ცეკვას ყრილობაზე თუ პლენუმზე. წინა თაობა დაცინვით გვიყურებდა. მაშინ ერთმანეთს უპირისპირებდნენ კონვენციურ და არაკონვენციურ ლექსს და ეს დავა სისულელემდე მივიდა. მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. საბჭოეთის დაშლის შემდეგ გაჩნდა ავანგარდული სურვილები და ტექსტები ლიტერატურაში, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო. ტრადიციული ლექსი ბევრის ხელში უნიჭო კაკაფონიად იქცა. მართლაც გადასახედი და შესაცვლელი იყო არა მხოლოდ ფორმა, არამედ «შიგთავსი». ცვლილებები დაიწყეს ავტორებმა, რომლებიც მანამდე სუსტ კონვენციურ ლექსებს წერდნენ ან მოგვიანებით სცადეს დაწერა და არ გამოუვიდათ. ძველი ოსტატები, სამწუხაროდ, იგივეობის ნაირსახეობას სთავაზობდნენ მკითხველს, თითო-ოროლას გამოკლებით.

მათი სურვილი სრულიად საფუძვლიანი და გამართლებული იყო და არის.

მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, არა მათი ნოვაციების აქტიური დანერგვის სურვილი, არამედ ტრადიციის უგულვებლყოფა, მისი დამღვევის გარეშე.

მათ ადგილზე რომ ვიყო, ვიტყოდი, რომ საერთოდ არაა საჭირო ტრადიციის პრაქტიკული ცოდნა, საკმარისია თეორიული მინიმუმები კი და დასავლური გამოცდილების გადმოღება და იმ შეხედულების გაზიარება, რომ არაა აუცილებელი კლასიკის ათვისება, რადგან შესაძლებელია ისედაც წერო, რაც და, როგორც გინდა. თავს იჩენს ის ტენდენციაც, რომ დასავლეთში კულტუროლოგიამ კარგა ხანია დაიწუნა მეტაფიზიკა და მეტაფიზიკოსი პოეტები, ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს ნიცშესეული «ღმერთი მოკვდა» და, როგორც დოსტოევსკი ამბობდა, ჯერ კიდევ როდის, რადგან ღმერთი მოკვდა ყველაფერი დასაშვებია... ასე და ამგვარად მოკვდა ავტორიც, ცხადია, თუ ღმერთი მოკვდა, ავტორიც უნდა მომკვდარიყო და შესაბამისად – მკითხველიც. დავით ჩიხლაძე რომ წერდა «პოეზია



მოკვდაო», ამაზე მიანიშნებდა. ეს პოზიციაა და არა უბრალო შეხედულება, რომ ტრადიციიდან კი არ უნდა განვითარდეს ახალი პოეზია, რადგან ისიც მკვდარია, არამედ უნდა შეიქმნას ახალი ტრადიცია ახალი კულტუროლოგიური აღმოჩენების მიხედვით. აქ შეგნებულად არ დავწერე «ესთეტიკა», რადგან ერთი ჩემი კოლეგისთვის «გლახურად» ჟღერს.

ყოველივე ამას დაემატა დერიდასეული დეკონსტრუქცია, რომელიც დაიწყო ჰელიოცენტრიზმისა და ეთნოცენტრიზმის დეკონსტრუქციით და დასრულდა დეკონსტრუქციული ლოგოცენტრიზმით.

ვინც ზედაპირულად მაინც ჩახედულია ქრისტოლოგიაში, სწრაფად მიხვდება – რას ნიშნავს ეს.

ეს უკვე ფასეულობათა დაპირისპირებაა და არა რიტმისთვის დავა. მემარცხენე კულტუროლოგებს, ზოგიერთ მათგანს, დათოს/ წაკითხული და მგონი შესწავლილიც აქვს, მაგრამ უმრავლესობა ფეხისხმას აყოლილია და ხეირიანი ფილოლოგიური განათლებაც არ მიუღია.

მიუხედავად ჩემი მოსაზრებისა, უნდა ვაღიარო რომ ასეთი მიმდინარეობა უნდა არსებობდეს და არსებობს კიდევ, მაგრამ უცნაური და გამაღიზიანებელია აგრესია, რაც ფსევდოსნობურ დაჯგუფებიდან მოდის.

**ანა:** ჰექს, მშვენიერი არგუმენტაციაა...

თუ ხელოვნება არის ასახვა, მაშინ არგუმენტი «ასახე ქაოტური სინამდვილე, ქაოტური ხელოვნების ფორმით» ძალიან ლოგიკური მეჩვენება...

თქვენ არა?

მაგრამ, რიტმი რატომ უშლის ხელს ქაოტურობას??

კონცეპტუალური ქაოსი, რომელიც ჩემთვის არის ძალიან კანონზომიერი, შეიძლება შესანიშნავად გამოიხატოს რიტმში.

ასე არაა?

ანუ, მე არ მესმის, თუ აქ ლექსის ახალ კონცეფციაზე საუბარი – შენი კომენტარის მეორე ნაწილი... მაშინ, რატომ არ შეიძლება მას ჰქონდეს კონვენციური გამოხატულება, რიტმის სახით?

ჩემი პრაფანური ცოდნით, როდენმაც უარყო რენესანსის გამოხატვის ფორმები და გაპრიალებული ნატურა... მაგრამ, ქანდაკების ძირითადი კანონები არ დაურღვევია..

არ მესმის რიტმის ამოღების არგუმენტაცია..

ამიხსენი კიდევ... რა არის «წახნაგი»?

**გივი:** ანა, უმწყობრეს ლექსშიც შესაძლებელია ქაოსის ასახვა, ჯოჯოხეთისაც კი /(დანტე/), მაგრამ ქაოსის ქაოსურად ასახვა უბრალოდ მოდაშია.

დამავიწყდა მეთქვა, რომ მიმეზისმა განიცადა სრული კრახი და ყოველგვარი პოეტი//კა (არისტოტელე)// ანტიკური ხანიდან დღემდე დაწუნებულია წაუკითხავად. სიტყვის «ესთეტიკა» თქმაც აღარ შეიძლება, კანტის, ლესინგის და კურციუსის ხსენებაც «გლახობაა».

ტრადიციონალისტების უმრავლესობა ეთნოცენტრიზმის ჭაობში დაფავს სულს ფსევდოპატრიოტული ლირიკით, ხოლო ესენი ბრმა მიმბაძველობის წუმპეში და არც კი იციან ვის, რას და რატომ ბაძავენ. ეს უვიცობის ინერციაა.

თუმცა ყოველ ეპოქაში ასე იყო და აპოკალიფსის ცრუწინასწარმეტყველები პირველი საუკუნიდანვე არსებობდნენ. მე საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, უბრალოდ გლობალიზაციის ნიშნები გამოიკვეთა.

**ანა:** ძალიან რთული ამბავი დამიწერეთ ბატონო გივი... ბოლომდე ვერც გავიგე.

ყველა სინდისიერი ადამიანი, დაყრიდა ფარ-ხმალს თქვენი პოსტის მერე. არაა აუცილებელი კლასიკის ათვისება, რადგან შესაძლებელია ისედაც წერო, რაც და, როგორც გინდა. ხელოვნების განსაზღვრებაში??? ასე რადიკალურად ამტკიცებენ ამას?

მეორე თვით-წინააღმდეგობრივი მტკიცებულება «მათ» მსჯელობაში იქნებოდა.

«ახლის» მნიშვნელობას, თუ არ იარსებებს შედარების ობიექტი «ძველი» და რა ანიჭებს ერთს ან მეორეს «ახლის» ან «ძველის» კატეგორიას? დროში განფენილობა?

არა მგონია, ასეთ ტრივიალური არგუმენტაცია იყოს.

«ქაოსის ქაოსურად ასახვა უბრალოდ მოდაშია» – ეს ძალიან საინტერესოა.

მოდა პრინციპულად ხელოვნების წინააღმდეგობრივი მოვლენაა – არსით. ასე მეჩვენება.

არა, ჩვენ აქ ნამდვილი, ცოცხალი «ანტი-რიტმის» მიმდევარი გვჭირდება ახლა – ჰაერით. რატომღაც მეგონა უფრო გამძლე არგუმენტები იქნებოდა მათ სასარგებლოდ.

**გივი:** 90-იანელებზე ვერ ვიტყვი, რომ კლასიკა არ აქვთ წაკითხული, ეს ყველაზე არ ვრცელდება.

**ჰექსე:** ანა, შენ სიტყვებს («არა, ჩვენ აქ ნამდვილი, ცოცხალი «ანტი-რიტმის» მიმდევარი გვჭირდება ახლა – ჰაერით») გავიმეორებ და გავაგრძელებ, ჩემი «პოზიციის» დაცვას.

რიტმი, თავისთავად, არის უკვე ანტი-ქაოსი.

«კონცეპტუალური ქაოსის» რიტმში გამოხატვა არის მისი მოწესრიგების მცდელობა, აღქმისთვის კალაპოტის შექმნა – და ეს კი მიუღებელია, რადგან ნებისმიერი სახის «საზღვრებში» მოქცევა არის პირველი ნაბიჯი კონფორმიზმისკენ, მაშინაც კი, თუ ეს «შიგნიდან» მოდის: ეს ნიშნავს, რომ თავსაც იტყუებ და მკითხველსაც, რომელსაც ამ ქაოსში «წესრიგის» მოჩვენებით ელემენტს სთავაზობ.

ქანდაკების ძირითადი კანონების დარღვევა გამოიწვევდა ქანდაკების ვერშექმნას, სიტყვა კი – უფრო სწორად, მისი ბგერითი შემადგენლობა – იმავე ქვასთან შედარებით, გაცილებით ადვილი სამართავია და ფორმაც და ხმოვანებაც შეგიძლია სრულ «დახშულობამდე» ცვალო – შედეგს კი მაინც «ლექსი» დაარქვა, მაშინ როცა «ქანდაკება» სრულიად ხელშესახები რამ არის. აქ: განსხვავება პოეზიასა და სახვითი ხელოვნების დარგებს შორის.

**გივი:** უფრო გამძლე არგუმენტი ნიჭიერებისა და წვრთნის ჯამია. ის კი ჯერ არ ჩანს

და არც მარტო გაწვრთნა შველის და არც ბუნება. აკაკი მომეხმარა.

თუმცა, როგორ არ ჩანს. არაერთ ახალგაზრდა პოეტს დაგისახელებდით, რომლებიც ოაზისებივით არსებობენ და თავისთვის იღვნიან, ჩემზე ბევრად ახალგაზრდებს ვგულისხმობ, არც ფეხისხმას აპყობიან და არც განდიდების მანიას.

შეგნებულად არ ვასახელებ უფროსი თაობის რამდენიმე პოეტს, რომელთა დამსახურება ძალზე დიდია.

**ჰექსე:** ლაპარაკია არა შედარების ობიექტის არარსებობაზე, არამედ «ძველის» სრულ უარყოფაზე და «ახლის» აღმოცენებაზე – რათა ძალაუნებურად არ მოექცე იმ გავლენის ქვეშ, რომელიც რაიმენაირ ტრადიციაზე «მიგაბავს».

**ანა:** თქვენი მტკიცებით, თქვენ იმყოფებით ქაოსის «არაინტელექტუალურ» განსაზღვრებაში.. რადგან, ქაოსი არ გულისხმობს უწესრიგობას, არამედ «ქაოტურ წესრიგს» (ქაოსის თეორია).. მაგ. ქაოსის თეორიის თანახმად, ჩემი მოძრაობები ქაოტური ხასიათიდან უეჭველად გარდაიქმნება ეფექტიან ქაოტურ მოძრაობამდე (რომელიც მიაღწევს ფუნქციურ მიზანს), და ვინაიდან, ამასობაში შეიცვლება მოძრაობის მიმართ წაყენებული პირობები, ის კვლავ და კვლავ შეიცვლის სახეს. ამას შესაძლოა, ქაოტური ხასიათი ჰქონდეს გარედან, მაგრამ, თავად პირობების ცვლა განა არ არის სტრუქტურა? თუნდაც ქაოტური, მაგრამ სტრუქტურა (რადგან პირობების რიცხვოვნება და ხასიათი იმდენად მრავალგვარია, რომ მათი აღრიცხვა, თავიდანვე უტოპისტურია.) ასე რომ... თქვენი მტკიცებულება ჰგავს ქაოსის განსაზღვრებას საკუთარი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე...

ნიშანდობლივია, რომ თქვენი მცდელობა, გადმოსცეთ ქაოსი «სიტყვებით» ეს უკვე არის მოწესრიგების ხარისხი.. აღიარებთ ამას?

და თუ ეს ასეა, მაშინ თქვენ გთავაზობენ რიტმს, რომ, თქვენი მოწესრიგება გახდეს სხვებისთვის უფრო აღსაქმელი..

არსებობს მინიმალური პირობები, როცა ლექსი აღარ არის ლექსი????

**გივი:** ქანდაკება ახსენეთ და მომაგონდა, როგორ მუშაობდა როდენთან რილკე, ჯოისთან ბეკეტი. ახლა მეტყვიან რომ საქართველოში მსგავსი გენიოსები არ არიანო. ყველაფერი შედარებითია. ჩემს წინა თაობაში არის რამდენიმე ავტორი, – ვისგანაც ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ვინმეს გახსენებია, ან მისულა მათთან?

ბახი, როგორც ცნობილია, ქალაქიდან ქალაქამდე ათობით კილომეტრს გაივლიდა ფეხით, სხვა ორლანისტიკისთვის რომ მოესმინა და საშემსრულებლო ტექნიკას დაუფლებოდა.

**ჰექსე:** წლების წინ ბევრჯერ მიფიქრია, რა კარგი იქნება, რომ ტარდებოდეს ლიტერატურის – ცალკე პროზის და ცალკე პოეზიის – «პრაქტიკული» გაკვეთილები, მასტერკლასები მათთვის, ვინც «წერას» ყავს ატანილი. რაღაც გარკვეული ხანგრძლივობის კურსის სახით. აი თუნდაც თქვენ – არ დათანხმდებოდით?

**ანა:** არის თუ არა ჩემს მიერ ფანჯრის რაფაზე მიჩხაპნილი ნახატი ხელოვნება?

მეც ავსახე თანამედროვეობა.. ჰმ...

ტერმინების დაუზუსტებლობის ამბავია...

მოდის ცნების წინააღმდეგობრიობა ხელოვნების ცნებასთან, მისი დროში მდგრადობის თვალსაზრისით.. სხვადასხვა ვექტორი აქვთ... ასე მგონია... და ცვალებადობის კოეფიციენტი..

საიდან გეცოდინება, რომ «ახალი» არის «ახალი», თუ არ გეცოდინება, რა იყო «ძველი»?

ანა, სამაგელი სოფისტკა!!!

უი... უნდა გამეფრთხილებინე 2 წელი ტულვინგის არგუმენტაციის კანონებს რომ ვსწავლობდი?

**გივი:** ხელოვნებაში, ლიტერატურაში არ არსებობს სრული თავისუფლება. როცა ქაოსის წესრიგზე საუბრობ, მესმის, რასაც ამბობ, მაგრამ გვავიწყდება ერთი მთავარი რამ, კერძოდ კი ის, რომ რიტმი სიმწყობრეა და ქაოსს არ ახასიათებს, მაშინ რიტმიც ქაოტური უნდა იყოს ე.ი. არიტმიული, თუ არიტმიაც რიტმია, ე.ი. რიტმსა და არიტმიას შორის სხვაობა არ არის? ე.ი. კოსმოსსა და ქაოსს შორის ტოლობის ნიშანი დავსვათ?

ანა: ჰო...

ამაზე უნდა ვიფიქრო...

ასე მარტივად ვერ გიპასუხებთ და ლიტერატურას უნდა გადავხედო...

მშვენიერი საფიქრალი გამიჩინეთ..

დროებით დაგემშვიდობებით, და ვიფიქრებ წესრიგის და ქაოსის განზომილებაზე ხელოვნებაში და ზოგადად...

**გივი:** ჰეჟსე, იყო დრო, კულტურის უნივერსიტეტში ასეთ კურსს ვუძღვებოდი.

ბესო ხვედელიძეს და შალვა ბაკურაძეს ახსოვთ, ჰო, რობაქიძესაც, ხანდახან შემოდის ჩვენს სემინარებზე.

ახლა, სამწუხაროდ, ნამდვილად არ მაქვს საამისო დრო. რაღაცები მაქვს მოსაწესრიგებელი, დასალაგებელი, წასაკითხი, მგონი დასაწერიც. არ ვიცი სადამდე გასტანს ჩემი «შვებულება» და მინდა ჩემთვის ვიარსებო, მოვალეობების და პასუხისმგებლობის გარეშე.

**ანა:** მე მხოლოდ გავიფიქრე, რომ რეალური ქაოსის (კოსმოსის \_ თქვენი სიტყვებით) ქაოტური ასახვა, თუნდაც ლექსებში, ილუზია იქნებოდა... რადგან, ჩვენ ცნობიერებას ასახვის ერთადერთ საშუალებად მისი სტრუქტურირება ხელეწიფება..

მაშასადამე, ის რიტმი, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს, მხოლოდ ჩვენეული ინტერპრეტაციაა ასახულის \_ სტრუქტურირების ერთ-ერთი გზა...

გამოდის, ის ადამიანის შინაგანი მახასიათებელია და არა ქაოსის. არც, მწყობრი, დალაგებული სისტემის.. განა, კონვენციური ლექსის ავტორის თავში ასახავი (ვთქვათ) გრძნობები რიტმებად მოდის? უბრალოდ მოდის, ის რიტმად ალაგებს და გადმოგვცემს...

ამიტომ, საფუძველმოკლებული მეჩვენება ამ მიმდინარეობის კონცეპტუალური სიახლის შესახებ მტკიცებულება... ჩემი მორიდებული აზრით \_ ეს იგულისხმება, ყოველი ფრაზის წინ და მერე/.

პრინციპულად, ქაოსი შეუწვდომელია... და თუ მას შევწვდით, ის აღარ იქნება ქაოსი...

თქვენს შეკითხვაზე, არის თუ არა რიტმი და ქაოსი გაიგივებული ქაოსის ჭეშმარიტ გაგებაში \_ მათ საერთოდ კი არაფერი აქვთ..

უბრალოდ, ქაოსის, ჩემულის, თქვენულის და ყველა ადამიანისეულ გაგებას არა აქვს საერთო, ქაოსის ავთენტურ გაგებასთან..

ყველა ჩვენეული ქაოსი ითხოვს მოწესრიგებას, რადგან სხვანაირად, ის ჩვენს გონებაში არ აისახება.

შესაბამისად, ეს მოწესრიგება (ჩვენეული ქაოსი) სრულიად ბუნებრივად შეიძლება გულისხმობდეს რიტმს, ისევე როგორც, სხვა მასტრუქტურირებელ ელემენტს.

და აქ შემოდის ინტენციების საკითხი...

რატომ, რა მიზნით უნდა აისახოს ქაოსი ლექსებში???

მაღლის თავი აქაა, ასე თქვა ორაკულმა.

ყოველ შემთხვევაში, ყველა არსებული არგუმენტაცია მაგას მეტყველებს... მაგრამ, არის შანსი ინფორმაცია მაკლდეს.

**გიორგი გურჯი:** საინტერესო დისკუსიის შემსწრე გავხდი. მაღლობა ყველას.

**გივი:** ძნელია ვილაპარაკო შემოქმედებით პროცესზე. მოკლედ ვიტყვი: ჩნდება თავდაპირველად რაღაც მოდულაცია, იმპულსი, რომელიც მოიყოლებს თავის პროსოდისას. ეს «სულიერი გონების» ძალიან ინტიმური და ბუნებრივი «კარნახია», როცა სიტყვები გადმოსცემენ იმ განცდას, სათქმელთან ან ნახევართქმასთან ერთად, რომლის ჩაწერას იწყებს პოეტი.

სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას თან ახლავს თავის რიტმი განუყოფლად. ვინც ცდილობს სათქმელი «ჩატენოს რიტმში», მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია ოსტატობამდე. არსებობს მზამზარეული სალექსო ფორმები, რომელთა «ინსტალირებას» ნებისმიერი ავტორი საკუთარი ინდივიდუალური სიტყვიერი ენერგიით ცდილობს. ვთქვათ თოთხმეტმარცვლიანი ლექსი, რომელიც ბესიკმა შემოიღო «/ტანო ტატანო» და ა.შ./ ბარათაშვილთან სრულიად ახალ შესაძლებლობას ამჟღავნებს. ამ ფორმის ლექსი ჩვენს დროშიც აბსოლუტურად გადასხვაფერდა. ე.ი. მძლავრი ნიჭი ახერხებს თითქოსდა ათვისებული ფორმების სრულ განახლებას. მთავარი ის კი არ არის, რომელი სასმისით დალიე ღვინო, არამედ ის, როგორი ღვინო დალიე. არსებობს მეტრის /საზომის/ მეხსიერება და მას ზოგი თავს არიდებს, ზოგი კი ვერ და რჩება დამტამპულ სტერეოტიპში. ურთულესია დაკანონებულ ფორმებში სიახლის მიღწევა, მაგრამ სრულიად შესაძლებელია.

ჩვენ, ავთენტური არც კოსმოსი და არც ქაოსი ვიცით. ვიცით რა არის სიმწყობრე და დისკარმონია, სინათლე და სიბნელე. დაახლოებითი წარმოდგენა გვაქვს მზის სისტემაზე (/ჩვენს მზეს ვგულისხმობ), თანავარსკვლავედებზე და ა.შ. ქაოსი საპირისპირო რამაა. ეს ხომ ელემენტარულ დონეზე ასეა და მისი ავთენტურობის ცოდნაზე თავს არ დავდებ. ვიცით, აგრეთვე, ის, რომ ხელოვნება, ლიტერატურა არასოდეს არ არის თავისუფალი, თუნდაც იმიტომ, რომ ქაოსით ქაოსის ასახვა, საერთოდ რაიმეს ასახვა შეუძლებელია. ხოლო რაიმეს დასაწერად აუცილებელია ნიჭი და რაიმეს სწავლა, თუნდაც გრამატიკული ნორმების, თავი რომ დავანებოთ დაოსტატებისთვის საჭირო მრავალწლიან გარჯას.

ცხადია, ახალი ფორმების დამკვიდრება აუცილებელია, მაგრამ მას შემდეგ, როცა იცი ძველში რა შეცვალო, ოღონდ თვითმიზნურად კი არა, არამედ ისე, რომ მან დაიმკვიდროს თავი და იქცეს კლასიკად.

ნებისმიერი ნიჭიერი წერილობა, მოგვიანებით კლასიკად იქცევა. ეს გამუდმებული პროცესია. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო ისიც, კიდევ ერთხელ, რომ მოყირჭებული ტრიოლეტითაც და კატრინითაც კი შესაძლებელია ნიჭის

გამომზეურება და მხოლოდ ფორმალისტური ძიებანი და თვითმიზნური, გაუმართლებელი ექსპერიმენტები არაფერს იძლევა. მოსალოდნელია, ასეთი ავტორი, სქოლიოში ჩარჩეს და გამეჩხერებულ მკითხველამდე ვერც მიაღწიოს.

დროის სულისკვეთება, აი, რა არის მთავარი ნებისმიერი პოეტისთვის, მხოლოდ არა განყენებული აწმყოსი, არამედ ზოგადად დროის, რომელიც შეგრძნებებით და ხილვებით მოიცავს დროთა უწყვეტ კავშირს და არა მხოლოდ დღევანდელი დროის ჟურნალისტურად ასახვის მცდელობას.

ოდესღაც ლექსი მუსიკის თანხლებით სრულდებოდა. კაფიასა და ნატირალსაც კი შემორჩა ჩვენში თავის მოტივები. მიუხედავად პრიმიტიული ფორმებისა, იქ ხშირად წააწყდებით შედევრებს, სადაც სათქმელი მარტივი რითმებითაა გაწყობილი. მინდა ვთქვა ის, რომ ლექსის მუსიკა ავტორის ბუნებას გამოხატავს, იგი ან ატონალურია, ან ჰარმონიული. რთული ავტორი შესაძლოა ორივე მიმართულებას ეკუთვნოდეს.

მას შემდეგ, რაც ევროპის მზე ჩაესვენა, რაც მასები ამბობდნენ ევროპასა და მსოფლიოში და ძალაუფლება მასებმა ჩაიგდეს ხელში, ყველაფერი შეიცვალა. ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო, კერძოდ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ. ფასეულობები ამოტრიალდა. ეკლესიის გავლენა შემცირდა ქრისტიანულ სამყაროში და სხვა ღირებულებები გაჩნდა, რომელიც მკვეთრად ნეგატიური რელიგია კონცეპტუალურად და ქმედებებითაც. მატერიალურმა წინსვლამ, რაც უნდა გასაოცარი იყოს, გამოფიტა ადამიანი და ლამის მანქანად აქცია. ჩვენთან სხვა ვითარებაა, სრულიად განსხვავებული, ჭრელი და გაურკვეველი, სიტყვა ქაოტურს მოვერიდე შეგნებულად.

იყო პოლიტიკაში ფსევდოფილოლოგიური პრიორიტეტი კარგა ხანს, რომელიც სრული კრახით დასრულდა. ამას მოჰყვა მწერლობის სრული დევალვაცია და ფრაგმენტაცია. ესეც ლოგიკური შედეგია, იმ მოვლენების კვალია, რაც მოხდა. რა იქნება ხვალ, ღმერთმა უწყის.

ახლა მე და შენ ვსაუბრობთ პოეზიაზე და ვიდაც სიცილით კვდება. თუმცა ღრმად მწამს, ისტორიაზე უკეთ პოეზია, ზოგადად მხატვრული ტექსტი ინახავს დროის სულისკვეთებას და ეს მომავალში უკეთ გამოჩნდება. რიტმს პირდაპირი კავშირი აქვს მეხსიერებასთან, ხსოვნასთან და იგი შეინახავს ღირებულ ტექსტებს.

**ანა<sup>1</sup>:** «სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას თან ახლავს თავის რიტმი განუყოფლად. ვინც ცდილობს სათქმელი «ჩატენოს რიტმში» მას ჯერ კიდევ ბევრი აკლია ოსტატობამდე».

ამას უნდა მივმხვდარიყავი.

ნამდვილად არ ვიცოდი... მე ხომ მართლა არ ვწერ.

დანარჩენზე \_ სრული თანხმობა.

არაჩვეულებრივი ფორმულირება იყო.

**პიკასო:** «სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას თან ახლავს რ ი ტ მ ი განუყოფლად»!!!

გ ა ნ უ ყ ო ფ ლ ა დ ! ანუ, ნებისმიერ ღირებულ ხელოვნების ნიმუშს \_ ქანდაკება იქნება ეს თუ ფერწერული ტილო, ლექსი თუ სხვა... უნდა ახლდეს ეს რიტმი; უნდა ახლდეს თითოეულ ნამუშევარს შინაგანი გულის ცემა, ანუ ს უ ნ თ ქ ვ ა ... ნამუშევრის შინაგანი ხ მ ა ! და არავითარ შემთხვევაში არ ხდება „ძალით ჩატენვა“ ამ სუნთქვის! ცრუ მცდელობები, «თითიდან გამოწოვილი» შემზარავი საყურებელიც არის, მოსასმენიც არის და წასაკითხიც... რა თქმა უნდა, არსებობს „მზარეული ფორმები»; ქანდაკებაში განსაკუთრებით იხმარება ეს ტერმინი!

მაგრამ ეს არის ის ბუნებრივი კანონი, რომლის გარეშე, ისედაც თავისთავად ვერ იარსებებს ქანდაკება! მთლიანად დაირღვევა მისი ესთეტიკური არსი... ფორმის სილამაზე უპირველესია ქანდაკებისთვის!!!

მაგრამ \_ ის არ უნდა იყოს ფუყე! და უშნო!

უნდა იყოს \_ მთლიანი...

შინაგანად სავსე ულამაზესი ენერგიით...

ძალით \_ რომელიც მძლავრი ნაკადით უნდა გლეჯდეს ფორმას...

და

გადმოდიოდეს მის საზღვრებიდან...

ამის მიღწევა ცოდნის ნიადაგზე \_ მხოლოდ?! ... თუმცა უნდა გრძნობდე საოცრად ფორმას; თავისთავად ეს ნიჭის შედეგია და ოსტატობისაც...

მაგრამ, აი ეხლა, ეს ფორმა ხომ უნდა გახადო მეტყველი!!! ხომ უნდა აალაპარაკო!

ეს ადვილი საქმე როდია «მტკივნეული პროცესია» უმოწყალო...

რომ სუნთქავდეს ეს მკვდარი ფორმა?!

რომ უცემდეს შიგნიდან განსაკუთრებული რიტმით გული

რომ სუნთქავდეს! უძნელესი პროცესია!

რა, არა აქვს?!

მაშინ ფუყე ყოფილა ქანდაკება!

და

ნიჭთან ერთად...

ოსტატობასთან ერთად ...

საკუთარი თავის «არდაზოგვა და შეწირვა საჭირო...» ... «გულის კარნახით!» და რა თქმა უნდა, უნდა ეცადო და ეძებო, რომ შექმნა აუცილებლად რაღაც ახალი «ძველის ღრმად სწავლისა და გაცნობიერების შედეგად»...

როგორ სუნთქავს ეგვიპტის ქანდაკებები...?!

შინაგანი სილამაზით..

შინაგანი ღრმა ძალით

იდუმალი

მძიმე ეპოქით ...

იმდროინდელი სულისკვეთებით..

სულ სხვა განზომილებაში გადადიხარ: შენც და „ისიც» \_ ჩერდება დრო...

და ხომ

გაოცებს ...

გაღელვებს ...

გაქვავენს...

გატკენს..

და

გაგიჟებს...

ახლოსაც ვერ მიხვალ ისეთია!

ახლოსაც ვ ე რ მ ი ხ ვ ა ლ !!!

**p.s.** იმიტომ რომ „ს უ ნ თ ქ ა ვ ს!.

**ირმა გოდერძიშვილი:** ლექსებზე ბევრს ვერ დავწერ, დიდი ხანი ვიყავი რითმიანი, რითმიანი ლექსების მოყვარული და ყველაფერი ამ ორის გამოკლებით ლექსად არ მეჩვენებოდა.

ახლა ყველაფერი დავაგემოვნე, და მეჩვენება, ლექსიდან თუ გაგყვება რაღაც, თუ მოახდენს შენზე ზემოქმედებას, დაგრჩება მხოლოდ ერთი ფრაზა და ამ ფრაზით ავტორის განწყობას თუ ხედვას დაიჭერ \_ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ მარცვლიანი ფრაზებითაა ლექსი ნაგები და მერე პირველი და მესამე ხაზი ერთმანეთს რომელი რითმებით გაერთიმა.

გიორგი საჯაიას პერსონალურ გვერდზე დავწერე \_ ეს პოეტი ჩემთვის უფრო ტექნიკაა ლექსის წერის და მერე ლექსის შინაარსი-მეთქი, იგივეა რეზო გეთიაშვილი.

**გივი:** ირმა, მე არ ვსაუბრობ თითებზე დათვლილ მარცვლებზე და ჯვარედინ რითმაზე. ვგულისხმობ რიტმს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ პოეზიაში, საერთოდ, მაგრამ პოეზიაში განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. შენს მიერ ციტირებული ლექსი, უცნობ ავტორს რომ ეკუთვნის, მშვენიერი ილუსტრაციაა იმისა, რასაც მე ვწერდი ჩემს ვრცელ ტექსტში რიტმის შესახებ. ვფიქრობ, ახლა მაინც გასაგები იქნება შენთვის, რას ვგულისხმობდი.

ერთს კი გეტყვი, როცა რიტმზე ვსაუბრობ, მე ვგულისხმობ პოეზიას ზოგადად და არა მხოლოდ კონვენციურ ლექსს. ე.ი. ვერლიბრსაც ვგულისხმობ და ვერბლანსაც და კონვენციურსაც. მე კი არ ვიწუნებ რომელიმე სალექსო სტრუქტურას, არამედ ყურადღებას ვამახვილებ რიტმის ფუნქციაზე, როგორც ვთქვი, ზოგადად პოეზიაში. ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო პოეზიის დაყოფა ფორმალისტური აკვიატებების მიხედვით. ასე იყო 70-იან წლებშიც, როცა დაიწყო ფართო დამკვიდრება თავისუფალმა ლექსმა საქართველოში. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი და ამიტომაც ეს მე არ მესწავლება.

**ირმა:** ბატონო გივი, ბოდიშის მოხდით უნდა ვაღიარო, რომ პოსტებს ამ თემაში ზერელედ გავეცანი და პირადად ჩემი აზრი გამოვთქვი მოკლედ ლექსზე, მათი წერის ტექნიკაზე და არაფერი დამიწერია ვინმეს, კერძოდ, თქვენი პოსტის საპასუხოდ.

გეთანხმებით 100%-ით რომ ლექსისთვის აუცილებელია რიტმი, რიტმი და შინაგანი მუსიკაც თუ არა აქვს ნებისმიერი სახის ლექსს, მაშინ ლექსი თავის ფუნქციას კარგავს და არანაირად არ ელექსება მის სხეულში არაფერი ერთმანეთს, არამედ მშრალად, უკავშირო და ხდება დალაგება ფრაზების შეიძლება ზემეტაფორულისაც და ზე-პოეტურისაც ერთმანეთთან და აკლია სწორედ ის მარილი, ის შეწყობილად კითხვა, ის მუსიკალურობა, რაც კარგ ლექსს აუცილებლად აქვს.

**ვასო:** ვფიქრობ, ბატონი გივის პოსტები რომ ერთად მოგროვდეს, მის «შთაბეჭდილებათა ნაკვალევთან» ერთად ცალკე წიგნად გამოიცეს, არა მარტო საინტერესო საკითხავი, არამედ სასარგებლო იქნება.

საუბრები ლიტერატურაზე ძალზე ზოგადია და რადგან ამ შემთხვევაში, პოეზიაზეა საუბარი, გიოს ნათქვამს გავაგრძელებ \_ ის ადამიანი ამასაც ამბობდა, მუსიკაა მთავარი...

სწორედ ეს «მუსიკა» \_ რიტმი, თუ არ არის ლექსში, სულ ერთია, კონვენციურია თუ ვერლიბრი, არ არის ლექსი. ეს უკვე ითქვა და სრულიად ვეთანხმები.

რაც შეეხება საბავშვო პოეზიას \_ მაპატიეთ თუ ასე ჟანრობრივად შევხები ამ თემას. ჩემთვის უფრო ახლობელია \_ აქ, ჩემი აზრით, რიტმი და შინაარსი თანაბრად მნიშვნელოვანია. ბავშვმა აუცილებლად სურათი უნდა დაინახოს, რომელსაც მერე თავისი წარმოსახვით შეავსებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება საბავშვო ნაწარმოები «საბავშვო».



**ირმა:** საბავშვო პოეზია ადვილი, ძალიან ადვილი მეგონა საწერად. ერთი ჟურნალის რედაქტორმა მკითხა: შეგიძლია საბავშვო ლექსები ან ზღაპრები დაწერო ჟურნალისთვისო? პრობლემა არაა-მეთქი \_ ვუპასუხე.

დავჯექი ჩვეულებისამებრ კლავიატურასთან და გავოცდი, ვერაფრის დაწერაც ვერ შევძელი, ერთი ფრაზისაც კი.

მჯერა, რომ საბავშვო ლიტერატურა მხოლოდ მცირე კალმების ხვედრია, დაწერო ისე რომ ბავშვმა მიიღოს, რაღაც გაიგოს, ისწავლოს, გაიღიმოს და 'გაიზარდოს', ძნელია. ყველა კომპონენტი თუ არ არის ლექსში, ზღაპარში ბავშვის გონებისთვის საინტერესო, მაშინ დიდების სუსტ იუმორიან ლექსებსა თუ ზღაპრებს ქმნი, და არც იქა ხარ და არც აქ.

**მარიამ წიკლაური:** ვასო, შენი საბავშვო პოეზია ძალიან მომწონს, მხოლოდ ამ მიზეზების გამო, იცი, რაზეც უნდა დაწერო, როგორც უნდა დაწერო და რამდენი რიტმი და მუსიკალურობა გააყოლო ლექსს, რომ იყოს ესა თუ ის ლექსი საბავშვო.

და შენი ლექსებიდან კიდევ ხასიათები მომწონს ძალიან \_ ამა თუ იმ ცხოველისა თუ ფრინველის.

**ვასო:** დიდი მადლობა, ირმა, ასეთი შეფასებისთვის. ზუსტად შენიშნე \_ პერსონაჟის ხასიათი აუცილებელია. ბავშვმა უნდა წარმოიდგინოს, ამაში კი სახასიათო შტრიხებით უნდა დაეხმარო.

**ნათია გიორგაძე:** ბატონო გივი, მინდა ერთხელ კიდევ გითხრათ, რომ თქვენი პოსტები ჩვენთვის დიდი გაკვეთილია, გმადლიბთ, რა კარგად თქვით: "რიტმს პირდაპირი კავშირი აქვს მეხსიერებასთან"-ო. ჩემთვის ადამიანი კი არ ცხოვრობს დროში, არამედ დრო გადის ადამიანში და როგორც სისხლი, ისევე ხსოვნაც ბრუნავს ჩვენს არსებაში. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენს არსებობას სიტყვა გადმოსცემს და მიხარია, რომ თქვენ არსებობთ ჩვენს დროში, ჩვენს ქალაქში, ჩვენთან!

**მარიამ წიკლაური:** ირმა, დიდი პატივისცემით და ცოტა გაკვირვებითაც, ერთი კითხვა გამიჩნდა თქვენს ნაცნობ რედაქტორთან, მართლა ეგრე ფიქრობს, რომ არაფერი უნდა საბავშვოს დაწერას? და საბავშვო ჟურნალის რედაქტორია? ირმა, შენ მაინც არ იფიქრო, რა ეგრე.

**ირმა:** მარიამ, რედაქტორს არ ეგონა ადვილი საწერი, ჩემს ნაწერებს გაეცნო და მკითხა, შემეძლო თუ არა საბავშვო ლიტერატურა დამეწერა და მე მეგონა ადვილი-მეთქი, ეგ დავწერე.

კესო, რა საინტერესოდ გაგიშლია თემა და საინტერესოდ შეგივსია გამოთქმებით, ზოგი, რომელიც ვიცოდი, და ზოგი რომელიც არა.

ბატონო გივი, ძალიან კარგი იქნებოდა თქვენი პოსტები რომ ამოკრებილიყო წიგნად და დარქმეოდა \_ საუბრები ლიტერატურაზე.

**კესო:** მე არ ვარ ლიტერატორი, ფილოლოგი, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ თეორიულ საკითხებზე. ლიტერატურულ საიტებთან ერთწლიანმა თანამშრომლობამ მიმახვედრა, რომ მხოლოდ საკუთარი ჭიის გახარება-ენაზე მომდგარი ყველა ლექსის დაწერა ინტერნეტ გვერდზე, არაკეთილსინდისიერი საქციელია. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თუ

კი ქმნი პროდუქციას და მომხმარებელს აწვდი, ხარისხზეც უნდა იფიქრო, მეწერება და ვწერ, უბრალოდ უპასუხისმგებლობაა და სხვა არაფერი... უფრო მეტს ვფიქრობ ფორმაზე, რითმაზე – თუმცა ამბიციებისაგან შორს ვარ, მაგრამ, რადგან გამომაქვს თქვენს განსასაჯელად, მოთხოვნები საკუთარ თავსაც უნდა წავუყენო. არადა, რაც მეტს ვფიქრობ, უფრო ცოტას ვწერ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლექსის რიტმი, მელოდია, ხშირად უბრალოდ რიტმი მოდის – ალბათ იმწუთიერი განწყობის გამომხატველი, და მერე ის რიტმი იმოსება სიტყვებით. მაგალითად: ხაო და ხავერდი ხალიჩის ხვედრია

ფერადი ფარდების სამზეო სამიზნე,  
არ მინდა პალტო და აღარც მანტია,  
უარი მაკიაჟს, უარი\_პარიკებს!  
ნაზამთრალ ზანდუკებს მაზანდას ავუწევ,  
ზარბაზის თავშელები ზაფხულის ზმანია,  
ზღვის გამონარიყი ზღვისფერი საყურე  
ისევ მოდაშია..." და ა. შ.

მთლიანად რიტმი იყო და ის შევავსე, რას ვწერდი და რა გამოვიდოდა არც კი ვიცოდი... ასევე აღვიქვამ სხვის ლექსებსაც. მე არ ვარ კრიტიკოსი და არ ვკითხულობ ნაწერებს როგორც კრიტიკოსი, მით უფრო, მათ გარჩევას არ ვაპირებ, მთავარია მოვიდეს ჩემამდე მელოდია, განცდა, ემოცია, კეჟერაძისა და კლიმის არ იყოს, „დამბურძგლოს“. ანუ, მას წინ რამდენი მუშაობა, წვალეზა უძღვის, ვიცი, მაგრამ ჩემთან ერთი ამოსუნთქვით უნდა მოვიდეს. ახალს არაფერს ვიტყვი, ყველაზე იოლი რთულად წერაა, ყველაზე რთული-მარტივად თქმა სათქმელის. ეს კი მხოლოდ ნიჭისა და შრომის სინთეზით მიიღწევა. როგორც ქორეოგრაფიაში მოცეკვავემ საათობით უნდა ივარჯიშოს ძელთან თითოეული მოძრაობის დასახვეწად, ასევე პოეტმა უნდა ივარჯიშოს, როგორც კლასიკის დაუფლების გარეშე, ვერანაირ თანამედროვე ქორეოგრაფიას ვერ დაეუფლები, ასევე, პოეზიაშიც, ჯერ კლასიკურ ფორმებს უნდა ეზიარო და მხოლოდ მათი დაუფლების შემდეგ შეძლებ სხვა გზის, მიმართულების პოვნას. გამიგია როგორც მხატვრებისგან, ასევე მუსიკოსებისგან, რომ ხატვის სწავლა შეიძლება, დაკვრის სწავლაც შეიძლება, ალბათ ლექსის წერისაც, მაგრამ თუ არ გაქვს ნიჭი, ვერასოდეს გახდები მხატვარი, მუსიკოსი და, ალბათ, პოეტიც – ასეთად უნდა დაიბადო. დაბადებით შემოქმედ ადამიანებს კი იმდენი ენერგია დაჰყვებათ, რომ შეუძლიათ დღედაღამ შეუსვენებლად იმუშაონ, ასე რომ, შრომის და ნიჭის სინთეზი აქაც სახეზეა.

მე კი ჩემთვის, და ჩემნაირებისათვის, ანდრეი დემენტიევის ერთ ლექსს გავიხსენებ:

«ნიკოგდა ნე ოჩომ ნე ჟალეიტე ვ დაგონკუ  
პოზდნო ნაჩალი ვი, ილი რანო უშლი,  
კტოტო პუსტ გენიალნო იგრაეიტ ნა ფლეიტე,  
ნო ეშჩო გენიალნეე სლუშალი ვი...»

პაროდისავით თუ არ გამომივიდა ქართული შრიფტით კარგია, კლავიატურაზე რუსული შრიფტი არ მაქვს და მთელი დღე მოვუწინდებოდი ერთი სტროფის აკრეფას, იმედია მაპატიებთ...

სხვათა შორის, აქ მკითხველის როლის საკითხიც დგება, როგორც შემოქმედის, ან თანაშემოქმედის, რადგან მასზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, უაღრესად გაფაქიზებული სმენა, გემოვნება და აღქმის უნარი უნდა ჰქონდეს და ესეც არ იყოს, მგონი სალვადორ დალი წერდა ერთგან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნაწარმოები

საგამოფენო დარბაზში გამოიფინება ხდება მისი გამოყოფა და აბსტრაგირება შემოქმედისგან და მხოლოდ მერე შეიძლება ვილაპარაკოთ მის შეფასებაზე.

**ანა:** ვერაფრით გამიგია, რა არის ნიჭი....

თუ ტერმინებით გადავითამაშებთ, შეიძლება აღმოჩნდეს, რაღაც განსაკუთრებულად განვითარებული უნარი... უნარი?

რაღაცის კეთება სხვაზე უკეთ დასწავლით, ან გამორჩეული ნიჭით... დაახლოებით ასე იქნება ხომ?

ე.ი. უნარი და ნიჭი პარალელური ცნებებია?

"ვიქიპედიაში", ნიჭის მაგალითად აინშტაინია მოყვანილი.

ნიჭის პირველ თავისებურებად ადამიანში, ასინქრონული, მოზაიკური განვითარება აქვთ მიჩნეული. როცა მას მეტყველება მხოლოდ 2 წლის ასაკში დაუწყია, და ეს შეფერხება ბუნებრივი ყოფილა მისი ლატენტური "ნიჭისა" მოგეხსენებათ რაში..

ე.ი. პატარა ლოგიკა და "ნიჭი" ყოფილა: ასინქრონიზმი, ერთის განვითარება მეორეზე მეტად, უპირატესობა ამ კონკრეტულით სხვებთან შედარებით, რაღაც ნიშნები ა.შ.

და, როგორ წარმოგიდგენიათ, ამგვარი ადამიანმა შეითავსოს ისეთი რუტინა, როგორცაა შრომა..

არ ვიცი, მე ყოველთვის უნიჭოს მეძახდნენ...

ისიც არ ვიცი, ნიჭიერი რომ დაეძახათ, ხელს თუ გავანძრევდი ...

როგორი იქნება იმის ალბათობა, რომ როდესმე, რომელიმე ხელოვანზე ვიტყვით, იცით ეს ნაკლებ ნიჭიერი იყო და ბევრი იშრომა, ამან კი \_ პირიქით?

თითქმის არანაირი..

მაშინ, გამოდის რომ ნიჭის შეფასება პოსტ-ფაქტუმ ხდება, მას შემდეგ, რაც მან უკვე იშრომა...

მაშინ ინდიკატორი მისი წარმატებულ ხელოვანად შედგომისა რომელია, თავდაპირველი ნიჭი თუ შრომის ნიჭი?

კონტრ-არგუმენტაციაც მესმის:

"აი, ამან რამდენიც არ უნდა იწვალოს, კარგი პოეტი ვერ დადგება...".

თუმცა, იქნებ ვინც უკვე დადგა, მასზეც ამას ამბობენ?

არ ვიცი, თუ ნიჭი ისაა, რაც ასეთი ბუნდოვანია და "კაცთაგან შეუფასებელი", მაშინ არ მესმის ამ ცნებით ოპერირება...

ადამიანმა არ იცის, როდის გაეხსნება "ნიჭი" იმას და ამას, ბევრი მცდელობის შემდეგ... და როდის დაკარგავს ეს და ის, იმიტომ რომ არაფერი გააკეთა შესანარჩუნებლად...

მგონი, ჩვენს ხელში მხოლოდ შრომაა..

და, ნიჭი (ზემოაღნიშნული თრეიტებიდან ანუ პიროვნული ნიშნებიდან გამომდინარე) მე მხოლოდ განმაწყობს, რომ ნაკლები ვიშრომო, იმიტომ რომ ადვილად გამომდის.. როგორ ფიქრობთ, რამდენად პროპორციულია წარმატებულ ხელოვანად ჩამოყალიბებისა..?

მე ვიტყვოდი: თითქმის, უკუპროპორციულია...

რა ვიცი, რა ვიცი...

**კესო:** ანა, გამეხარდა შენთან გასაუბრების საშუალება რომ მომეცა, რადგან ყოველთვის საინტერესოა შენი აზრების წაკითხვა. არ ვიცი, ჩემთვის ასეა... უბრალოდ, ჩემი პატარას გამო, რომელიც არაფრით მაცლის წერას, შეიძლება ცოტა

აბნეულად დაგიწერო, ან ნაუცბათევი მოგეჩვენოს ჩემი პასუხი... ბევრი შემოქმედის, და არა მხოლოდ, მეცნიერის ცხოვრებასაც გავცნობივარ, და იქ არსად შემხვედრია, რომ რომელიმე ზარმაცი იყო, ყველა მათგანი თავდაუზოგავად შრომობდა, უფრო სწორად, მხოლოდ ერთ მისთვის საყვარელ საქმეს ემსახურებოდა, და ფაქტობრივად, მხოლოდ ამ საქმისთვის ცხოვრობდა. თუ არ ვცდები თომას მანს აქვს ერთერთ ნოველაში, ასეთი ფრაზა: «და კაცმა რომ სთქვას, უნდა მოკვდე კიდეც, თუ გინდა რომ დიდი შემოქმედი იყო»... ვან გოგის ცხოვრება ხომ ყველას გვაქვს წაკითხული – გულის წასვლამდე რომ ხატავდა, ასევე იყო სეზანიც, და რა ვიცი, ვინ გავიხსენო კიდეც. მე მგონია, რომ შრომა ნიჭის განუყოფელი ნაწილია, უბრალოდ სურვილი, რომ ხატო, ან წერო, უკვე მეტყველებს გარკვეულ ნიჭზე, რატომ არ მინდა მაგალითად სიმღერა და მინდა ხატვა?

ქართველების ნიჭიერებაზე კი რა მოგახსენო. მგონია, რომ ქართველობა განსაკუთრებული ფენომენია, ნიჭიერი, ზარმაცი, ამბიციური, მაგრამ ალბათ ნიჭსაც აქვს გარკვეული საზომი, მეტად ნიჭიერი ან ნაკლებად, ხომ არიან ტალანტები, გენიოსები... ზარმაცი ნიჭიერი კი ალბათ არსებობს, მაგრამ თუ არაფერი გააკეთა, ვერც გავიგებთ მის არსებობას და უბრალოდ არშემდგარი მხატვარი, პოეტი, მეცნიერი იქნება...

**გივი:** ზოგი საჭურისად იზადება, ზოგს ცხოვრება ასაჭურისებს, ზოგი თავს ისაჭურისებს – დაახლოებით ასე ჟღერს სახარების ერთ-ერთი მონაკვეთი.

ორიგენემ, უდიდესმა წმიდა მამამ, სიყმაწვილეში სწორხაზოვნად გაიგო ეს იგავი და თავი დაისაჭურისა, ხორციელი სურვილებისგან თავდასახსნელად.

დიდხანს არ პატიობდნენ მღვდელთმთავრები ამ ძალადობას საკუთარ თავზე და მოგვიანებით, როგორც იქნა, ეპისკოპოსადაც აკურთხეს.

იგავში, საჭურისში – უნარი, ნიჭი, ტალანტი იგულისხმება. ორიგენემ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. აქ იგულისხმება ის, რომ ადამიანი იზადება უნიჭო ან ნიჭიერი, ზოგი განავითარებს ნიჭს, ზოგი ფლანგავს, ან ცხოვრება უნადგურებს ნიჭს. გაიხსენეთ სხვა იგავიც, ტალანტის/ ფულის ერთეული/ გაფლანგვასა და გამრავლებაზე და გაიხსენეთ ის, რომ ტალანტი ნიჭის სინონიმია.

გაიხსენეთ აგრეთვე ისიც, რომ ყოველ ადამიანს აქვს რაღაცის უნარი – ზოგს ენების შესწავლის, ზოგს მასწავლებლობის, ზოგს მწერლობის, ზოგს წინასწარმეტყველობის და ა.შ. ესეც სახარებისეული სწავლებაა და ზუსტ ამონაწერს არ ვაკეთებ.

ძველ აღთქმაში მწერალი/მხატვარი/ აჩრდილთა მხატვართან, აჩრდილთა მწერალთან არის გაიგივებული. გამომდინარე იქიდან, რომ შემოქმედი ერთია. ორთოდოქსები დღესაც იგივეს იმეორებენ, მაგრამ სულიწმიდის მაღლი ვისზე და როდის გადადის არავინ იცის. ეს მაღლი მიეცემა ნებისმიერი კომფესიის თუ უკომფესიო ადამიანს, ჩინელსა და სპარსელს, ბერძენსა და ქართველს და ა.შ. ნიჭის საზომი არავის გამოუგონია. დროში გამძლეობაა ერთგვარი საზომი.

გაიხსენეთ ასევე სიზიფოსის მითი, გამუდმებული გარჯა, განა ასი ტომის ავტორი დღედაღამ არ ირჯებოდა/ ტოლსტოი/? გაიხსენეთ რუსთაველი (მოშაირე არა ჰქვია..?), ნიჭის თვისებაა ნაყოფიერება, რაც გრაფომანიის საპირისპირო რამ არის.

მეცნიერება, არც თუ იშვიათად ცდილობს ისეთი ფენომენის ამოხსნას, რაც ხელარეწიფება. მუტაციამდე და ხელოვნურ განაყოფიერებამდე მისული მეცნიერება, სადაც ღვთაებრივი სიყვარული გამოტოვებულია და დონორების ანაბარაა დარჩენილი «პოპულაციის» საკითხი, ასეთ პრობლემებს ვერასოდეს გაართმევს თავს

და ჩვენც ტყუილად ვკარგავთ დროს ნიჭიერების საზღვრების დასადგენად. არსებობს მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები და არც ამ კრიტერიუმების ცოდნაა საკმარისი თუ მაღლი არ არის ადამიანში. რატომ აქვთ ავტორებს სხვადასხვა ხარისხისა და სიძლიერის მაღლი//ტალანტი, ნიჭი//უნარი/, აუხსნელია.

ვიცი, რომ კატულუსი ორიათასი წლისაა, პირველი ათასი წელი თითქმის დაკარგული იყო, მერე პარმის მონასტერში ერთმა ეპისკოპოსმა აღმოაჩინა მისი ხელნაწერი, გადაწერა და რენესანსის ეპოქაში ამოყვინთა მივიწყებიდან და რამდენიმე წლის წინათ ქართულადაც ითარგმნა. ვიცი, რომ რუსთაველი რვაასი წლისაა და დღესაც ასწავლიან სკოლებში და ა. შ. ვფიქრობ დროში გამძლეობა არის ერთადერთი საზომი. ამ საზომსაც მოჰყვა ივ ბონფუას ნაღვლიანი ოპტიმიზმი «დროებითი უკვდავება», ბორხესის ეჭვი, რომ პირობითია მწერლის უკვდავებაზე საუბარი და რომ ყველას თავის განსაზღვრული დრო აქვს. შევტოპე. აღარ გავაგრძელებ.

**კესო:** ნიჭიერებაზე ფიქრი ამეკვიატა, უფრო სწორად, ქართველების ნიჭიერებაზე და მინდოდა მეთქვა, ზარმაცები კი არა, მფლანგველები ვართ. ერთნაირად ვფლანგავთ, ფულსაც, დროსაც და ნიჭსაც-მეთქი, თუმცა, ბატონ გივის უკვე მშვენივრად უთქვამს ამის შესახებ...

**ირმა:** ახლა გავიგე, წიგნი უკვე ყოფილა «საუბრები ლიტერატურაზე», ხვალ გავეცნობი ელექტრონულ ვერსიას.

ქეთი, ნიჭიერები ვართ ქართველები, მე ამის მჯერა, რაც ევროპაში შევხვდი ათასი ჯურისა და ეროვნების ხალხს, მაგრამ ზარმაცები, ნელები, სხვისგან რაღაცის მომლოდინენი მუდამ, და კიდევ ფიზიკურად ძლიერები გონებასთან ერთად.

არ ვიცი, იცი, თუ არა, მაგრამ აქ ბევრს: შექსპირი, ჩოსერი, უელსი და ა.შ. თავიანთი მწერლები არ აქვთ ნაკითხი \_ კლასიკოსები, თორემ წიგნები ყოველ მეორე დღეს გამოდის, მაგრამ თავიანთ საქმეში არიან პროფესიონალები. ჩვენ ვიცი, ყველაფერი ზოგადად, და ცოტა ზერელეები ვართ უმეტესები ჩვენს საქმეში.

ასე რომ, ქართველებზე შენს აზრს და ბატონი გივის აზრს ვიზიარებ მეც.

**ანა:** მე სხვა რამის თქმა მსურდა, თითქოს...

ერთია \_ არსებობის აღიარება და მეორე \_ ადამიანის მიერ მის მიმართ ქმედითი დამოკიდებულების შემუშავება...

სულიწმინდის მაღლის გადასვლა წმინდა მამების მიერ, ხშირად, დაუჯერებელ წყალობადაა მიჩნეული...

მოვლენები თავისთავადია სამყაროში, ჩვენი დამოკიდებულება \_ გასააზრებელი... ეს მინდოდა მეთქვა/.

**გივი:** ჩვენი დამოკიდებულება მოვლენების მიმართ, მართლაც გასააზრებელია და გეთანხმები ვანუცა. აი, რამდენად და როგორ გავიაზრებთ, ეს უკვე სხვა საკითხია.

განა გრიგოლ ხანძთელი ან სხვანი, აღარ ჩამოვთვლი, ნიჭიერები ვართო, სიტყვას დაასველებდნენ? ანონიმი ავტორებით სავსე იყო ქრისტიანული სამყარო. მათი მთავარი საქმე იყო რუდუნება და გამოჩინების უარყოფა, როგორც ამპარტავნების ნიშანწყალისა, ნატამალისა, ცოდვის მისხლისა.

თუმცა რა მისხალსა და ნატამალზეა საუბარი, როცა მავანი შეპყრობილია განდიდების მანიით და ამ მიზეზით მოსვენება აქვს დაკარგული.

სულიწმიდის მადლზე შეუძლებელია საუბარი, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ პირველ საუკუნეში გავრცელებული იყო სიმონია, ანუ სულიწმიდის ყიდვის ბრყვეული მცდელობა უგუნურებში. თუმცა სულიწმიდის არსებობაში არა მგონია დაეჭვება შემეძლოს, მით უმეტეს დაეჭვებულიყვენ წმინდა მამები, მისი წყალობა კი მართლაც განსაკუთრებულია და ჩვენ არ ვიცით ვის, როდის და როგორ, მხოლოდ ვვარაუდობთ ღთაებრივის მონაწილეობასა და სულიერ თანადგომას, რადგან სხვაგვარად ვერ წარმოგვიდგენია.

საერო მწერლები, არც იშვიათად, თავს ანებებდნენ საერო ტექსტების წერას და მხოლოდ ჰიმნებს წერდნენ. ღრმად მორწმუნე მწერლის ხვედრი ასეთია საბოლოოდ, როცა იგი თვლის მხატვრულ ტექსტებს ცოდვად და თავს ანებებს აჩრდილთა შექმნას, «ცრუ შემოქმედებას».

საამისო მზაობა არაა აუცილებელი და საყოველთაოდ დასამკვიდრებელი. ამიტომაც არსებობს მწერლობა ქვეყანასა ზედა თავის ცოდვა-მადლით. სხვისი ქებით შეწუხებული მოშურნეებით და კულუარული ჭორებით, ერთმანეთის ფსევდოსიყვარულით და პრომოუშენში ჩაგირავებული სახელით, გამეძავებული ზნეობით და საცოდავი რეალობით - ტექსტებიდან რომ გადმოდის გარეთ და მკითხველის ფსიქიკაში იწყებს ფუთფუთს და სიამაყის გრძნობით, რომ ვიღაცაზე იხემოქმედე და ეს ყველაფერი ჩემში დიდ სიბრაალულს იწვევს და თანგრძნობასაც \_ მიზეზთა გამო.

**ირმა:** «სხვისი ქებით შეწუხებული მოშურნეებით და კულუარული ჭორებით, ერთმანეთის ფსევდოსიყვარულით და პრომოუშენში ჩაგირავებული სახელით, გამეძავებული ზნეობით და საცოდავი რეალობით \_ ტექსტებიდან რომ გადმოდის გარეთ და მკითხველის ფსიქიკაში იწყებს ფუთფუთს და სიამაყის გრძნობით, რომ ვიღაცაზე იხემოქმედე და ეს ყველაფერი ჩემში დიდ სიბრაალულს იწვევს და თანგრძნობასაც \_ მიზეზთა გამო».

რამდენი ხანია ვხედავ ამას,

რამდენი ხანია ვგრძნობ ამას,

და რამდენი ხანია არც მითქვამს, არც ამომითქვამს, ალბათ, იმიტომ, რომ ასე ვერ ვიტყოდი.

ნეტა, ყველას ნაკლებ გვქონდეს///ჰქონდეს განდიდების სურვილი, სახელი, სელებრიტობა, ეს და ის.

მახსოვს, ერთ გაზეთში 5 სტატია დაბეჭდეს ჩემი (10 წლის უკან, სანამ დავტოვებდი საქართველოს) და მახსოვს, ფსევდონიმებით გავიდა 4 ნაწერი \_ ირმა ნინიძე, ამირანიძე, და ა.შ.

და, ისიც მახსოვს 18 წლისამ როგორ შევყარე სამეგობრო, რომ ეგ სტატიებიც მე მეკუთვნოდა.

ჩემი აზრით, როგორც არ უნდა ვიმდაბლო თავი მე და ყველამ, ასე მგონია, რომ ყველაშია რაღაც ნაწილით ის გრძნობა რასაც ჰქვია: მაღიარეთ!

დაუკმაყოფილებლობის, ჭირვეულობის, შურისა და ყველა მომქანცველი გრძნობის გამომწვევი კია, ეს განდიდებლობის სურვილი, მაგრამ მგონია, რომ ყველა ადამიანის კოდშია რაღაც დოზით ჩადებული.

ზოგში \_ ძალიან, ზოგში \_ უმნიშვნელოდ.

მამა მეტყოდა ხოლმე ხშირად, შენ თავთან იყავი მართალი და სხვა რას იფიქრებს ნაკლებად უნდა გაინტერესებდესო, და იგივე პრინციპია მგონი მანდაც, შენი თავის და კალმის როცა გჯერა, გადიდებენ თუ არ გადიდებენ , ნაკლებ გადარდებს, მარა თუ

გაქვს ექვი შეტანილი შენს შესაძლებლობებში, მაშინ ხდება მისწრაფება იქითკენ – რომ გაღიარონ.

ისე, შეჯიბრი რომ არ იყოს, ან დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ადამიანი სადამდე წავიდოდა წინ?

**ანა:** მეჩვენება, რომ ხანდახან დისკუსიის ხაზი იკარგება.

უფრო მე ვკარგავ, ალბათ...

ასოციაციებს დავყვები.

ვეცდები უფრო მშვიდად ვიარო.

ბევრი დამიგროვდა საპასუხო იქნებ ჩამოვყვე და ხაზი გავამთლიანო...

იქნებ, ვერც...

თუ არ ვცდები, დისკუსიის ეს ხაზი კესომ შემოიტანა. მან გამოყო შემოქმედებითობის, როგორც პროცესის, დახასიათებიდან 2 ძირითადი მომენტი: შრომის და ნიჭის (რაც, ბუნებრივია ეხმიანება წინა საუბარს ტრადიციული ცოდნის ათვისების შესახებ).

თქვენმა მონა-მორჩილმა, გააპროტესტა "ნიჭის" ოპერაციონალიზიის მცდელობა... უფრო სწორად კი, ამ ცნებით მანიპულაცია...

ბატონმა გივიმ შესანიშნავად ახსნა ნიჭის რაობა, და.. აი, ბოლო აზრის მნიშვნელობა გულწრფელად არ მესმის...

ამიტომაც დავკარგე ხაზი ირმას პოსტთან...

რა კუთხით დაუკავშირეთ ბატონო გივი ტექსტებიდან მკითხველზე ზემოქმედება ამ დისკუსიას..?

სადაც აზრი გამიწყდა და... ეგებ დამეხმაროთ. მერე, მგონი ირმას პოსტსაც გავიგებ...

**ირმა:** ანა, მე სიმართლე გითხრა პოსტს ნიჭზე – სულ ბოლო აზრს გავყევი. ასეთები ვართ ქართველებიო, ეგ იყო მგონი განვრცობილი.

დისკუსიის ხაზი კი მოირღვასავით და ისეა თითქოს ჩვენ ჩვენსას ვამბობთო.

მე ის ადგილი, რაც მოვნიშნე ბატონი გივის ბოლო პოსტიდან, შენს პოსტს რა თქმა უნდა არ ეხმიანება, უბრალოდ, ეგ აზრის, ისაა რასაც ვხედავ ყოველდღე ვირტუალურ თუ რეალურ სამყაროში.

**ანა:** დისკუსიის კუთხე თუ შეიცვალა, პრობლემას ვერ ვხედავ, უბრალოდ ეგებ ცოტა სტრუქტურირებისა და ჩემნაირი დაბნეულისათვის, აღვნიშნოთ ხოლმე.

**გივი:** ანა, შემთხვევით დინებას გავყევი, მაგრამ არც მთლად შემთხვევით, რადგან საერო და რელიგიურ მწერლობას შევხეხე, როგორც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სამყაროს. ავტორის ზნეობის რაობა მაინტერესებდა ამ ორ სამყაროში და მათი გამიჯვნა ვცადე ერთი მონასმით.

რელიგიური მწერლობა მრწამსის ერთგულია და სახარების ტექსტებიდან აღმოცენდება. როგორც საერო მწერლები ამბობენ, გარკვეული იდეოლოგიური სულისკვეთების ან ვთქვათ, აღმსარებლობის «ჩარჩოებში» პოულობს დაუსაბამო სივრცესა და დროს, მაშინ, როცა საერო ლიტერატურა, უმრავლეს შემთხვევაში, ნაკლებად იდეოლოგიზებულია ან დეიდოლოგიზებულია, რაც თავისთავად უკვე იდეოლოგიაა და შესაბამისად პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე ნაწილობრივ

გააჩნია ავტორს, ან საერთოდ არ გააჩნია, ანუ ნაწილობრივ, ან სრულიად თავისუფალია და რაც უნდა გასაკვირი იყოს, მსგავსი თავისუფლება ილუზორულია და აბაზანაში მოჭყუმპალავს თავი ოკეანეში ჰგონია.

«შეზღუდულ ვითარებაში გამოავლენს თავს ოსტატი» (გოეთე)/. ამ სენტენციას ღრმა დაკვირვება სჭირდება და ძაღლის თავიც აქ არის დამარხული – «თქვა ორაკულმა».

**ქეთი:** «არსებობს მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმები და არც ამ კრიტერიუმების ცოდნაა საკმარისი თუ მაღლი არ არის ადამიანში. რატომ აქვთ ავტორებს სხვადასხვა ხარისხისა და სიძლიერის მაღლი, ნიჭი, უნარი/ – აუხსნელია.

... ვფიქრობ, დროში გამძლეობა არის ერთადერთი საზომი...»

ბატონო გივი, ამ კრიტერიუმებზეც საინტერესო იქნებოდა საუბარი.. მაღლი კი – ეს უცილობლად.

და ბოლო, მონიშნული ფრაზა ალბათ ერთადერთი დასკვნაა ამ საკითხზე გაშლილი ნებისმიერი მსჯელობისა.

**ორი ბეწო:** რადგან თემა «საუბრები ლიტერატურაზეა», მე ვაყენებ შემდგომ საკითხს – აქვს თუ არა პროზას რიტმი.

ჩემი დაკვირვებით, პროზაული ნაწარმოების წერისას, ვთქვათ, წინადადების დასრულებისას შესაძლოა არ ჩასვა ის სიტყვა, რომელიც აბსოლუტურად ზუსტად გადმოსცემს იმ აზრს, შეიცავს იმ შინაარსს, რისი გადმოცემაც გინდა, და ჩასვა სხვა, ამ სიტყვის სინონიმი, რათა არ დაირღვეს რიტმი.

ასევე რთული წინადადებებით მანიპულირება პროზაში, ხშირად სწორედ რიტმის შენარჩუნებას ემსახურება.

**გივი:** ცხადია პროზას აქვს თავის რიტმი. რიტმი არსებობს ზეპირ მეტყველებაშიც. სადაც სიტყვები წინადადებად ლაგდება იქვე ჩნდება თავისებური რიტმი. «ორი ბეწო»თუ გააგრძელებს საუბრების კითხვას ამ თემაზეც იპოვის პასუხს, თუმცა, როცა პროზის რიტმზეა საუბარი, ქართულ პროზაში უპირველეს ყოვლისა მახსენდება ვასილ ბარნოვი, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რიტმს. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია და სხვანი, უახლესი კლასიკიდან კი რეზო ინანიშვილის პროზა, რომელიც პროზისა და პოეზიის უნიკალური სინთეზია. რეზო ახერხებდა პროზის ენით აღეძრა უღრმესი ლირიზმი მკითხველში. მის ნოველებში საგრძნობია რიტმის მნიშვნელობა, რომელიც ისე გამოკვეთილი არ არის, როგორც ბარნოვთან, მაგრამ საოცრად ფუნქციურია.

ეს ხაზი პროზაში ხალხური ნოველით იწყება, რომელსაც ბრწყინვალედ ავითარებს ვაჟა-ფშაველა, მერე ვხვდებით ნიკო ლორთქიფანიძესთან უშუალო გაგრძელება-გარდასახვას, შემდგომ კი ოთარ ჩხეიძის «ჩემი სოფლის ეტიუდები» აღადგენს ამ ტრადიციას და ბოლოს რეზო ინანიშვილი აგვირგვინებს ამ უსაინტერესოეს დინებას. მიკვირს ჩვენი კრიტიკოსების, რამდენი რამეა შესასწავლი, მაგრამ ალბათ წასაკითხად ვერ იცლიან.



## ქალის ნაწნავი და გველი

განვიხილავთ ორ ნაწარმოებს, ერთს ახალი ბერძნული ლიტერატურიდან, ხოლო მეორეს ახალი ქართული ლიტერატურიდან. ესაა დიმიტრი ხაძისის «ორმაგი წიგნი» და ნიკო ლორთქიფანიძის «შელოცვა რადიოთი». ორივე ავტორი საკმაოდ განსხვავებული და საინტერესო წერის მანერით გამოირჩევა. ლორთქიფანიძის გმირ ქალს ჰქვია ბერძნული სახელი ელპიდე, რაც ნიშნავს იმედს, «ორმაგი წიგნის» მეორე ნაწილი სწორედ ელპიდას, ანუ იმედს ეძღვნება, ფაქტობრივ ესაა იმედის ძიება.

ამ ორი თხზულების განხილვა მრავალი კუთხით შეიძლებოდა, რადგან მათ საკმაოდ ბევრი საერთო აქვთ. მაგალითად, წინ წამოგვეწია ემიგრაციაში მყოფი ადამიანის სულიერი განწყობა და მარტოობის შეგრძნება, გლობალიზაციის პრობლემები პატარა ერებისათვის, მსოფლიო ომის გავლენა ადამიანის პირად ცხოვრებაზე, მამისა და დაობლებული ქალიშვილის ურთიერთობა და სხვა.

ამ ორი ნაწარმოების შედარებისას ჩვენ სასაუბროდ ავირჩიეთ სულ სხვა მოტივი.

«ორმაგ წიგნში» ერთ-ერთი საინტერესო სახეა ახალგაზრდა ქალი, ანასტასია. ანასტასია მამასთან ერთად ცხოვრობს, ისევე როგორც ელი (იგივე ელპიდე).

ანასტასია ყოველთვის დადიოდა საკუთარი ხელით დაწნული ორი სასაცილო ნაწნავით, რომლებსაც გაზრდის შემდეგაც არ იჭრიდა, არც უკან იყრიდა.

როდესაც საპატარძლოდ გამოეწყო, არც მაშინ უხლია ხელი თავისი განუყრელი ნაწნავებისთვის. ძმის დაჟინებულ თხოვნაზე, უკვე ქალი ხარ და შეეშვი ნაწნავებსო, თვალცრემლიანი ანასტასია სილას აწნის მას. ანასტასიასთვის ნაწნავები ყველაზე სანუკვარი რამაა, რაც გააჩნია.

საოცრად მეოცნებე ანასტასიას საკუთარი ოცნებები ცისფერი ჩიტების სახით ეცხადებოდნენ ბავშვობიდან მოყოლებული. დედას რომ ამ, მისთვის უცნობ ფრინველებთან არ გაეშვა, საათობით ვარცხნიდა თმას, უწნიდა და უშლიდა, თავიდან უწნიდა, რომ ახლოს ჰყოლოდა. მათშია ჩაწნილი მისი ოცნებები, დედის სიტბო. როდესაც დაიხარა, რომ მომაკვდავი დედისთვის ეკოცნა, მისი ნაწნავები დედას სახეზე დაეყარა. ამიტომ არ მოიჭრა. მათშია ანასტასიას ჩიტები, დედა.

როდესაც, ანასტასიას აღარ აქვს იმედი, აღარ ელოდება არაფერს, არც კარგს, არც ცუდს და თვლის, რომ ყველაფერი დამთავრდა, იგი საკუთარი ხელით იკვეცს ნაწნავებს. ცისფერ ფრთოსნებად ფრთაშესხმული მისი ოცნებები, რომლებიც საბოლოოდ გაანალიზა, რომ მისი შინაგანი ხმა იყო, მოკვდა და აღარ მოდიან მასთან ჩიტები. მე ისინი დავხოცე ჩემში, ამბობს ანასტასია და ახლა საკუთარ თავში დაატარებს მკვდარი ჩიტების საფლავებს. ეს ჩიტები იყო სიხარული. დაკარგული ოცნებების სიმბოლოა ეს თმის მოკვეცა.

შეიძლება გლოვაცაა, თუკი გავიხსენებთ, რომ გლოვისას ქალები თმას იშლიდნენ, ან იკვეცავდნენ – განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ევრიპიდეს «იფიგენია ავლისში» იფიგენია დედას მიმართავს – არ მოიკვეცო დალალი გლოვის ნიშნად.

როდესაც ანასტასიას თმა ჰაერში განიბნევა, მწერალი წერს ერთ სიტყვას: დასასრული.

ელის აღსასრული გველებთან ერთად მოდის. როდესაც ელის ერთადერთი ოცნება თბილისში, სახლში დაბრუნება ხდება, იგი მზადაა იცეკვოს შხამიან გველებთან, თუკი სანაცვლოდ შინ დააბრუნებენ. და გველის შხამიანი ნაკბენით დაგესლილი ელი ასრულებს ცეკვას. მისი გადარჩენა ვეღარ ხერხდება. ფაქტობრივ, ელი გველების საშუალებით ეწირება თავის ოცნებას.

ამ ორი ნაწარმოების წაკითხვისას ელის გველები და ანასტასიას ნაწნავები დავაკავშირეთ ერთმანეთთან. ორივე სიმბოლო საკმაოდ ცნობილია ფოლკლორშიც და მითოლოგიაშიც.

რაც შეეხება ქალის ნაწნავს და ზოგადად თმის მოკვეცას, გრძელი თმა ქალის მშვენიერად ითვლებოდა. იგი მუდმივი ქალოვნების ნიშანი იყო. კრისტა ვულფის «მედეაში» ავტორი ამბობს, რომ მხოლოდ კოლხი ქალები დადიან თმაგამლილი, რაც მათ სიამაყეზე მიუთითებს.

ფრიდა კალჰო, როდესაც შორდება დიეგოს, 1940 წელს ხატავს ავტოპორტრეტს მოჭრილი თმით. ცნობილია, რომ დიეგოს ძალიან უყვარდა ფრიდას გრძელი ნაწნავები და ამგვარად სამაგიეროს უხდის მას.

მითიური დალის ღვთაებრიობის სიმბოლო მისი ოქროს დალალია. როდესაც მას ოქროს ნაწნავს კვეცენ, დალი კვდება. თმაში აქვს ძალა აგრეთვე ძველი აღთქმის ბიბლიურ გმირს სამსონს, როდესაც თმას მოკვეცენ, ძალასაც კარგავს.

ჯადოს გაკეთებისას იყენებენ თმას.

საქართველოში მარიამის ხსენების წინა დამეს იცოდნენ ჭეჭეთობა, მზაკვრების დღე. ამ დღეს მზაკვრები, ავი სულები თავიანთ უფროსს, როკაპს უნდა წარუდგნენ. ჩვეულებრივი ხალხი თავს იცავს მზაკვრების შემოსევისგან. მნიშვნელოვანია, რომ ამ დღეს დიასახლისი ოჯახის წევრებს სწორედ თმაზე აკრავს სანთელს. თავის ნაბან წყალს გარეთ არ ღვრიან, რომ თმა არ გადაყვეს და მზაკვარმა არ წაიღოს. ვინც არ გაფრთხილდა, მას მზაკვარი მიეპარება მძინარს და თმას ამოაჭრის ფრჩხილის სიფართოდ თავზე და ამ თმის კოშთან ერთად მიაქვს გულის ნაწილი იმისა, ვისაც თმა ეკუთვნოდა.

ქართულ მითოლოგიაში ტყაშმაფების, იგივე ტყის ალქაჯების დასამორჩილებლად მათ თმას მოკვეცავდნენ და უმაღავდნენ. ამის შემდეგ ტყაშმაფა ჩვეულებრივი ქალივით ცხოვრობდა ოჯახში მანამ, ვიდრე არ იპოვნიდა თავის მოკვეცილ თმას. თმის დაბრუნებისთანავე ტყაშმაფა თავისუფალი იყო და ტყეში ბრუნდებოდა. როდესაც ტყაშმაფა ან წყარიშმაფა ვაჟს დაიმორჩილებდა, თუ ვაჟის ცოლი ან დედა ღამით მძინარ ალს თმას დაბანდა, ალქაჯი ამას დიდ პატივისცემად იღებდა და სანაცვლოდ ვაჟს ათავისუფლებდა.

სანადიროდ წასული მონადირის ცოლს ტაბუს დაცვა უწევდა. მას ეკრძალებოდა თმის გაშლა და მით უმეტეს თმის დაბანა.

ნაწნავი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ზოგჯერ გვევლინება დამაკავშირებელ ხიდად, გავიხსენოთ ფოლკლორში მზეთუნახავი ნაწნავს უგდებს მიჯნურს, რომ ცაში დაკიდულ კოშკში აიყვანოს.

მთვარის მოტაცებაში ჩართულია ზღაპარი ოქროსკბილიან ვაჟსა და ოქროსნაწნავებიან ქალზე. ქალი ნაწნავს იკვეცს და ვაჟს შეზიზღდება.

შესაძლოა ამ მითზე ააგო გამსახურდიამ «მთვარის მოტაცება». ფაქტია, რომ ამ რომანში ნაწნავის მოკვეცა არის ხიდის ჩატეხა ქალ-ვაჟს შორის.

აღსანიშნავია, რომ თარაშს თავზე ნაწნავებზემოგრაგნილი თამარი აგონებს ინდურ ღვთაებას, თავ-კისერზე გველებით შეგრაგნილს.

სხვა ეპიზოდში: იჯდა ასე ნამორზე თამარი და ღამესავით მრუმე ნაწნავი უშველებელ გველსავით შემოდებოდა კისერზე.

ქალის ნაწნავი გველსაა შედარებული პოეზიაშიც.

ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად – ბესიკის ცნობილ ლექსში «ტანო ტატანო».

პაოლო იაშვილთან - დაღალნი დაშლილან მღელვარე გველებად.

საგულისხმოა, რომ მედუზას თავზე თმების ნაცვლად გველები ჰქონდა. რაც ვიზუალურად ნაწნავებს ჰგავს. ნაყოფიერების ქალღმერთების და მიწის დედის გამოსახულებები არის ქალი თავზე გველებით ნაწნავების მაგივრად.

გველი თავისთავად ძალიან საინტერესო სიმბოლოა. გველის სხეულის ფორმა ბადებდა მრავალშედარებას. ბოლოს და ბოლოს იგი გახდა ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიმბოლო.

ბერძნებისთვის გველი ტოტემი იყო. გველების თაყვანისცემა იყო იუდაიზმშიც, სადაც ის გადავიდა ლემურიული კულტურიდან და შეინარჩუნა თავისი მაგიის მრავალი შტრიხი. მეზირის კულტი საკმაოდ ძლიერია საქართველოს მთიანეთში. გველი წმინდა ცხოველად ითვლება, ფუძის მფარველ ანგელოზად. ხთონური სიმბოლოა. იცავს მიწისქვეშა სამეფოს საგანძურს. გველს აქვს ნატვრის თვალი. თუ ხელში ჩაიგდე, სურვილი აგისრულდება. ამდენად, გველი დაკავშირებულია ოცნებებთან, ნატვრასთან. ელისთვისაც ოცნების ახდენის იმედია გველები.

ხელოვნებაში გველი არის სიბრძნის ქალღმერთის ათენას, მინერვას ატრიბუტი და დაკავშირებულია კეთილგონიერებასთან, წინასწარმეტყველების ნიჭთან. ლეგენდის თანახმად, ტროელი ნათელმხილველი კასანდრა თავის ნიჭს უნდა უმადლოდეს აპოლონის წმინდა გველებს, რომლებიც ულოკავდნენ ყურებს.

ქართულ ფოლკლორში, გველი ენის ენაზე შეხებით ვაჟს ფრინველთა და ცხოველთა ენის გაგების უნარს გადასცემს. ჩეხურ ზღაპრებშიც გველის ჭამის შემდეგ ესმით ცხოველთა და ფრინველთა ენა. გავიხსენოთ ვაჟას პოემა «გველისმჭამელი». იქაც გველის მეშვეობით კაცი საოცარ უნარს იძენს და კარგავს მას ცოლის, ქალის გამო.

ქალისა და გველის ურთიერთობა უძველესი წარსულიდან იღებს სათავეს. გველი იცვლის პერანგს, მაგრამ არ იცვლის ნატურას, რაც ჩვენი აზრით ძალიან ქალურია. ინგლისურად სიტყვა შარმის ერთ-ერთი მნიშვნელობაა გველების მოშინაურება. ჯერ კიდევ ედემის ბაღში ევა სწორედ გველის მეშვეობით იდენს პირველ ცოდვას. საგულისხმოა, რომ პირველქმნილი ცოდვის მოკვეცის სიმბოლოა სწორედ ნათლობისას მოჭრილი თმა – მაცდური და ცდუნების ობიექტი – ევა გაერთიანდნენ და ქალი და გველი ერთ სხეულად წარმოადგინა ავტორმა. ესაა ილუსტრაცია ერთ-ერთი აპოკრიფისა, რომელშიც გველი, ადამის ცდუნების მიზნით იღებს ქალის სახეს.

გველი აგრეთვე არის ევას სიმბოლო, გველის მსგავსი ქალღმერთი, სიცოცხლის მიმცემი.

მოგვიანებით გველის გამოსახულება გამოიყენებოდა როგორც ქრისტეს სიმბოლო ჯვარზე. წმინდა ნინო ნაწნავით კრავს ჯვარს.

აქვე აღვნიშნავ, რომ გველს გამოსახავენ ქრისტეს ჯვარცმის სცენებში ჯვრის ძირას, როგორც პირველქმნილი ცოდვის სიმბოლოს, აგრეთვე მარიამის ფეხებთან. საყურადღებოა, რომ მეძავი, რომელიც საკუთარ ცოდვებს ტირილით გამოისყიდის ქრისტესგან, სწორედ თმით უმშრალეხს ფეხებს.

გველის სიმბოლიკას ვხვდებით აგრეთვე ნაყოფიერების ღმერთებისადმი მიძღვნილ ანტიკურ რიტუალებში, დამახასიათებელია სემიტური ნაყოფიერების კულტებისათვის. ხე ზედ შემოხვეული გველით – ახლო აღმოსავლეთის ნაყოფიერების ქალღმერთის ემბლემაა. როგორც ადასტურებენ მიწის ქალღმერთების სხვა მრავალი გამოსახულებები, რომლებსაც ხელში უჭირავთ ფალოსის მაგვარი გველები, ნაყოფიერების სიმბოლო. ეს ცხოველები თამამობდნენ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ხმელთაშუა ზღვის და ახლოაღმოსავლეთის სამიწათმოქმედო კულტებში.

აერთიანებს თავის თავში მამაკაცური და ქალური საწყისების სიმბოლოებს.

ჩინეთში ის ქალური საწყისის ინის განსახიერებაა. გველის სიმბოლო ზოგჯერ გამოვლინდება მამრობითი სქესის გველის სახით. ამ კონტექსტში იგი მამრობითი საწყისია და სხვადასხვა კულტურებში იგულისხმება ფალოსურ სიმბოლოდ. უნაყოფობისგან კურნავს მიწას და ქალებს. საგულისხმოა, რომ, უძველეს ზღაპრებში ვხვდებით ცეცხლოვანი გველის სახეს. იგი აკითხავს მხოლოდ იმ ქალებს, რომლებსაც დიდხანს და ძლიერად ენატრებათ გარდაცვლილი ან შორს წასული ქმარი.

საგულისხმოა, რომ ელი გველებთან ცეკვისას ცივი ტანის შეხებამ ნეტარებას მისცა. ხელისა და ფეხის თითებამდე მისული ვნებით მოძრაობდა და სიყვარულით გაჟღენთილი, ამღვრეული მინელებული თვალები ქვე დახარა და გაპოზილი ბაგენი უნდოდა დაეკოცნა ჭრელი მიჯნურებისთვის... და სწორედ ამ მომენტში ნაწარმოებში პირველად ვგებულობთ ელის ეროტიულ ფიქრებს. ელი ცეკვის დროს იხსენებს მამაკაცს, რომლის შეხებაც იქნებოდა მისთვის უმწვავესი და უტკბესი... მაგრამ ეს შეხება არ ყოფილა. მანამდე უცნობი პერსონაჟი, ელის სასურველი მამაკაცი, სწორედ გველებთან ცეკვის ეპიზოდშია ნახსენები პირველად და უკანასკნელად. ანასტასიაც საუბრობს საკუთარ ეროტიულ ფანტაზიებზე და პირველად ვგებულობთ, თუ ვინაა მისი ოცნების მამაკაცი და იქვე იკვეცს ნაწნავებს. არც ანასტასია შეხებია სასურველ მამაკაცს, რადგან მის ცხოვრებაში ყველაზე მამაკაცური ფიგურა მისი ძმაა. სხვა არავინ იყო და ემინოდა არ შეყვარებოდა საკუთარი ძმა. და საბოლოოდ, სწორედ მას გადასცა თავისი მოკვეცილი ნაწნავები. აღსანიშნავია, რომ მამაკაცთან ეროტიული კონტაქტი ორ ნაწარმოებში ამ ორი ეპიზოდით სიმბოლიზირდება.

ცეკვა გველებთან და ნაწნავის მოკვეცა. ელის შეხება გველებთან, ანასტასიასი კი თმასთან ინტიმური მომენტია, ორივე უკავშირდება მამაკაცს. ესაა ამ ნაწარმოების გმირი ქალების ეროტიული ემოციის გამოხატულების პიკი.

ორივე ქალი სასურველ მამაკაცს ნებდება მხოლოდ ფიქრით. ელი ამ დროს ეხვევა გველებს და მათი ცივი სხეულის შეხებით იღებს სიამოვნებას, ანასტასია კი ეხება საკუთარ ნაწნავებს, რომლებსაც გადასცემს სწორედ იმ სასურველ მამაკაცს, რომელსაც თავად არასოდეს შეხებია.

ქალის თმის დანახვის და მისით ტკბობის უპირატესობა მხოლოდ ქმარს აქვს. ქალი თმას იშლის მეუღლის წინაშე. ეს ტრადიცია ბოლო დრომდე არსებობდა საქართველოს მთიანეთში და ღრმადმორწმუნე მუსულმანურ ოჯახებში დღემდე არსებობს. საგულისხმოა, რომ ანასტასია იკვეცავს თმას და ძმას გადასცემს. ძმა ვერასოდეს იქნება მისი ქმარი და აძლევს თმას, რაც მისი კუთვნილება უნდა ყოფილიყო. მაგრამ ის ჰაერში განაზნევის.

გველი რომელიც წევს მინერვას ფეხებთან აღნიშნავს განსაკუთრებულ ზრუნვას ქალწულებზე. ანასტასიას ფრინველები, მისი ქალწულური ოცნებებია, რომლებსაც

იგი ინახავს ნაწნავებში ჩაწნილს. ნაწნავებს უწნიდა დედა, ანუ იცავდა მის ქალწულობას. იჭრის მას შემდეგ, რაც ფიქრით ნებდება სასურველ მამაკაცს.

ანასტასია ამ ნაწნავებთან ერთად მას აძლევს ქალწულობას.

მართალია, ანასტასიას ჰყავს ქმარი, მაგრამ ის და მისი ქმარი ერთმანეთისთვის უცხოები არიან. ქმარს ანასტასია არც სძულს, არც მასზე ზრუნავს. მისთვის ანასტასია არ არსებობს. ელიმაც ვერ იპოვა ქალური ბედნიერება. ელი თხოვდება და პირველივე ღამეს გამოექცევა ქმარს, რომელიც საშინელი არამზადა აღმოჩნდება. თხოვდება მეორედ და ქმარი გაექცევა. რჩება ბავშვის ამარა, მამასთან ერთად. – გაუჭირდათ. გაჰყიდეს. დააგირავეს უსაჭიროესიც...

ელი საბოლოოდ «უცხოელის ხასა» ხდება და მასთან ერთად მოგზაურობს, თუმცა ხვდება, რომ ადრე თუ გვიან კავალერი მას სხვაზე გაცვლის.

ანასტასია ეუბნება მწერალს, რომ მასში გაღვიძებულმა ქალმა ვერ იპოვა ის მამაკაცი, რომელსაც ეძებდა, რომელსაც ელოდა, უკვე ოცდახუთი წლისაა, მასში გაიღვიძა ქალურმა ხმამ და იფანტებოდა სიყვარულის, მამაკაცის გარეშე. ეს მდებრობითი ბუნება ითხოვდა მამაკაცთან ურთიერთობას.

მათ, ვინც მის გარშემო იყვნენ, არც ერთს უნდოდა სულელურ ნაწნავებიანი გოგო, არც ერთი შეეფერებოდა. შემეძლო დავრჩენილიყავი ჩემს ცისფერ ფრთოსნებთან ერთად, მაგრამ მჭირდებოდა შეუღლება. მეორე ხმა ჩემში ამას ითხოვდა. და აღარ ველოდი ჩიტებს, მხოლოდ ვასილის ველოდი, რომ ყველაფერი დაესრულებინაო და თხოვდება სიყვარულის გარეშე. ანასტასია მიჰყვება ქმარს მის სამშობლოში. და ეს ახალი სახლი არის მისი მოგზაურობის დასასრული, ბოლო გაჩერება. და ანასტასია აღარ ელოდება აღარაფერს ახალს.

ორივე ქალი ეძებს სიყვარულს და მიუხედავად იმისა, რომ ორივეს გვერდით დგანან მამაკაცები, ისინი მაინც მარტო არიან. ორივე ქალი უბედურია, რადგან მათ გვერდით მყოფი მამაკაცები უღირსები არიან, ან მშიშრები, ან მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ.

დასკვნას რამდენიმე პუნქტად ჩამოვყალიბებთ:

1. გველებით სიკვდილი და თმის მოკვეცა დაკავშირებულია ზოგადად ოცნებების სიკვდილთან. ელი ველარასოდეს დაბრუნდება თბილისში, ანუ ის ოცნება, რომლის გამოც ელი მიდის რისკზე, ველარასოდეს ასრულდება. ანასტასიას თმაში ჰქონდა ჩაწნული საკუთარი ოცნებები და ისინი ქალის მოკვეცილ თმასთან ერთად განიბნევიან ჰაერში.

ესენი არიან ქალები, რომლებსაც აღარ სჯერათ ოცნებების, რომლებსაც ცხოვრებამ ყველა იმედი გაუცრუა. ახლა თითქოს ორივემ ხელი ჩაიქნია ყველაფერზე. ანასტასია იკვეცავს ნაწნავებს, რომლებსაც წლების მანძილზე იზრდიდა, რადგან ამ ნაწნავებში ახლა მხოლოდ მკვდარი ოცნებების საფლავები ღიაა ჩაწნული.

2. ორივე ეპიზოდი, თმის მოკვეცაც და გველებთან ცეკვაც, ამ ორი ნაწარმოების ეროტიული პიკია, გმირი ქალების სექსუალური ფანტაზიის მწვერვალი.

3. იკვრება წრე: გველები, ცეკვა, თმა, მამაკაცი. გავავლოთ პარალელი «მთვარის მოტაცებასთან». თამარი ცეკვავს ფოქსტროტს, როდესაც პირველად ნახულობს თარაში მას თმამოკვეცილს. აქ ერთმანეთს უკავშირდება ცეკვა, თმა (რომელიც გველს აგონებდა თარაშს) და მამაკაცი. თამარი რჩება თმის გარეშე და მამაკაცის გარეშეც.

ჩვენს მიერ განხილული ორი ნაწარმოების მიხედვითაც ერთმანეთს უკავშირდება ცეკვა, გველი, თმა და მამაკაცი. თმასთან და გველთან შეხება ასოცირდება სასურველ მამაკაცთან შეხებასთან და ამ ორი შეხებით რაღაც სრულდება.

გველთან და თმასთან შეხება წყდება. ორივე ქალი კვდება, ერთი ფიზიკურად, მეორე კი როგორც ქალი, რომელიც უკვე ფიქრითაც წყვეტს კავშირს სასურველ მამაკაცთან.

## ნინო დარბაისელი

### როგორ ვმუშაობ ლექსზე

უნდა ვაღიარო, რომ არასოდეს მივეკუთვნებოდი იმ ბედნიერ პოეტთა რიცხვს, რომელნიც შეიძლება "მუზის ნებიერად" იწოდებოდნენ. იმთავითვე ჩემი ყოველი ლექსი ხანგრძლივი ფიქრისა და მუშაობის შედეგია. საწყის ეტაპზე, ჩვეულებრივ, მაქვს ხოლმე ის, რასაც ანგლო-ამერიკულ ლექსმცოდნეობაში «"პრე პოემს"» უწოდებენ, რაღაც მონახაზი, ფრაგმენტი პირადი დღიურიდან, რომელსაც არცთუ რეგულარულად ვწერ. შემდგომ ვიწყებ ფიქრს იმაზე, თუ რა არის საჭირო, რომ ეს ფრაგმენტი ლექსს საფუძვლად დაედოს (ყოფილა შემთხვევები, რომ მუშაობის პროცესში საწყისი კონცეპტი უკუმიგდია და სრულიად სხვა მიმართულებით წამიყვანია ლექსი.)

როცა თემა მონიშნული მაქვს, ვიწყებ ლიტერატურის დამუშავებას, ახლიდან ვეცნობი, შეძლებისდაგვარად, ყველა იმ ქართულს თუ უცხოურ ლექსს, რომელიც რაღაცით უკავშირდება ჩემს ჩანაფიქრს, ვეძიებ ახალ მასალებს. ვაანალიზებ, ვცდილობ დავადგინო, რა ეტაპამდე არის დამუშავებული ჩემთვის საინტერესო კონცეპტი, რა შეიძლება შევმატო მას, როგორც პოეტმა ინდივიდმა. თუ დავადგენ, რომ რაღაც საჩემო მართლაც არსებობს, ვიწყებ მუშაობას ლექსიკონებში. ვაგროვებ სიტყვიერ მასალას, ვადგენ მნიშვნელობებს, ვცდილობ, შემოვსაზღვრო კონოტაციური ველი.

ჩემი სამუშაო ფურცელი თავდაპირველად ასე გამოიყურება: ფურცლის შუაში არათანამიმდევრულად, ერთმანეთს მოსდევს სიტყვათა სინო-ნიმები, ანტონიმები, ფრაგმენტები, ველებზე მეტ-ნაკლები წესრიგით ჩამოწერილი მაქვს ფრაზები, რომელიც სავარაუდოდ დამ-ჭირდება.

როცა დავრწმუნდები, რომ კოლექტირების ანუ მასალის მოგროვების პროცესი ჩამოვიტოვე, ვიწყებ სელექცირებას, ანუ არჩევას ოპტიმალური ვარიანტებისა ვსინჯავ, როგორ ჩაჯდებიან ისინი ჯერ მცირე კომპოზიციურ მონაკვეთებში, ამასობაში ლექსის უამრავჯერ გადათე-თრება მიხდება. საშუალოდ ოციდან ოცდაათ ფურცლამდე.

(მერე ამ ფურცლებს სახსოვრად ვჩუქნი ჩემს ერთ უფროს კოლეგა-მეგობარს, რომელსაც მრავალი პოეტის მიერ ნაჩუქარ ასეთ ხელნაწერთა კარგი კოლექცია აქვს. აქ არ დავასახელებ ვინაობას, რადგან დარწმუნებული არა ვარ, ამჟამად დაინტერესებული იყოს იმ პროექტის დეტალების გამხელით, რომელზეც წლების მანძილზე მუშაობს).

განვავრძობ: როდესაც ცალკეული, მეტ-ნაკლებად დასრულებული ფრაგმენტები მზად მაქვს, ვიწყებ ფიქრს მთელი კომპოზიციის მონტაჟირებაზე, ვადგენ, რით სჯობია დაიწყოს ლექსი, როგორ განვითარდეს სახეობრივი დინამიკა, რომ ფინალამდე ეფექტურად მივიდეს. ამ ეტაპზე მყოფ ნამუშევარს მე მოქანდაკეთა პრაქტიკაში ცნობილ სახელს «"ბალვანკას" ვუწოდებ" და იგი ასე გამოიყურება: კომპოზიცია შეკრულია, მაგრამ ცალკეული ფრაგმენტების კონფიგურაციის გამო საჭირო ხდება ცვლილებების შეტანა მათში, რათა საერთო ბმა ბუნებრივი გამოვიდეს. ამის გამო ხშირად მიხდება თითქოსდა დალაგებული პასაჟის მთლიანად "აყირავება", ნეოლოგიზმებიც ანუ სიტყვები, რომელთაც თავად ვაწარმოებ, ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით, ამ დროს იბადება. მაგრამ ვიდრე მათ ლექსში შევიტანდე, ვცდილობ, რაც შეიძლება მარჯვედ ჩავსვა, სხვადასხვა დონის კავშირი დავუმყარო სხვა სიტყვიერ მასალასთან, რომ უცხო სხეულად არ გამოიყურებოდნენ. ამის გამო, მიხდება ხოლმე დამატებითი სიტყვების, წინადადებების შეტანა ტექსტში.

ბოლო ეტაპის სამუშაო უკვე ხარაჩოების მოხსნაა, ანუ წაშლა იმისა, რაც თავისთავად, მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არ არის, მუშაობაშიც ძალიან დამეხმარა, მაგრამ საბოლოო ვარიანტს ხელს უშლის, სიმსუბუქეს ართმევს. როცა ამ ეტაპს გადავლახავ, ვამბობ ხოლმე, რომ როგორც იქნა, "ლექსი ამოვასუნთქე".

საბოლოო სამუშაო \_ ინტონაციაა. სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებების მორგება, რომ ლექსი უშუალოდ შთაბეჭდილებას ქმნიდეს მკითხველში. საბოლოოდ, გადათეთრებულ ლექსს "ვასვენებ", ვცდილობ, რაღაც ხნით გავგრილდე, დავივიწყო, რათა "მტრული თვალით" წაკითხვის საშუალება მომეცეს. თუ ამ "მტრულ", კრიტიკულ თვალს გაუძლო და მასთან საბოლოოდ არაფერი აქვს, ვასკვნი, რომ გამომივიდა და საკუთარ თავს «"ხელს ვართმევ"».

ცხადია, ეს ყოველივე ჩემი შემოქმედებითი პროცესის ყველა მხარეზე სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა, მაგრამ მეთოდის შესახებ კი, ვფიქრობ გარკვეული სურათი შეექმნება ამის წამკითხავს, რომელიც შესაძლოა ჩემი, როგორც პოეტის «თვითდემითოლოგიზაციამ» ორჭოფულადაც დააფიქროს. მაგრამ რას ვიზამ!

ასე არამიმზიდველად გამოიყურება გულწრფელად გადმოცემული რეალობა.

**რედაქციისაგან:** ქალბატონი ნინოს ამ წერილს ფორუმში რამდენიმე გამოხმაურება მოჰყვა...

**გივი ალხაზიშვილი:** იეტის ხელნაწერი არავის უნახავს, ვიდრე საბოლოო ვარიანტს არ დაწერდა. არავინ იცის, რომელი სიტყვა რომლით შეცვალა, რა პასაჟი ამოიღო, რა გადააგდო, რა ჩაამატა, რა გადაასხვაფერა, მოკლედ, ეს ყოველივე საიდუმლოდ დარჩა. მოგეხსენებათ რაგვარი პატივით მოიხსენიებს ელიოტი, პაუნდი და სხვებიც იეიტსს, როგორც უდიდეს პოეტს, რომელიც ტრადიციული უწყების ახლებურად გამომსახველი და ამავე დროს შემნახველიცაა.

ნინოს მთელი მისეული ტექნოლოგია ლექსის წერისა დაწვრილებით აქვს აღწერილი, თან საინტერესოდ. ეს ახალგაზრდებისთვის გამართული მშვენიერი მასტერ-კლასია. პროფესიონალიზმი აუცილებელია ყველგან და ყველაფერში. დაუგდეთ ყური დარბაისელს.

ლექსის წერის ტექნოლოგია იმდენივეა, რამდენიც ავტორი, სერიოზულ ავტორებს ვგულისხმობ. ნინოს მიერ ნაჩვენები "ბალვანკა", ალბათ, ზოგისთვის მისაღებია,

ზოგი კი სხვაგვარად მუშაობს, მაგრამ არის ნიუანსები /რაზეც ნინო წერს/, თითქმის ყველა პოეტისთვის რომ საერთოა და ეს სულაც არ უშლის ხელს ინდივიდუალობის მკაფიო წარმოჩენას.

**ნინო:** ნინო დარბაისელს...

ნინო გაოცებული ვარ!

წავიკითხე «ებლიტფოს» პროექტ «ჩემ ხუთეულში» გამოქვეყნებული «შენი ხუთეული», სიტყვები არ მყოფნის, არც არაფერს ვიტყვი და უბრალოდ ჩავიკარი გულში ლექსები...

და რატო ვარ გაოცებული უფრო, " როგორ ვმუშაობ ლექსზე" წავიკითხე და ნუთუ არ გაშინებს დანაბერი ქარები?! \_ მხიბლავს ასეთი ადამიანები...

და ერთი თხოვნა მაქვს: იქნებ დადო ისეთი ლექსი პოეზიის გვერდზე რომელიც უცებ მოვარდა და რაღაც 2 ან 3 წუთში გადმოიღვარა ფურცელზე...

გთხოვ, რა ნინო, იმედი მაქვს გექნება ასეთი ლექსი და მართლა ძაან მაინტერესებს...

**P.s.** უკაცრავად თუ თემას გადავუხვით, უბრალოდ ის ვთქვი რაც მე მაინტერესებს ყოველთვის, ადამიანი-პოეტისაგან...

**ქეთი გზირიშვილი:** წავიკითხე ქალბატონი ნინოს ძალიან გულწრფელი წერილი ლექსზე მუშაობის შესახებ.

ძალიან საინტერესო იყო და თავისთავად გამიჩნდა სურვილი, პარალელები მომეძებნა საკუთარ "ტექნოლოგიასთან". გავბედავ \_ დავწერო..

მოგვიანებით ბატონი გივის აზრიც წავიკითხე:

"მაგრამ არის ნიუანსები /რაზეც ნინო წერს/, თითქმის ყველა პოეტისთვის რომ საერთოა და ეს სულაც არ უშლის ხელს ინდივიდუალობის მკაფიო წარმოჩენას."

გეთანხმებით, ნიუანსები კი.. მაგრამ ისე, რომ \_ მოდი, ამაზე დავწერ \_ ეს ჩემთვის უცხოა. მე დაწერის მერე ვასწორებ (თუ ვთვლი, რომ ჩასასწორებელია) და დაწერამდე არ ვიყენებ ლექსიკონებსა და სხვა ლიტერატურას. წერისას მოდის ერთი სიტყვის "ათასი" სინონიმი და თუ პირდაპირ კომპში ვკრეფ, სწრაფად ვშლი, თუ ფურცელზე - რჩება მერე დაჯღაბნილი. როგორც ჩანს, გონება უამრავ სიტყვას ინახავს, თუნდაც ერთხელ ამოკითხულ-გაგონილს და ლექსის წერისას თავზე ყველა (იმ მომენტში საჭირო \_ ემოციის, სათქმელის ასოციაციური) ერთად მატყდება ხოლმე.

ახლა, ნინოს თხოვნაც წავიკითხე და ვუერთდები \_ ძალიან მაინტერესებს ქალბატონი ნინოს "უცებ მოვარდნილი ლექსი"..

**ქეთი დიდიშვილი:** ქეთ, მე უკეთესს ვეტყვი, არასოდეს ვიცი რას ვწერ, ანუ წინასწარ თემა არ მაქვს და არც სიტყვები და მხოლოდ მერე, როცა ეს რაღაც დაწერილია, მერე შეიძლება შევცვალო სიტყვები, ფორმები და ა. შ. ამიტომაც მე უფრო განწყობის ლექსები მაქვს, სადაც მეტი ემოციაა, ვიდრე კონკრეტული შინაარსი, რაღაც მელოდია, რომელიც სიტყვების სახით მოდის...

ნინო დარბაისელის წერილი ძალიან საინტერესოა და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ყველა გულწრფელი აღსარების ხასიათზე დაგვაყენა.

**ქეთი გზირიშვილი:** ჰო, მეც ასე, კესო, უცებ \_ არსაიდან, ხანდახან გასაღიმებელ გარემოში და ადგილზე..



და სწორედ, რომ ამ წერილის გამოწვეულია ახლა ეს გულწრფელობა.

**გივი ალხაზიშვილი:** მე კი მაინტერესებს იეიტსი რატომ არ აჩენდა თავის ჩასწორებულ ხელნაწერებს და ბუნებაშიც არ ტოვებდა, როგორც აღნიშნავენ მკვლევარები.

გასაგები მიზეზების გამო იეიტსს ამას ვერ დავეკითხები, მაგრამ რჩება სივრცე ვარაუდისთვის, რასაც პოეტური გარჯის კვალის დამალვა ბუნებრივად აჩენს და ვფიქრობ დაკავშირებულია იეიტსის ოკულტურ ცნობიერებასთან. შესაძლოა ვცდები და არ ვამბობდე სიმართლეს, მაგრამ უფლება მაქვს ვარაუდი გამოვთქვა, მეტადრე, რომ ცნობილია იეიტსის არამხოლოდ ოკულტიზმით დაინტერესება, არამედ საფუძვლიანი ოკულტური "საქმიანობა".

როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ჩვენშიც რომ გამოდიოდეს რითმების ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, რომლითაც ლექსის წერის სწავლა შეიძლება, თან ყველანაირის, ალბათ ზოგიერთი დაინტერესდებოდა ამ საქმით, თუმცა შედეგი ინდივიდის ნიჭის ხარისხზეა დამოკიდებული -უპირველეს ყოვლისა. ამერიკულ უნივერსიტეტებში მასტერ-კლასებზე ასწავლიან ყოველივე ამას, მაგრამ იმისათვის, რომ კარგი პოეტი გახდეს, ეს არაა საკმარისი, მაგრამ ამის ცოდნა აუცილებელია.

**ქეთი გზირიშვილი:** ეს წუთია გავიფიქრე (თუმცა პირველად არა), რომ გამიმართლა \_ (რაკი წერა დავიწყე) ისეთ გარემოში მომახვედრა ღმერთმა, სადაც გაზრდისთვის საჭირო ყველა პირობაა, მხოლოდ თვალის გახელა და გულისყურის მოკრება მჭირდება.. რასაც ძალას არ ვაკლებ (შედეგის რა გითხრათ).

ბატონო გივი, მიყვარს თქვენი კითხვა.

**ქეთი დიდიშვილი:** მე და ქეთი ერთი გზებით დავდივართ, ერთნაირი ფიქრებით ჯერ ახლადფეხადგმულები და უფრო საკუთარ თავში, საკუთარ განცდებში ვფუთფუთებთ, საკუთარ თავს ვეძებთ (ქეთ, მაპატიე, შენც რომ ჩაგითრიე), ეს გარემო კი ძალიან გვეხმარება, სხვაგან სად გვექნებოდა საშუალება ასეთი საინტერესო საუბრების მოსმენისა.

ბატონო გივი, თქვენ წერთ, რომ კარგი პოეტი რომ გახდეს, ამისათვის ბევრი რამის ცოდნაა საჭირო (ვთქვათ, რასაც ამერიკულ უნივერსიტეტებში ასწავლიან), და ამას მე მუდმივად ვგრძნობ (ანუ იმას, რომ ბევრი რამ არ ვიცი), მაგრამ ხომ არან პოეტები დაბადებით?

**გივი ალხაზიშვილი:** ამერიკულ უნივერსიტეტებში მასტერ-კლასებზე ასწავლიან ყოველივე ამას, მაგრამ იმისათვის, რომ კარგი პოეტი გახდეს, ეს არაა საკმარისი, მაგრამ ამის ცოდნა აუცილებელია.

კესო, ამ სიტყვებს, ალბათ, არ მიაქციე ყურადღება.

დაბადებით პოეტიო, შენ ამბობ, დაგეთანხმები და გეტყვი, რომ ნიჭი აუცილებელი პირობაა და სწავლა და წვრთვნა სწორედ "დაბადებით პოეტს" წაადგება სხვებზე მეტად. პოეტისთვის ორი რამ არის საჭირო: 1. ნიჭი /რაც არ, ვერ ისწავლება და 2. ღრმა ცოდნა/ რაც, ისწავლება და მიიღწევა/. ამ ორი პირობის თანხვედრა ყოველთვის უაღრესად საინტერესოა, მაგრამ იშვიათია.

**მარიამ წიკლაური:** ნინო დარბაისელის "აღსარების" მერე, პირობა ხომ არ დავდო, რომ ლექსს ცხოვრებაში აღარ დავწერ ანუ ვეღარ დავწერ, რადგან თავი "უსინდისო"

მგონია, თუ ადამიანები, ანუ პოეტები ასეთ სერიოზულ მიდგომას იჩენენ საქმისადმი, მაშ მე არასოდეს მქონია უფლებაც კი რომ ლექსს "შევეხო". გალაკტიონის რვეულების ამბავი გამახსენდა ათასობით წინასწარ დადგენილი რითმებითა და ბგერწერული ცხრილებით და კიდევ უფრო გავოცდი: ნინო, მე მეგონა ლეგენდის დონე იყო ეს და აი, თურმე ახალგაზრდა ქალიც ცხოვრობს ჩვენს გვერდით და ამდენს "მუშაობს" ლექსისთვის. ერთის მხრივ სამაგალითოა, მაგრამ ჩემნაირ მშიშარას კიდევ უფრო შეაშინებს ამ პროცესის გაცნობა...

თუმცა, ვაღიარებ რომ საშინლად მხიბლავს ნებისმიერი გულწრფელობა.

ალბათ ეს თვისება (მუშაობისა) ბუნებითად ეძლევა ადამიანს და გამოდის, რომ ასეთი შემოქმედები, მართლაც ათასჯერ ნიჭიერები არიან, ვიდრე უბრალოდ "ნიჭიერნი".

**ნინო დარბაისელი:** ახლა პასუხი ორ-სამწუთიან ლექსებზე:

ასეთები უამრავი მაქვს და არც ვიხსომებ, ვიგონებ ზეპირად კაფიაობის დროს. სამწუხაროდ, ძველ «ებლიტფოსთან» ერთად დაიკარგა, ვპოსტავდი თემებში "კაფიაობა", "ფოლკლორი" და "ჭურჭლები», ასევე მიხო მოსულიშვილის პერსონალურ გვერდზე, თუმცა ახლა გამახსენდა, აქ ახალ «ებლიტფოზეც» მოიძებნება ორიოდ და აქ გადმოვიტან.

**ქეთი გზირიშვილი:** ქალბატონო ნინო, მე პირადად კითხვაში კაფიას არ ვგულისხმობდი. არც მაინცდამაინც ორ-სამწუთიან ლექსებს. ანუ, როცა ლექსის კარკასი მაინც უცებ იქმნება, იმ პროცესის გარეშე, რაც წერილში აღწერეთ... შემდეგ, რა თქმა უნდა მუშავდება.

და კიდევ, "უცებ მოვარდნილი ლექსი" კაფიას არ უხდება ჩემი აზრით, და არც ასეთ ლექსს უხდება კაფიად წოდება.

**ნინო დარბაისელი:** არა, ასეთი შემთხვევა სერიოზული ლექსის წერისას არასოდეს მქონია. თუმცა... გამახსენდა: ჩემს ბავშვობაში პოეტ ტაგუ მეზურიშვილს, სხვა პოეტ-მეგობრებთან ერთად ჩვენს ოჯახში მოულოდნელი სტუმრობა უყვარდა და ჩვევად ჰქონდა, სუფრის გაშლამდე ჯერ უთუოდ ახალ ლექსებს მომკითხავდა.

მე, რასაკვირველია, არაფერი მქონდა ხოლმე ახალი, და თავი რომ არ შემერცხვინა, შევვარდებოდი აბაზანაში თორმეტფურცლიანი რვეულით და ერთმანეთის მიყოლებით, პირდაპირ თეთრად, სასწრაფოდ ვწერდი ათამდე სხვადასხვანაირ ლექსს, რომელსაც მერე ძია ტაგუ, სათვალემორგებული, დიდის გულმოდგინებით მიანალიზებდა და რჩევებს მაძლევდა, ვიდრე სხვა სტუმრები ნარდის თამაშით იქცევდნენ თავს.

ერთხელ ასეთი «"თათარიარხნი"» ლექსები იმდენად მოეწონა, გულმოდგინე ნამუშევრად შემეფასა, პირდაპირ წაიღო და გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტის" რუბრიკაში «"ირმის ნახტომი"», ორ დღეში გამოაქვეყნა. ეს ჩემი პირველი პუბლიკაცია იყო "სადიდო" გაზეთში და მართლაც, დიდ ამბად ითვლებოდა.

მაშინ თოთხმეტი წლისა ვიყავი...

**დიანა ანფიმიადი:** ძალინ, ძალიან ბევრს ვფიქრობ ამ თემაზე,

რასაკვირველია, ლექსის წერა შეუძლებელია ისწავლო, თუ ნიჭი არ გაქვს, მაგრამ ბევრის კითხვა და ტექსტზე მუშაობა აუცილებელია,

მე ასეთი პოეზია მიყვარს – თან ემოციური, თან ფორმიანი, დაწნეხილი, ნამუშევარიც თუნდაც.

ჩემთვის წერა დიდი პასუხისმგებლობაა და მხოლოდ ემოცია არ მყოფნის ლექსისთვის – ემოცია, ჩემზე უკეთესად ჩემმა მეორეკლასელმა მოსწავლეებმა შეიძლება გადმოაფრქვიონ.

აბა წარმოიდგინეთ მხატვარი, რომელმაც საღებავების შეზავება არ იცის, ვიცი ახლა მეტყვით – ფიროსმანიო, ვაჟაო, ერთიცა და მეორეც ბევრს სწავლობდნენ, ძვირფასებო, დამიჯერეთ.

მე ვაღიარებ, რომ ძალიან ბევრს ვმუშაობ ტექსტზე და ღმერთმა მომცეს ძალა და მოთმინება უფრო მეტი ვიმუშავო!

### ნინო დარბაისელი

## ლექსი, რომელიც არ გამომივიდა

დამიწერია თუ არა სწრაფად ლექსი?

ჩემი ვირტუალური მეგობრების ამ კითხვაზე გუშინ დაუყოვნებლივ ვუპასუხე, რომ ასეთი შემთხვევები ბავშვობაში მქონია და სახალისო ისტორიაც გავიხსენე. მეგონა, ამით ყველაფერი ვთქვი, მაგრამ მთელი დღე შინაგანად რაღაცამ არ მომასვენა. მომეჩვენა, რომ ბოლომდე გულწრფელი არ ვიყავი.

არადა, ამ რამდენიმე წლის წინ სწორედ ასეთი შემთხვევა მქონდა და ამ შემთხვევამ ბევრჯერ მაწვალა და მანანა. ვიდრე ამბავს მოვყვებოდე, ჯერ ლექსს გავიხსენებ. ლექსს, რომელიც ავადმყოფი შვილივით ყველაზე მეტად მიყვარს.

### **Cardia-Carduelis. . .**

1.

ვისხედით ასე.

ბინდდებოდა,

ორთავე ვდუმდით

რა უნდა გვეთქვა!.

ერთმანეთი ვერ ვანუგეშეთ,

ორთაზიარი მეგობარი დავკარგეთ გუშინ.

მერე წამოდგა,

«შავი ხავერდი დაგვჭირდება» –

თქვა და წავიდა

მშრალ კალაპოტში ჩაღეული მდინარესავით.

რა იქნა სარკე,

უხილავი მზის ამრეკლავი?

ჩვენი ბრალია,

არც მოგვიკითხავს კარგა ხანია.  
მშვიდი გვეგონა,  
პირს ღიმილი არ შორდებოდა.  
თუმც ბედისაგან  
არასოდეს გაუხარია.  
მოუშვა წვერი,  
შემოივლო კვამლი ბოლქვებად,  
აილო ბარგი და გაუყვა გზას დადინჯებით,  
მაგრამ ასეთ დროს  
უმთავრესი ვის აგონდება!  
მას გულის კარი დაურჩა ღია  
და ღია კარში  
შეფრთხილდა პატარა ჩიტი,  
კედლებს მიაწყდა,  
ნაწიბურზე ჩამოუჯდა,  
აუგალობდა...  
ბარგს ხელი უშვა,  
გულს წაეტანა,  
ხოლო ჩიტმა ცას მიაშურა.

2.

\_ ამ სიზმრისპირას  
რად ჩამომჯდარხარ, მოტირალი?  
\_ აბა, რა გითხრა,  
რას მიშველი,  
ფრთაჭრელო ჩიტო,  
ჩემთან მოდიან  
ჩემი უჩრდილო მეგობრები,  
როგორ ხარობენ,  
მეგებებიან მლიმარები!  
მინდა გავექცე,  
მაგრამ როგორ გამოვეცალო,  
ხმაჩაკმედილი  
საკუთარ ჩრდილქვეშ ვემალები.  
გაკვირვებულნი დამემებენ,  
მათ არ იციან,  
არ იციან, რომ ცოცხლები აღარ არიან!  
მითხარი, გულის ჩიტბატონავ,  
რა მემართება!

სიკვდილის არა გამეგება,  
ამ სიცოცხლისაც არა ვიცი,  
არ მწადის არვის გაგებება,  
არცა რა მინდა არავისი,  
ჩემკენ რატომღა მოილტვიან,

რად მომდევს მათი ხმიანება?  
ნულარ მომაწვდიან «ვისრამიანს»,  
რა ღამე..  
რალა მევისრამიანება...

ვიყუჩოთ, ჩიტო!  
გამტყდარა სარკე,  
გახუნებულა,  
გაცრეცილა შავი ხავერდი.

მკითხველს ვთხოვ, ნუ დაიზარებს, ვიდრე შემდგომ ტექსტს გაეცნობოდეს, კიდევ ერთხელ, რამდენადაც შეუძლია, გულდასმით წაიკითხოს ლექსი.

არ ვიცი, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ სტრიქონების წამკითხველზე, მაგრამ ლექსის ტექსტის აკრეფისას მე ცრემლები ისევ ვერ შევიკავე და ვიდრე ანალიზს შევუდგებოდე, ჯერ იმ ფიქრს უნდა დავეხსნა, რომ ქართულ ლიტერატურულ სამყაროში, ჩემი თანატოლებისაგან განსხვავებით, თითქმის ბავშვს მომიწია ფეხის შედგმა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ დავიბადე თუ არა, ამ სამყაროს კარებთან მიმაგდო ბედმა ახალშობილი.

ბებიჩემი, დედის დედა, რომლის მოსახელეც მე ვარ და მოგვიანებით მთარგმნელობით ფსევდონიმადაც ავირჩიე «ნინო ჟორჟოლაძე» გეოგრაფიის მასწავლებელი იყო, თან თეატრში მუშაობდა მხატვარ-დეკორატორად, თან კარგად უკრავდა და მღეროდა გიტარაზე და რაც მთავარია, ლექსებს წერდა. იცით, როგორ ლექსებს? ერთმანეთს რომ ერთიმება «დედავ, ნეტავ, გხედავ, ბედავ, ან კიდევ ნეტა-გაიმეტა», მოკლედ, სამოყვარულო პოეზიის იქით არ წასულა, მაგრამ მთელი ოჯახი პოეზიით და პოეტებით იყო სნეული. სადაც კი პოეტს გაიცნობდნენ, დიდსა თუ მცირეს, აღტაცებულები შინ იწვევდნენ. დიღომში კინოსტუდიასთან ახლოს ვცხოვრობდით. მსახიობებსაც ხომ უყვარდათ და უყვარდათ ჩვენთან სტუმრობა და რომ იტყვიან, აუღებელი სუფრა გვედგა, იყო ერთი გიტარა და ჩქარი ტაში!

საწყალი დედაჩემი ამას ბოლომდე ვერ უძლებდა და დასასვენებლად დაქალებში გარბოდა, ჩემი და-ძმაც ფეხაფეხ მისდევდა ხოლმე, მე კი ვხალისობდი უფროსებში და დაუსრულებლად ვიმეორებდი: «თქვენ ისეთი კარგი ხართ, თქვენ პოეტი ბრძანდებით».

ბებია და ბაბუა ადრევე, თითქმის ერთად დამეხოცა, მე კი უფროსი მეგობრები დამიტოვეს. მერეც, ჩემი თანატოლი ამხანაგები კი მყავდა, მაგრამ მეგობრებად სულ უფროსები მემატებოდნენ, გული მათკენ მიწევდა. იქნებ ქვეცნობიერად, ეს ჩემი მოხუცების მონატრების ბრალიც იყო. სადღაც ოცდაათი წლის ასაკში კი აღმოვაჩინე, რომ სულ ჭირისუფლად მიწევდა ჯდომა.

ბოლო დიდი ტკივილი «ჩუფჩიკას», მხატვარ თენგიზ მირზაშვილის სიკვდილი იყო. მანამდე, ამ რამდენიმე წლის წინ, ჩვენ საერთო მეგობარი შურა, იგივე ალექსანდრე გვახარია\* (ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, «ვისრამიანის» მთარგმნელი) დავკარგეთ///...

მგონი, როგორც იქნა, მოვალწიე ლექსამდე, რომელიც შურა გვახარიას ეძღვნება და «ჩუფჩიკას» თანდასწრებით, სამზარეულოს მაგიდაზე დავწერე სასწრაფოდ, რადგან გაზეთი «ლიტერატურული საქართველო», სადაც შურას გამოსათხოვარი უნდა დაბეჭდილიყო, პარასკეობით გამოდიოდა, შაბათს კი უკვე გასვენება იყო და რედაქციისათვის მასალები სასწრაფოდ უნდა ჩაგვებარებინა.

ლექსის დასაწყისში «კალაპოტში ჩაღეული მდინარე» სწორედ «ჩუფჩიკაა». ვინც მას პირადად იცნობდა, ეხსომება, როგორი სიარული იცოდა, დარდისაგან კი სულ დაიწრიტებოდა ხოლმე, თითქოს მხრებიც გაუქრაო. საპანაშვიდე, გახუნებული შავი ხავერდიც, რომელიც მან იშოვა, ერთად გავაკარით კედლებზე.

მაგრამ მართალი გამოდგა ცნობილი პარადოქსული სიტყვები, რომ კარგი გრძნობებით კარგ პოეზიას ვერ შექმნი. ლექსს დაწერისთანავე მთელი ჩემი ტექნიკური არსენალი დავახვიე, რა ხალხური ნატირლების ინტონაციები, რა ალუზიები, შიგ შურა გვახარიას სახელი და გვარიც კი "ჩავაანაგრამე"... მერეც, სამჯერ გამოვაქვეყნე და სამჯერვე გადამუშავებული ვერსია, ველარაფერი ეშველა. ის სიმბოლოები, შინაარსი, ამბავი, რომელიც გასაგები და ახლობელი იყო ჩემთვისა და «ჩუფჩიკასათვის», სრულყოფილ მხატვრულ ნარატივად ვერა და ვერ გადავაქციე.

შურასთან ბოლო შეხვედრებისას ბევრს ვსაუბრობდით იმაზე, რომ ღმერთის ხილვა რიგითი მოკვდავის თვალს არ ძალუძს, და მისი ხილული სახე მზეა გურამიშვილთან, რომ არსებობს რაღაც მისტიური სარკე, მედიუმი, რომელზეც აირეკლება ღვთაებრივი ნათელი, რომ ანტიკური წარმოდგენით, ღმერთები ადამიანებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ჩრდილი არა აქვთ. მკითხველისათვის კი კვლავ გაუგებარი რჩება, რა სარკე, რა უხილავი მზის ამრეკლავი, რა უჩრდილობა.... რა უნდა წარმოისახოს!

ის ხომ არც შურას იცნობდა პირადად, საიდან უნდა იცოდეს, რომ «ვისრამიანი» ბრწყინვალედ თარგმნა. ან მას ხომ არ უხილავს, როგორი ცვლილებები დაეტყო შურას ცხოვრების ბოლო პერიოდში, როგორ გაგვიტაცა მე და «ჩუფჩიკა» რაღაც ახალ პროექტზე მუშაობამ და თითქმის მივივიწყეთ მომაკვდავი მეგობარი, ბოლო შეხვედრისას როგორ ეზიდებოდა რაღაც მძიმე ჩანთას, ალბათ, წიგნებით სავსეს, რომელსაც მერე ლექსში ცხოვრებისეული ტვირთის სიმბოლური მნიშვნელობა მივანიჭე და, რომელიც მაშინ არაფრით არ დაგვანება, რომ წაღებაში მივხმარებოდით. მოკლედ, ლექსი არაკომუნიკაბელური გამოვიდა. მკითხველს არ "ეხსნება".

ფინალში ოსტატობის მაღალი პილოტაჟის ორი ნიმუშია, რომელზეც შურა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ჩვეულებისამებრ, აღფრთოვანდებოდა, უცხო მკითხველისათვის კი, აბა რა ბედენაა, რომ სტრიქონები ორმაგ დეკოდირებას ექვემდებარება:

არარა მინდა არავისი, \_

ვისრამიანის პერსონაჟთა სახელებს მაღავს საბურველქვეშ და შეიძლება ისინი «აღმოაჩინო», თუ სიტყვებს შორის ინტერვალებს გადაანაცვლებ:

არა რამინ და არა ვისი

რომ ასევე, სტრიქონები:

რა ღამე...

რალა მევისრამიანება.

რომელიც მინიშნებასაც კი შეიცავს რიტმული დარღვევის სახით, რათა მკითხველი შეაჩეროს, აქ რაღაც უნდა იმალებოდესო, ასევე ორმხრივად იკითხება. და მეორე წაკითხვა:

რალა მე, ვის რა მიაწება.

ეს ჩემი თავისმართლებაა, რომ მთლად ჩემი ბრალიც არ იყო ბოლოდროინდელი უყურადღებობა შურასადმი, რამდენჯერმე შევხებოდი, მაგრამ ვიგრძენი, თავადაც თითქოს მირიდებდა.

სათაურის «Cardia-Carduelis..» სიმბოლიკასა და ჩიტბატონას პოეტური კონცეპტის მრავალპლანიანობის, ტექსტში განფენილობის შესახებ, ხომ, როგორც მკვლევარს, შემიძლია ცალკე ვრცელი მსჯელობა ავად, მაგრამ მთავარი ინსტანცია, მკითხველი, რომელიც ტექსტის პირისპირ მართო რჩება, ამ შემთხვევაში «ჩემიანად», მაინც ვერ იქცევა და იქნებ პირიქით, თუ ამ ლექსით დაიწყო, სხვა ლექსების გაცნობის წადილიც კი გაუქრეს.

მე კი, ახლა თუმცა უკვე ვიცი, რა უნდა დავთმო, ამ ტექსტიდან, რომ მკითხველი შევინარჩუნო, ეს «რა» ჩემი გარდაცვლილი, აწ უკვე ორი მეგობრის სახეა, და მეპატიოს, თუ მათ ვერასოდეს შეველევ.

**ქეთი დიდიშვილი:** ნინო, ძალიან საინტერესო იყო ამ ისტორიის მოსმენა თქვენგან, ამ შემთხვევაში მგონი თქვენ ზედმეტად თვითკრიტიკული ხართ საკუთარი ლექსის მიმართ (რაც თავისთავად კარგი და აუცილებელი თვისებაა შემოქმედისა, მაგრამ ზოგჯერ წერისას შეიძლება ზედმეტი თეორიული ცოდნა ხელსაც გიშლიდეს ადამიანს წერაში, ეს ისე ხუმრობით, არ მიწყინოთ), მე რატომღაც მგონია, რომ თქვენს მიერ მითითებული ადგილები სულაც არ არის რთული აღსაქმელი მკითხველისთვის, ელემენტარული თეოლოგიური განათლების მქონე, ან უბრალოდ, ძვ. ქართული ლიტერატურის მცოდნე ადამიანისთვის მზის სახე-სიმბოლო სრულიად ნაცნობია, ასევე „მშრალ კალაპოტში ჩალეული მდინარესავით“ – თავისთავად ძალიან ლამაზი და ზუსტი სახეა ტკივილისაგან დაპატარავებული, გალეული კაცისა და სულაც არაა საჭირო ამისთვის «ჩუბჩიკას» სიარულის მანერა იცოდე, თავისთავად ამითი ლექსს არაფერი აკლდება, მშვენიერი ლექსია და რაც მთავარია, ემოცია ზუსტად მიდის მკითხველამდე. მაპატიეთ, ამდენი რომ ვისაუბრე, მაგრამ მინდა გითხრათ, როგორც ერთმა რიგითმა მკითხველმა, რომ მე თქვენი დაწუნებული ლექსი მომწონს.

**მარიამ წიკლაური:** «ლექსი, რომელიც არ გამომივიდა...».

აქ სად არის «"ბრავოს" სმაილიკი?»

ნინო, ლექსი ხომ ძალიანაც "ჩვენია", მაგრამ ამ ტექსტთან და თავისმართლებასთან ერთად ბრწყინვალე ესეა და ოსტატის "ავტოპორტრეტი" შიგ ჩახატული სხვა ოსტატების პორტრეტებით/.

**ლუბა ელიაშვილი:** საინტერესო წასაკითხია, როგორი განსხვავებული მიდგომა აქვთ ავტორებს ლექსის წერის პროცესთან.

როგორია ადამიანის (ავტორის) ფსიქოტიპის გავლენა არა მხოლოდ შემოქმედების საბოლოო პროდუქტზე, არამედ პროცესზეც.

არ ვიცი, იქნებ ასე არ არის სწორი, მაგრამ ჩემი ლექსები სულ სხვანაირად იწერება. პირველად არის სიტყვა, სურათი ან ემოცია, რომელიც რაიმე ფრაზას წამოიღებს. მერე იმ ფრაზის ან სიტყვის ან ემოციის გარშემო ლაგდება სტროფები და მთელი დღე საქმეს ვაკეთებ, მანქანას ვმართავ თუ სადმე ვზივარ უსაქმოდ ლექსი ჩემში ცხოვრობს, იზრდება, ხორცს ისხამს, კონცეპტი არასდროს არის წინასწარ მოფიქრებული და დამუშავებული, უფრო სამყაროსთან ჩემი დამოკიდებულების იმ კონკრეტული მომენტის ანარეკლია, რომელსაც წინ უძღვოდა გრძელი და

საინტერესო ცხოვრება, უამრავი წაკითხული წიგნი, უამრავი კონცეპტუალური კამათი, მოგეხსენებათ, კამათი ძალიან მიყვარს, უამრავი ადამიანის მიმართ თანაგანცდა, ისეთი წამები, ან სურათები (მაგალითად, ეზოში აყვავებული ალუბლის ხე, რომელიც პირველი დანახვისთანავე ჩამოიძვრა სამყაროს სრულყოფილების სიმბოლოდ"), ან აღმართზე მუხლის კანკალით მიმავალი, მუდამ ღონიერი და ყოჩაღი დედაჩემი, რომელიც (ცხოვრებაში პირველად მივხვდი) მამაჩემივით დაბერებულა, ან ჩემი ოჯახის საკრალური რიტუალი ჩაის სმა, ზოგჯერ ლექსი თავიდან ერთ გზას ირჩევს, მერე კი უცებ შეტრიალდება და სადღაც სხვა მიმართულებით წამიყვანს, და ის ძველი ბილიკი, ერთი მთავარი არსის ან ფრაზის გარდა სულ მოსაშლელია ხოლმე.

ბოლოს, ლექსს ცოტას ვაცლი გაცივებას, ცხელ-ცხელი რამდენჯერაც გამოვიტანე სააშკარაოზე, მერე სახალხოდ მომიწია მისი ძერწვა და დამუშავება. თუმცა არის ხოლმე მომენტი, როცა ლექსი დასრულებულია და უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ მინდა, და არც შემიძლია.

მთელ ამ პროცესში ყველაზე მთავარი ის დღეებია, როცა ლექსი ჩემში ცოცხლობს და იძვრება.

მინდა მკითხველსაც გადაეცეს იმ განცდის სიმძაფრე და სიამოვნება, კათარზისის განცდა, რომელიც ამ პროცესს ახლავს თან.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ ეს გამომდის კიდეც.

იყო დრო როცა არც კი ვიწერდი ლექსებს, ასე, ჩნდებოდნენ და კვდებოდნენ პეპლებივით.

პირისპირ

## როგორ და-პირისპირ-და ორი მეგობარი

*(საუბრობენ გიორგი ბუნდოვანი და მარსიანი)*

**გიორგი ბუნდოვანი:** შენი, როგორც პოეტისა და ლიტერატურული კრიტიკოსის თვალსაწიერიდან როგორ ჩანს თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების საფეხურები?

**მარსიანი:** ჩემი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს პოეზიის განვითარებად ლექსის პოეზიისაგან დაცლა, ყოფით წვრილმანებამდე დაქვეითება მიიჩნევა. მეტისმეტად მოხშირდა ლექსებში იმგვარი რეკვიზიტი, როგორცაა: ყავა, ჩაი, ნამცხვარი, სარეცხის თოკები, პრეზერვატივები და ა. შ. მაგრამ ლექსიკის ამგვარ გაპროზაულებასაც რომ თავი დავანებოთ, წერის კულტურა დაქვეითდა სრულიად აშკარად. დღეს მეტ-ნაკლებად ცნობილი პოეტებიდან თითო-ოროლას თუ შეუძლია დიდოსტატურად წერა. ვერსიფიკაციის დაბალი დონე ვერლიბრის ფორმაში უფრო ადვილად აფარებს თავს, კონვენციური ლექსის დაწერის შემთხვევაში კი უმალ თავს იჩენს ავტორის გაუწაფაობა და დილეტანტობა.

**გიორგი ბუნდოვანი:** მე უფრო კრიტიკული ვიქნებოდი: ვერლიბრსაც ვერ აფარებს თავს დაბალი დონის სალექსო ტექნიკა, რადგან დახვეწილ ვერლიბრს უნდა გააჩნდეს თავისებური, ფარული მუსიკალურობაც, რიტმიკაც და არცთუ იშვიათად, რითმაც; უამისოდ ვერლიბრიც ვერ ივერლიბრებს საკადრისად. შენი აზრით, ყოფითმა



საგნებმა, ტერმინებმა, სნობურმა ლექსიკამ შეიძლება თუ არა პროფესიონალი პოეტის ხელში ლექსს დახვეწილობაც კი შესძინოს, არათუ დააკნინოს იგი?

**მარსიანი:** კარგი ვერლიბრის დაწერას, რა თქმა უნდა, დიდი ოსტატობა სჭირდება, ზოგჯერ უფრო მეტიც კი, ვიდრე კონვენციური ლექსისას, რადგან ვერლიბრში იმდენი რამ აღარ გამოიყენება ტრადიციული სალექსო ტექნიკის არსენალიდან, რომ ყველაფერ ამის საკომპენსაციოდ რაღაც განსაკუთრებული ხერხების აღმოჩენა-დაუფლება არის საჭირო. სხვანაირად ლექსი ვერც შედგება ალბათ. რაც შეეხება ლექსიკას, რა თქმა უნდა, კარგი პროფესიონალის ხელში ნებისმიერი სიტყვა შეიძლება გახდეს პოეზიის საგანი. მე რომ ზემოთ ზოგიერთი «არაპოეტური» სიტყვა დავასახელებ, იმიტომ კი არა, რომ ამგვარი რამეების ლექსში გამოყენებას ვეწინააღმდეგები – უბრალოდ, გარკვეულ ტენდენციებზე მივანიშნე, ლექსის ზედმეტ «დამიწებაზე», რაც არ გახლავთ სასურველი მოვლენა. მაგრამ ყველაფერი ეს, რაც აქამდე ვილაპარაკეთ, თეორიული დონეა. მოდი, მაგალითებით ვცადოთ ამ დისკურსში მეტი კონკრეტულობის შეტანა: მე მომეწონა შენი ლექსი «რღვევიდან რღვევამდე», რომელშიც, ჩემი შეტყობით, რითმები საერთოდ არ უნდა იყოს, მუსიკალურობაც ნაკლებად იგრძნობა, ლექსიკაც მეტწილად პროზაულია. აი შენ კი, არ მოგეწონა ჩემი «ელორა», რომელიც იმდენად მუსიკალურია, რომ მისი ცალკეული ადგილები კიდევ იმღერება, ერთგან კი ორი სტროფი გართიმულია, რომ აღარაფერი ვთქვათ სიტყვათა განმეორების ტექნიკაზე (ეს უკანასკნელი შენც შეამჩნიე). შენი შთაბეჭდილებით, ეს ლექსი კი არა, ესეი უფროა! მე კი ვიტყვოდი, რომ არათუ უბრალოდ ლექსი, არამედ საგალობელია, ფსალმუნი, რამდენადმე სუფიური ტიპის მისტიკური ნაწარმოები...

**გიორგი ბუნდოვანი:** «რღვევიდან რღვევამდე» მართლაც ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ბოლო პერიოდის ლექსია, რომელშიც მე ალბათ ჩავაქსოვე მთელი ჩემი ბუნტარული სული და უკომპრომისო, არაკონფორმისტული ხასიათი. (სხვათა შორის, ეს ლექსი სხვა ჩემს ლექსებთან ერთად დაიბეჭდა «კავკასიური სახლის» ჟურნალ «აფრას» ახალ, მეცამეტე ნომერში და თვით ნაირა გელაშვილმაც ძალზედ მოიწონა ეს პუბლიკაცია – მან მითხრა: «შენს ლექსებში ისეთი განსაკუთრებული ნერვი თუ მუხტი იგრძნობა, რაც სხვა, შენი თაობის პოეტებთან თითქმის არ შემხვედრიაო». ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდად სასიამოვნო იყო ამგვარი შეფასება). იმაში გეთანხმები, რომ ამ ლექსში ნაკლებადაა მუსიკალურობა, მაგრამ შინაგანი რიტმიკა ნამდვილად შენარჩუნებულია. ეს ლექსი ვერლიბრიც არაა, უფრო რაღაც პირადულ-პოეტურ მანიფესტს ჰგავს, ვიდრე რომელიმე ტრადიციული ტიპის სალექსო ფორმას მისადაგებულ ნაწარმოებს. ხოლო შენი «ელორა» შენს სხვა, საკმაოდ ძლიერ ლექსებთან შედარებით, გაუგებარი და ოდნავ ფორმისეულად მიუღებელიც კი აღმოჩნდა, თუმცა შემდგომ, ჩვენი ცხარე დისკუსია-კამათის დასრულებისას, შენეული ახსნა-განმარტების მერე მივხვდი, თუ რა ტკივილითა და ტრაგიზმით იყო ნაკარნახევი ამ ლექსის შექმნა. მაგრამ ტერმინები «დედა-ეკლესია», «ბულბული», «ჩიტი», «გალობა» და ა. შ. ჩემთვის მიუღებელია პოეზიაში, მით უფრო ამ და მსგავსი ტერმინების რამოდენიმეჯერ განმეორება... თუმცა საბოლოო ჯამში ამ ლექსის ტრაგიკულობა, მასში გამოხატული მძიმე სულიერი ტკივილი ქმნის მის მისაღებ და საინტერესო სახეს. ალბათ პირველად წაკითხვისგან მიღებული შთაბეჭდილება ზუსტი არ იყო... მაგრამ ზემოთ დასახელებულ სიტყვებთან დაკავშირებით კი უნდა გკითხო: განა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, XXI საუკუნეში კიდევ შეიძლება მსგავსი შაბლონური ტერმინების თუ სიტყვების გამოყენება? განა მსგავსი «ვარდბულბულიანობის» ეპოქა კარგა ხანია არ დასრულდა?

**მარსიანი:** შენს ლექსთან დაკავშირებით რაც თქვი, ყველაფერში გეთანხმები: ბუნტარულიცაა, გულწრფელიც, რიტმულიც, ენერგიულიც, განსაკუთრებული ნერვისა და მუხტის მქონეც, პირადულ-მანიფესტურიც; ერთი სიტყვით, მე გავიგე შენი ლექსი და ალბათ ამიტომ მასზე იმავე აზრისა ვარ, როგორცაა შენ თვითონ. ჩემი ლექსი კი, ვეჭვობ, განმეორებით წაკითხვისა და ჩემეული ახსნა-განმარტების შემდეგაც მთლად გასაგები იყოს შენთვის: რას უწოდებ აქ «ვარდბულბულიანობას»? (საერთოდ «ვარდი» არც ნახსენებია ამ ლექსში და არც შეფარულად ნაგულისხმევი). თუ ვინმეს არ მოსწონს სიტყვები «დედა-ეკლესია», «ბულბული», «ჩიტი», «გალობა» და ა. შ. ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი! შაბლონური ტერმინები თუ სიტყვები საერთოდ არ არსებობს, არამედ სიტყვების გამოყენება შეიძლება იყოს ან შაბლონური, ან ახლებური. და თუ შენ ფიქრობ, რომ ამ სიტყვების გამოყენებით ჩემს ლექსში შაბლონურობის მომენტი გაჩნდა, მოგახსენებ, რომ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა. რაკი «თანამედროვე ქართული პოეზია» და «ოცდამეერთე საუკუნე» ახსენე, ერთ რამეს ვიტყვოდი: პოეტს არას არგებს «თანამედროვეობაზე» მეტისმეტი მიჯაჭვულობა, იმის შიში, დროს არ ჩამოვრჩეო; მხატვრული სიტყვა მონურად არ უნდა ემორჩილებოდეს ე.წ. «დროის მოთხოვნებს». ეგ ჩვენი «თანამედროვეობა» ხვალ უკვე გუშინდელი დღე იქნება და მასზე მეტისმეტად მიჯაჭვულ ჩვენს «თანამედროვე პოეტსაც» გადაიყოლიებს გუშინდელ დღეში, ანუ მოძველებულად აქცევს; თითქოს პარადოქსია, მაგრამ მრავალი მაგალითით დამტკიცებული, შემოწმებული რეალობა გახლავთ. დროგამძლე მხოლოდ იმგვარი პოეზიაა, რომელიც ერთ რომელიმე კონკრეტულ ეპოქას კი არა, ყველა დროს გულისხმობს თავის თავში და ამდენად, ზედროულობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ასეთი პოეზიისათვის ვარდი, ბულბული, გალობა და მისთანები არასოდეს არ იქცევიან რაღაც მოძველებულ, შაბლონურ რეკვიზიტებად: მარადიული საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვები ეგრე ადვილად არ ძველდებიან! თქვენ კი, ვითომ მოძველებული სიტყვებისადმი მაგვარი ნეგატიური დამოკიდებულებით მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ თქვენი ენა არ იქნება ლექსიკურად მდიდარი და შესაბამისად, ვერც გაამდიდრებს სიტყვებით ლიტერატურას თუ სასაუბრო მეტყველებას. შენ თუ იცი, ისეთ საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვა, როგორცაა «შინაარსი», ილია ჭავჭავაძის დამკვიდრებული რომ არის? ასევე ფართოდ გავრცელებული სიტყვა «შინაბერა» კი კონსტანტინე გამსახურდიამ დაამკვიდრა ქართულ ენაში. აი, ამას ჰქვია ენის შემოქმედება, ენის განვითარებაში მწერლის მიერ შეტანილი წვლილი. თქვენ კი ისე ამრეზით მოისვრით გვერდზე თქვენს მიერ «შაბლონად» შერაცხულ სიტყვებს, ვითომ სიტყვებზე უკეთესი რამ გააჩნდეს მწერალს, პოეტს...

სხვათა შორის, რაკი ჟურნალ «აფრაზე» და მის მთავარ რედაქტორზე \_ ნაირა გელაშვილზე ჩამოაგდე სიტყვა და აღნიშნე, რომ მან განსაკუთრებით მოიწონა შენი ლექსები (ისევე, როგორც მე მოვიწონე), ბარემ ისიც ითქვას, მან ისევე დაიწუნა ჩემს «ელორა»-ში სიტყვები «დედა ეკლესია» და «ბულბულთა ქოროს პრიმადონა, პრიმა ბულბულო ელორა», როგორც შენ დაიწუნე: მისი აზრით ეს გაცვეთილობა და უგემოვნობაა. მე კი, ორივე თქვენგანისგან განსხვავებით, ვფიქრობ, რომ ბულბულის მხატვრული სახის ამგვარ რაკურსში წარმოჩენა შეეძლო მხოლოდ მოდერნ-პოსტმოდერნისა თუ ავანგარდ-ტრანსავანგარდის ლაბირინთების გამვლელ და უკან მომტოვებელ, ნეოკლასიცისტური ესთეტიკის პოზიციაზე გადასულ პოეტურ ინდივიდუალობას. მაგრამ ვატყობ, დღეს ამის გამგები არავინაა. მე მინდა, ერთი რამ გკითხო: ვთქვათ, უცნობი პოეტის ლექსი ჩაგივარდა ხელთ და არ იცი, თანამედროვე პოეტია თუ ძველი. მასაც ისევე დაუწუნებ «შაბლონურ სიტყვებს»? სპეციალისტები

ვარაუდობენ, რომ «ვეფხი და მოყმის» ბალადის მეორე ნაწილი (სადაც მოქმედებაში მოყმის დედა შემოდის) ძველ დროში კი არაა დაწერილი, არამედ XX საუკუნეში, მიხა ხელაშვილის მიერ. რა ვქნათ ახლა, დავიწუნოთ ის მეორე ნაწილი? ის ხომ გარეგნულად არ განსხვავდება პირველი ნაწილისაგან და მხოლოდ სპეციალისტმა ფოლკლორისტმა, ტრისტან მახაურმა აღმოაჩინა მასში ახალი დროისთვის დამახასიათებელი ნიშნები? ვარდი, ბულბული, გალობა და სხვა მსგავსი სიტყვები ყველა დროის კუთვნილებათა, მხოლოდ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად გამოიყენება პოეზიაში. აი, «პრივატიზაცია» კი, შენ რომ გაქვს ერთ ლექსში გამოყენებული, არა მგონია ყველა დროს ეკუთვნოდეს და, ვთქვათ, ორმოცდაათი წლის შემდეგაც გასაგები იყოს ვინმესთვის, თუ რა შინაარსია მასში ჩადებული. მსგავსს კანცელარულ ტერმინოლოგიას, გამოტეხვით ვიტყვი, მე მართლაც შეძლებისდაგვარად ვარიდებ ლექსს, თუმცა ზოგჯერ შეიძლება არც ავარიდო; მაგრამ ალბათ ამგვარი, წარმავალი შინაარსის მქონე სიტყვებით გაჯერებული ლექსის დიდი იმედიც არ მექნებოდა... სამომავლოდ.

**გიორგი ბუნდოვანი:** შენი შეკითხვა როგორც გავიგე, ასე გიპასუხებდი: თუ მე ხელთ ჩამივარდებოდა ასეთი შაბლონებით დახუნძლული ლექსი და არ მეცოდინებოდა ავტორი და ეპოქა, მაინც ერთმნიშვნელოვნად დავიწუნებდი ალბათ, რადგანაც ჩემთვის ეს შაბლონური სიტყვები არა მხოლოდ წარსული «ვარდბულბულიანობის» ეპოქის გადმონაშთებია, არამედ, ისედაც მალიზიანებს და არ მომწონს; რატომღაც ასეა და ბოლომდე ვერც ავხსნი რატომ – გემოვნებაზე არ დაობენო, ნათქვამია; ხოლო «ვეფხისა და მოყმის» ლექსზე ვერაფერს გეტყვი, რადგანაც ხალხური პოეზია მე არასოდეს მაინტერესებდა (თუმცაღა ვაჟაც ხალხური პოეტია, მაგრამ ვაჟა გამონაკლისია ნამდვილად!). ნაირა გელაშვილის პოეტური გემოვნება კი, უბრალოდ დაემთხვა ჩემს პოეტურ გემოვნებას და ამიტომაცაა, რომ ნაირამ ასე ემოციურად მომიწონა ლექსები. მე ერთის თქმა შემიძლია პირდაპირ, შენთვის: შენ გაცილებით უკეთესი ბევრი ლექსი გაქვს, განსაკუთრებით კი მომწონს შენი ზაუმისტური ლექსები (ესეც გემოვნების საკითხია) და მოდი ამ «ელორაზე» ნულარ გავაგრძელებთ კამათს...

საინტერესო ჩემთვის უფრო ისაა, შენ, როგორც ფართო სპექტრის ხელოვანი, შენში რომელ ნიჭს ანიჭებ პრიორიტეტს – მხატვრობას, პოეზიას, პროზას, მუსიკას თუ ლიტერატურულ კრიტიკას? – ეს მართლაც ძალიან მაინტერესებს, რადგანაც ამ შენს უნარებს კარგად ვიცნობ და შენი აზრი მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩემთვის!

**მარსიანი:** ქართველ ავანგარდისტებზე ცოტა წინ წასული კი იყო ალბათ ტ.ს. ელიოტი, რომლის კალამს ეკუთვნის ლექსი «სვინი და ბულბულები». რა თქმა უნდა, «ვარდბულბულიანობასთან» არაფერი კავშირი აქვს ამ ლექსს, მაგრამ თუ სათაურიდანვე დაიწუნებ «ბულბულების» გამო, ხომ დაგრჩება წაუკითხავი მისი ტექსტი... თუმცა, როგორც ვატყობ, ჩემი ეს ლაპარაკი წყლის ნაყვას ემსგავსება, რაკი მაინც ასე ჯიუტად და აკვიატებულად «შაბლონურს» არქმევ სრულიად ჩვეულებრივ, სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გავრცელებულ სიტყვებს და ოდნავაც არ უწევ ანგარიშს ჩემს ძალიან მარტივ და ზუსტ განმარტებას – თავისთავად სიტყვები კი არ არიან შაბლონური, არამედ ამ სიტყვებთან მიმართება, ტექსტში მათი გამოყენების მეთოდი შეიძლება იყოს შაბლონური, ან არაშაბლონური. მაგვარად თუ მივუდგებით, «ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტიც» შაბლონი გამოდის... აღარც ჩემს ლექსზე საუბრის გაგრძელებას ვაპირებ, რაკი ასე მოსაწყენია. ისე, ვაჟა ხალხური პოეტი არ გახლავთ, უბრალოდ, ხალხურ კილოს იყენებდა თავის პოეზიაში...

ახლა შენს შეკითხვაზე გიპასუხებ (თუმცა მაკვირვებს შენი განაცხადი, რომ ამ ჩემს «უნარებს» კარგად იცნობ): პოეზია და პროზა ჩემთვის პროფესიონალური თვითგამოხატვის ფორმებია, მხატვრობაში თვითნასწავლი მეთქმის ალბათ, მუსიკაში კი – ველური, თუმცა, ოთხივე ამ დარგში ჩემი შესაძლებლობები (პოტენციური თვალსაზრისით) ალბათ თანაბარია; კრიტიკაშიც პროფესიონალი ვარ, თუმცა ეს დარგი ჩემთვის მაინც მეორადია, რაოდენ კარგიც არ უნდა ჩანდეს ჩემი წერილები. აქ კონტრკითხვა გამიჩნდა, თვითონ როგორ შეფასებას მისცემდი ამ «უნარებს»?

**გიორგი ბუნდოვანი:** მოსაწყენი კი არ არის «ელორაზე» საუბარი, უბრალოდ, ამ კონკრეტულ პოლემიკაში დავასრულოთ-მეთქი, რადგანაც ძალიან გაგვიგრძელდა... ხოლო ტერენტის «გაზაფხულის სადამო» ნამდვილად შედევრია, ჩემის აზრით! მაგ ლექსში «ჩიტის» ნაცვლად სხვა სიტყვა, უფრო მეტად შაბლონურიც რომ ყოფილიყო გამოყენებული, მაგალითად «გვრიტი», «მშობელი დედის ძუძუ» ან რაიმე მსგავსი, გრანელი ისეთი სუპერპროფესიონალი პოეტია, ამას ისე ზეპროფესიონალურად გააკეთებდა, რომ ჩემში არანაირ გაღიზიანებას არ გამოიწვევდა ნამდვილად! ხოლო შენს უნარებზე ასე ვიტყვოდი – ჩემი სუბიექტური აზრით თუ შთაბეჭდილებით – ჯერ მხატვარი ხარ (თუნდაც თვითნასწავლი), საკმაოდ ოსტატურად ხმარობ ისეთ ძნელად გამოსაყენებელ, მეტისმეტად შრომატევად საშუალებას, როგორცაა პასტა, ხშირად პასტელში შერეული, ხელის თითებსა თუ ფრჩხილებსაც კი იყენებ... შემდეგ პოეტი ხარ და ბოლოს კრიტიკოსი: ასეთი მიმდევრობით დავახასიათებდი შენს შემოქმედებით უნარებს; პროზას, მართალია ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ კომპეტენტური ადამიანებისგან მსმენია მისი დადებითი შეფასება, რომელსაც ვენდობი. ხოლო მუსიკას რაც შეეხება, შენი მელოდიები შენივე შესრულებით რამდენჯერმე მომისმენია, თუმცა არასათანადო აკუსტიკურ გარემოში, თანაც უაკომპანემენტოდ... მაინც შემიძლია ვთქვა, რომ შენი საგალობლები და მელოდიური დეკლამაციები, სხვადასხვა პოეტების (მათ შორის ჩემს) ლექსებზე რომ გაქვს გაკეთებული, უდავოდ საინტერესოა.

საინტერესო კიდევ ისაა (თუ შენს კრიტიკას შევეხებით), ის ხალხი (პოეტები თუ პროზაიკოსები), რომელთა შემოქმედების განხილვა-შეფასებაზე ასე გულმოდგინედ გაისარჯე შენს წიგნში «კრიტიკა», რატომ არ გაქცევენ სათანადო ყურადღებას, როგორც ხელოვანს, როცა მათ უმრავლესობას საკმაოდ მოეპოვება სათანადო ბერკეტები, რათა შენი პოპულარიზაცია მოახდინონ? ვგულისხმობ იმას, რომ საკმაოდ არიან (შენგან განსხვავებით) გათქვეფილნი დღევანდელ სნობურ-ელიტურ კულტურულ წრეებში, ასევე კარგი ურთიერთობები აქვთ გამომცემლებთან და, რაც მთავარია, ტელევიზიებთან! ნუთუ მათ არ უნდა გასჩენოდათ სურვილი, თუნდაც ერთხელ მიეწვიე რომელიმე ტელეარხზე, ან შენზე დაეწერათ რაიმე, ან შემოქმედებითი სადამო მოეწყოთ შენთვის, თუნდაც რომელიმე ლიტერატურულ კაფეში, მაგალითად «ქარავანში?» რა არის ამ უყურადღებობის თუ უმადურობის მიზეზი?

**მარსიანი:** მაგ კითხვაზე მე რა უნდა გიპასუხო, თვითონ მათ უკეთ ეცოდინებათ... ალბათ არ აწყობთ კიდევ ერთი კონკურენტი ამ ისედაც პოეტებითა და მწერლებით გადატვირთულ სივრცეში... მაგას მოვეშვათ, ახლა მინდა ერთი მოულოდნელი და კადნიერი განაცხადი გავაკეთო: მაშ შენ თვლი, რომ ტერენტი გრანელი «სუპერპროფესიონალურად» გამოიყენებდა იმ ე.წ. «შაბლონურ» სიტყვებს, მარსიანი კი ამას ვერ აღწევს, არა? მე კი ვიტყვოდი, რომ გალაკტიონის შემდეგ თუ ვინმეზე ითქმის «სუპერ» თუ «ზეპროფესიონალი» ქართულ პოეზიაში, ეს უმაღლეს მარსიანი გახლავთ, ვიდრე გრანელი და ვისაც სურვილი ექნება, კონკრეტული მაგალითებით

დავუმტკიცებ ამ სიტყვების სიმართლეს! გთხოვ, სწორად გამიგო, პროფესიონალიზმში მე სალექსო ტექნიკის უზადობასა და სირთულეს ვგულისხმობ: ტერენტის ლექსთა უმეტესობა ტექნიკურად არც ისე რთულია და ზოგჯერ მის საუკეთესო ლექსებშიც მცირედენი «ჩავარდნები» შეინიშნება, მაგალითად, სტრიქონში «როგორც ლურჯი პარიკებს, დამე ფიქრებს არიგებს», არასწორია «ლურჯი პარიკებს», უნდა იყოს «ლურჯ პარიკებს». სხვა ლექსშიც აქვს «ლურჯი ზღვასავით»; ორივე შემთხვევაში დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში. თუ გინდა «პოეტური ლიცენცია» დავარქვათ ამას, მაინც ხარვეზია, იმით გამოწვეული, რომ სწორი ფორმის გამოყენების შემთხვევაში სტრიქონს მარცვალი დააკლდებოდა... ახლა მეც მაქვს ასეთი კითხვა: შენ ხშირად ხმარობ იმგვარ რითმებს, დღევანდელი პოეზიისათვის მოძველებულად და პრიმიტიულად რომ მიიჩნევა, მაგალითად «ნახვა-სახვა», «ოღონდ-მხოლოდ» და არაერთი სხვაც. რატომ ამ შემთხვევაში არ გაწუხებს შაბლონის შეგრძნება, ამგვარ რითმებს ხომ აკაკის ეპიგონები ხმარობდნენ გასული საუკუნის დასაწყისში, ხოლო გალაკტიონის მართლაც სუპერვირტუოზული რითმების შემდეგ ხომ არც ერთი ჭეშმარიტი პროფესიონალი აღარ მიმართავს მსგავს არათანამედროვე ტექნიკას!

**გიორგი ბუნდოვანი:** რატომ არ მაღიზიანებს ჩემს ლექსებში მოძველებული რითმები? გიპასუხებ: საერთოდ რითმა დიდი ოხერი და მამამაღლი რამაა! რითმამ უდიდესი პოეტებიც კი ათამაშა და თავის უღელქვეშ მოიქცია არცთუ იშვიათად – გინდ გალაკტიონი ვთქვათ, გინდაც – სხვები. ხშირად იძულებული ხდები, რითმა რომ არაშაბლონური, თანამედროვე გამოვიდეს, თავი იმტვრიო, ურტყა კედელს... და ამ დროს «ლექსის მუზიდან ამოვარდნა» გემუქრება, განწყობილების დარღვევა... ამიტომაც ზოგჯერ შეგნებულად არ ვახდენ რითმაზე აქცენტირებას! თუმცაღა ეს მინუსია – ვაღიარებ, მაგრამ მე, ზოგჯერ კი არა, უმეტესწილად, ჩემი მოზღვავებული პოეტური ემოციის დროულად გადმოცემას ვლამობ ხოლმე და ასეთ ტექნიკურ დეტალებზე, უბრალოდ, ვეღარ ვფიქრობ წერის მომენტში. თანაც შეგახსენებ – მე არასოდეს ლექსებზე არ ვმუშაობ და შემდგომში არ ვაშალაშინებ, არ ვხვეწ. მირჩევნია პირველი ამოხეთქვა დარჩეს, პირველი ვულკანი...

ახლა, რაც შეეხება შენს «სუპერამპარტავნულ» განაცხადს, ტერენტისთან დაკავშირებით რომ გააკეთე: ვგონებ ამის შემდეგ აზრი აღარ აქვს ამ საუბარს და აღარც იმის სურვილს მიტოვებ, რომ მეტად და უკეთ გავეცნო შენს პოეზიას – ამას შენ მიაღწიე ამ წუთებში! და აქედან გამომდინარე, მე ვწყვეტ ამ დიალოგს. გინდა გადაეცი იქ, სადაც ეს დიალოგი უნდა გამოქვეყნდეს, გინდა არა – შენი ნებაა!

შენ ისე ცდილობ, თავს მომახვიო შენი პოეტური შემოქმედების გენიალობა თუ შედევრულობა, რომ პირუკუ რეაქცია გამოიწვიე – საერთოდ აღარ შემრჩა მასში ჩაწვდომის სურვილი! ვაცხადებ დღეიდან – შენ ხარ არაჩვეულებრივი მხატვარი და კარგი პოეტიც, რამდენადაც ვიცნობ შენს ლექსებს... (იმედია, ეს პოლემიკა პიროვნულ, მეგობრულ ურთიერთობებზე არ აისახება!..)

**მარსიანი:** მე კი გთხოვე, სწორად გამიგე-მეთქი (რადგან პროფესიონალიზმში მხოლოდ სალექსო ტექნიკის უზადობასა და სირთულეს ვგულისხმობდი და არა «გენიალობა-შედევრულობას»), მაგრამ ვატყობ, არც ჩემმა თხოვნამ გაჭრა და არც სათქმელის დაზუსტებამ. თუ შენ ტერენტისთან დაკავშირებულმა ჩემმა ექსცესმა გაგაღიზიანა და ჩემს პოეზიაში ჩაწვდომის სურვილი აღარ შეგრჩა (გქონდა კი?), რა გაეწყობა: მე დიდ ხანია შეჩვეული ვარ იმას, რომ ჩემს კოლეგებს მხოლოდ თავიანთი შემოქმედების მეხოტბედ და პოპულარიზატორად ვუნდივარ და არა კონკურენტად,

ამიტომ პიროვნულ ურთიერთობებში ასეთი რამ გართულებას არ მიქმნის; მაგრამ ვაითუ მარსიანსაც გადაედოს კოლეგების გულგრილობა და «აღარ შერჩეს მათ შემოქმედებაში ჩაწვდომის სურვილი»...

ისე შენს ადგილას მე პირიქით მოვიქცეოდი: აუცილებლად შევამოწმებდი, მოკამათის განაცხადი რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს; ალბათ ასე უფრო სამართლიანიც იქნებოდა და კოლეგიალურიც, მეგობრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

**გიორგი ბუნდოვანი:** რა თქმა უნდა, მეგობრობა მეგობრობად რჩება, მაგრამ ისეთი ტიტანების გინდაც სტილისტური კრიტიკა, როგორც ტერენტი გრანელია, გავმეორდები – მიმაჩნია ზემოციურობად და ზემომპარტავნობად, რადგანაც დღევანდელი ქართველი ცოცხალი პოეტებიდან, ჩემი ჩათვლით, არავინ მიმაჩნია ტერენტი გრანელის ფრჩხილის ფასადაც! (ეს ჩემი სუბიექტური და მყარი აზრია).

**მარსიანი:** თუნდაც ასე იყოს, კრიტიკოსს უფლება აქვს, გააკრიტიკოს ნებისმიერი ტიტანი. ეს ლიტერატურის ანაბანაა და თუ კაცი ხარ, ზედმეტი და თანაც ბავშვური თავგამოდება საჭირო არ არის. ტერენტის არ სჭირდება, დამიჯერე.

**გიორგი ბუნდოვანი:** ტერენტი გრანელს მე ბავშვურად და თავგამოდებით კი არ ვიცავ, ეს მას მართლაც არავისგან სჭირდება, არამედ იმის თქმა მინდოდა და მგონი ან კარგად ვერ გამოვთქვი, ან შენ ვერ გამიგე, რომ არის (ჩემის ღრმა რწმენით!) რაღაც ისეთი აქსიომები, ზოგადად ცხოვრებაში (და ლიტერატურაც ხომ ცხოვრების ნაწილია!/) რომელთა ან აწონ-დაწონვა, ან გადაფასება, და მით უფრო კრიტიკა – არ უნდა ხდებოდეს (ვიმეორებ, ეს მე მწამს ასე!)

**მარსიანი:** გწამდეს!

11.06.2008

მარსიანი

## ახალი სახელი

დარეჯან ლომთაძეს არასოდეს გამოუქვეყნებია თავისი ლექსები და ამდენად, მას, როგორც პოეტს არავინ იცნობს, თუ რამდენიმე კაცს არ ჩავთვლით. ყველამ ვიცით, უცნობი სახელის გამოჩენა ლიტერატურულ სარბიელზე აპრიორულად, უმიზეზოდ იწვევს ამრეზილ განწყობას – «ეს კიდევ ვიღა გამოჩნდა?!» არავინ მოელოს, რომ ის უცნობი ავტორი შეიძლება ნიჭიერი მწერალი, ან სულაც მომავალი კლასიკოსი იყოს: ბევრად უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ კიდევ ერთი უსახური, რიგითი კალმოსანი აპირებს შემოემატოს მწერალთა ისედაც უზარმაზარ ლაშქარს და, ცხადია, თავის კუთვნილ ადგილს მოითხოვს ლიტერატურულ «მზისქვეშეთეთში» და სხვათა შევიწროებას ეცდება... სწორედ ამიტომ იძულებული ვარ, რამდენადმე კატეგორიული ვიყო ჩემს განაცხადში: დარეჯან ლომთაძე ლექსის პირველხარისხოვან ოსტატად მიმაჩნია; მას აქვს ის თვითმყოფადობა, რაც ჭეშმარიტი პოეტის უცილობელი მახასიათებელია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით, მისი პოეზია ძირითადად მეტაფიზიკური ხასიათისაა, ამდენად, არცთუ მაინცდამაინც «ხალისით» ექვემდებარება ცალსახა განმარტება-გამიფვრას; თუმცა არც იმის თქმა მინდა, რომ ეს ნაწარმოებები რაიმე განსაკუთრებულ სიმძნელეს უქმნიან მკითხველს მათი საზრისის ჩაწვდომაში; უბრალოდ, მეტაფიზიკური ხატოვანება რამდენადმე

«თვითკმარი» ღირებულებისა; ემოციურ-ასოციაციურ დონეზე მკითხველი ისედაც სრულფასოვნად აღიქვამს მის ლექსებს (რა თქმა უნდა, იგულისხმება ამგვარი პოეზიის თავისებურებებში გარკვეული მკითხველი და არა ისეთი, ლექსი რომ ალგებრულ ამოცანასავით ერთჯერადად «ამოხსნადი» რაღაც ჰგონია).

დარეჯანის ლექსებიდან განსაკუთრებით მინდა გამოვყო «უდაბნოს ელეგია», რომელიც, ჩემის აზრით, სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, შედეგად აღიარების შემთხვევაში რომ უნდა წავუყენოთ ნაწარმოებს. ლექსი ერთობ მდიდარია ორიგინალური და მშვენიერი ტროპებით, რომელთაც დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა გააჩნიათ. კომპოზიცია უზადო და ვირტუოზულია, ავტორი ოსტატურად იყენებს განმეორების ტექნიკას, ლაიტმოტივებს, რომლებიც ჩინებულ მუსიკალურ ეფექტს ახდენენ. ისინი ან უცვლელად მეორდებიან (მაგ: სამჯერ მეორდება ლექსის პირველი სტრიქონი «აღმოხდების მზედ წუხდა შუადღის შიში» – დასაწყისში, შუაში და სულ ბოლოში), ან კიდევ ვარირებას, ნაწილობრივ ცვლილებას განიცდიან («უდაბნოდ ვიჯექ უდაბნოსფერი ქალი» – «უდაბნოდ ვიჯექ და უდაბნოთ მიხმე» – «უდაბნოდ ვიჯექ და გადარჩენის ნიშნად...»); ასევე ლაიტმოტივურად, სხვადასხვა ადგილას მეორდება «ლომების» მხატვრული ფიგურა («ალყა დამარტყა ხვადი ლომების ხროვამ» – «მოდგნენ ლომები, ამოიმართნენ ხომლით» – «ქუხდნენ ლომები ზეცის უფსკრულთა მიღმეთს»); ლაიტმოტივია «მწირის» სახეც: «დემონთ ფერხულში მწირი როკავდა ვინმე» – «მწირი როკავდა და მოწიოდა ციდან». ხოლო ლექსის ბოლო სტროფში მეორე სტრიქონი «როკავდი შენ და უდაბნოიდან იშვი» იმავე «მწირ»-ს გულისხმობს, მხოლოდ «შენ» ნაცვალსახელით ჩანაცვლებულს: ეს მეტად მოხდენილი, გრაციოზული სვლაა – ფინალურ აკორდებში მესამე პირის შემოტანა, «ეპიკური ობიექტის» გარდასახვა «ლირიკულ ობიექტად», უშუალო მიმართვის ადრესატად: ამით თითქოს «მწირის» ფიგურა «ღმერთის» ფუნქციას იძენს, მით უმეტეს, რომ მისი როკვა «გადარჩენის ნიშნად» არის წოდებული.

ლექსის თვალსაწიერი უსასრულო კოსმიურ სივრცეებს სწვდება და მოიცავს, რაც მის მონუმენტურობას, მასშტაბურობას განაპირობებს. ეს არის ზენა სამყაროსთან შეხების გაბედული, ლამაზი მცდელობა, ჭეშმარიტი პოეტური მისტიკა...

ფილოსოფიურ-რელიგიური ტიპის მშვენიერი ლექსებია, აგრეთვე, «ამორძალი», «ნელი სიკვდილი», «ვინ შემოვიდა, აქ ვინ შემოდგა ფეხი...». აქაც ისე ეს მდიდარი სახეობრივი მეტყველება, დახვეწილი ტექნიკა და სათქმელის მასშტაბურობა გვხიბლავს; გულშიჩამწვდომი სევდიანი ლირიზმით გამოირჩევა დაკარგული სიყვარულისადმი მიძღვნილი ელეგია «დაფი. ბობლანი. მზე აწივლდა უღმერთო ცაზე...» პაწია, ხასხასა ფერებით შემკული ყვავილებივით გვეკვლევიან მომცრო, შვიდმარცვლიანი მსუბუქი ლექსები «დავლურს დაუვლის ხვატი...» «ამოიმღერებს ვარდებს...», «ჩემს მოღერებულ ყელზე...» თავისებურად ლამაზია, აგრეთვე, აფხაზეთის ზღვისპირა პეიზაჟის იმპრესიონისტულ-პოეტური გადმოცემის ცდა ლექსში «ღრუბელთ არხვედა სათუთი სიო...».

აქ ვამთავრებ ამ მოკლე რეცენზიას. მკითხველმა განსაჯოს, რამდენად საინტერესო და ღირებულია ეს ახალი პოეტური სამყარო, დარეჯან ლომთაძის ლირიკა, აქამდე რომ თავისთვის, დაფარულად არსებობდა და ახლა შევეცადეთ, მცირეოდენად ხილული მაინც გაგვეხადა ლიტერატურული საზოგადოებისათვის.

## შეხვედრა ნინო დარბაისელთან

**გიორგი კილაძე:** მოგესალმებით, მე გიორგი კილაძე ვარ, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი... დღეს, ჩვენი მასპინძელი ქალბატონი ნინო დარბაისელი იქნება... ლიტერატურული სადამოების ბოლოდროინდელ ტრადიციას არ დავარღვევ და ქალბატონ ნინოს საჩუქრებს გადავცემ: პირველი საჩუქარი ალმანახი «თაობების» პირველი ნომერი იქნება. მრავალჭირნახული ალმანახი... ალმანახს, რომელსაც ზუსტად იმდენივე ვერბალური თუ წერილობით დადებით რეცენზია აქვს, რამდენიც უარყოფითი... ვიმედოვნებ, ალმანახს კიდევ ერთი დადებითი რეცენზია შეემატება უახლოეს ხანში...

ქალბატონო ნინო, ალმანახ «თაობების» პირველ ნომერში 80-ზე მეტი სხვადასხვა თაობისა და მოდით, ასე ვიტყვი გამოცდილების მწერლის ნაწარმოებია თავმოყრილი.. ყველაზე უმცროსი პოეტი 17 წლისაა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული 70 წელს გადაცილებული ქალბატონი. თუ ალმანახზე საუბრით არ გადაგლალეთ, იმასაც გეტყვით, რომ სულ მალე «თაობების» მეორე ნომერიც გამოვა; მეორე ნომერში ყველაზე უმცროსი ავტორი 13 წლისაა, ყველაზე ხანდაზმული, შიო მღვიმელის 97 წლის ქალიშვილი ქეთევან ქუჩიკაშვილი. სწორედ მისი ლექსი დაამთავრებს ალმანახ «თაობების» მეორე ნომერს და პროექტ «თითო-თითოს».

მეორე საჩუქარი, ლიტერატურული კრებული «საუბრები ლიტერატურაზეა», ყველაფერს რასაც წაიკითხავთ, არის «ონლაინში» დაწერილი გზავნილები, ხანდახან ღამე ნათევი ფორუმელების. თუმცა, გაურედაქტირებელი ტექსტების შინაარსიც კი ფორუმელთა მაღალ ინტელექტსა და რაც მთავარია, ლიტერატურის სიყვარულზე მიუთითებს.

ქალბატონი ნინოს კიდევ ერთი საჩუქარი – ეს არის კრებული «რამდენიმე კითხვა». კრებულში «შეხვედრით» თითქმის ყველა თაობის მწერლებს: ყველაზე უფროსი ქალბატონი იზა ორჯონიკიძეა, ყველაზე უმცროსი კი, ალბათ, დიანა ანფიმიადი და მისი თაობა...

**ნინო დარბაისელი:** პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გიორგი კილაძეს, «ადმინს!» რომელსაც პირადად არ ვიცნობდი. ჩვენ ვირტუალური მეგობრები ვართ და დღეს მომეცა საშუალება, პირადად გამეცნო. მინდა მადლობა გადავუხადო მას, როგორც შესანიშნავ ადამიანს და ლიდერს, რომელმაც სული ჩაუდგა არა მხოლოდ ძველ «ებლიტფოს», რომელსაც გამოვითხოვეთ, არამედ ახალ «ებლიტფოსაც», რომელიც უფრო და უფრო ძალას იკრებს და დარწმუნებული ვარ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული საიტი გახდება. მე და ჩემი მეგობრები ვუდგავართ მას მხარში, რომ კიდევ უფრო კარგი გახდეს ეს საიტი. ეხლა კი დავიწყებ ლექსით. მოდით ასე მოვიქცეთ, რადგან მე არა მარტო პოეტი ვარ, არამედ ლიტმცოდნეც, ეს ორი კლანი ჩემში, ხან სიმბიოზშია და ხან ერთმანეთს უპირისპირდება. ჩვევად მაქვს, ლექსს ყოველთვის რაღაც შესავალი უნდა წავუძღვარო ხოლმე – რის შესახებ არის, რა თემა მაქვს აღებული, რა კონცეფციისკენ მივდივარ, რა ხერხები გამოვიყენე... ლექსს, რომელსაც ახლა წავიკითხავ, არის აგებული კონცეპტუალურ ხერხემალზე – არსებობს ასეთი აზრი, რომ ადამიანის ავადმყოფობა არის საკუთარი თავის ნაკლებობა და იმისათვის რომ განიკურნო, უნდა აივსოს საკუთარი თავით. თითქოს ადვილი სათქმელია. ამაზე რომ ვიფიქრე, მივხვდი,



იმისთვის რომ აივსო საჭიროა მეორე ადამიანი, როგორც საკუთარი თავის მომწოდებელი. მე მჭირდება მეგობარი, შეყვარებული, მჭირდება ახლობელი ადამიანი, რომ ავივსო ჩემივე თავით. კიდევ ერთი: საპროვიზორო საქმეში ასეთი აქსიომა არსებობს – წამალი, რომელსაც არა აქვს დასახელება არის საწამლავი. ახლა კი ლექსი «ნინო წამალი».../

**მსმენელი:** როდის დაიწყეთ ლექსების წერა?

**ნინო დარბაისელი:** ლექსების წერა დავიწყე ადრეულ ასაკში წერა-კითხვასთან ერთად და პირველი ლექსი ეძღვნებოდა ძალს (იცინის). ჩემს საკუთარ სახლში გვყავდა ძალიან ბევრი ძალღი და რატომღაც ყველას ვეძახდით ლასის. ერთ-ერთი ლასი იყო ჩემი ლექსის გმირი. ერთ-ერთ შეჯიბრში გაიმარჯვა, მედალი მოიპოვა და იმდენად აღტაცებული დავრჩი, რომ ლექსად გადმოვიღვარე. მაშინ ვიყავი შვიდი წლის. მერე ვწერდი მიზაძვით. ბებიჩემი წერდა სამოყვარულო ლექსებს და პირველად ვიპარავდი მის ლექსებს. მერე მივხვდი, რომ მეც შემიძლო.

**მსმენელი:** რას იტყვით ხელოვნებასა და პოეზიაზე?

**ნინო დარბაისელი:** მიყვარს, არსებობისა და აზროვნების დროს მქონდეს მყარი ორიენტირები. მიჭირს, როგორც ჩანს, თავისუფალი მოძრაობა, გინდა სააზროვნო, გინდა სოციალურ სივრცეში და ჩემი ერთ-ერთი მყარი ორიენტირი, რომელსაც თავს ხშირად ვუმეორებ, არის, რომ პოეზია არის ხელოვნების სიტყვიერი დარგი. რაკი პოეზია არის ხელოვნება და მე ამ საქმეს ვაკეთებ, მე ვალდებული ვარ, ვიცოდე ჩემს პროფესიაში რა ზოგადი კანონები, მუდმივი და ცვალებადი წესები მოქმედებს. ამდენად, ის, რომ მე უფრო მეტად ვარ დაინტერესებული ლიტერატურის თეორიის, ზოგადად კულტურულოგიის და სხვადასხვა საკითხებით, ისევე იმიტომ, რომ ჩემს დარგს ჭირდება ეს ყველაფერი. დღეს არ შეიძლება პოეტი იჯდეს და ელოდებოდეს, როდის მოფარფატდება მუზა. ყოველ შემთხვევაში ჩემთან «ფარფატა მუზა» ჯერ არ მოსულა.

**მსმენელი:** შვილს რომელი ლექსი მიუძღვნით?

**ნინო დარბაისელი:** ერთი კრებული მაქვს, 1987 წელს გამოცემული, რომელსაც სათაურად ქვია «ახალდედები» და ეძღვნება არა კონკრეტულად ჩემს შვილს, არამედ დედაშვილობის პრობლემას. მაშინ მეჩვენებოდა, რომ ეს იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში ძალიან ჩაშაქრულად და უმტკივნეულოდ იყო მოწოდებული და ვცადე, ცოტა ამემღვრია წყალი, მეჩვენებინა ის კონფლიქტური დამოკიდებულება – დედის ნეგატიური შიშები, განწყობა, დედა-შვილის ურთიერთობის წვეტიანი ადგილები, რაც ხდება ხოლმე. კონკრეტულად ჩემი შვილისადმი ლექსს ჰქვია «თეოს». ამ ლექსის იდეა არის, რომ დედასა და შვილს შორის, სიახლოვის წყვეტა იწყება, მაშინ, როდესაც შვილი დამოუკიდებელ არსებობას იწყებს, პირველივე წყლის ყლუპი, რომელიც დედის რძე არ არის, სიგნალია იმისა, რომ სამყარო თანდათან იწყებს მათ შორის ჩადგომას.

ახლა წავიკითხავ ლექსს, რომელსაც ჰქვია «სუფრის ფოჩები». ეს ლექსი ეყრდნობა თანამედროვე ფსიქოანალიზს, ქვეცნობიერი ფსიქიკის საკითხებს, ოღონდ ეს არის გადმოცემული მხატვრული ფორმით. აღებული მაქვს ლაკანის აზრი იმის თაობაზე, რომ ადამიანი ბავშვობიდან დიდობაში შეცდომების გზით გადადის. ეს აზრი ვატრიალე და მოვუძებნე ნარატიული ფორმა. ჩემს ლექსებს, მინდა გითხრათ მუდამ დასდევს ნარატიული ფონი. ხშირად მართალი ისტორია ედება საფუძვლად. ჩემთვის

ეს ნარატიული პლანი მაინც არის საშუალება იდეის ექსპლიცირების. ვცდილობ, იდეა უკანა პლანზე გადავიტანო და სახეობრივად წარმოვადგინო, რომ მკითხველისათვის ადვილად წარმოსასახი იყოს, რისი თქმა მინდა. ლექსის «სუფრის ფოჩების» ეპიზოდი, სინამდვილეში ჩემს შვილს შეემთხვა \_ ერთხელ შეძვრა მაგიდის ქვეშ და მთელ სუფრას მაკრატლით ფოჩები შემოაჭრა. ეს მახსოვდა, ოღონდ ჩემს თავზე გადავიტანე.

**გიორგი კილაძე:** ქალბატონო ნინო, რამ გიბიძგათ დაგეწერათ ესეი «როგორ ვმუშაობ ლექსზე»... ვერ ვიტყვი სკანდალურია-მეთქი, მაგრამ... მე, ყოველშემთხვევაში, მსგავსი არ წამიკითხავს...

ქალბატონო ნინო, ერთსაც გკითხავთ... ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ 60-იანელებზე, 70-იანელებზე, 90-იანელებზე, უკვე 2000-იანელებზეც და ა.შ. მოდით გვესაუბრეთ 80-იანელებზე, რომლებიც მეჩვენება (არა მარტო მე) როგორ «თაობა» დავიწყებულია... არადა, \_ ნინო დარბაისელი, ელა გოჩიაშვილი, თამაზ ბაძაღვა, ზაზა მთვარაძე, ომარ თურმანაული ამ თაობის წარმომადგენლები არიან... ცალ-ცალკე როგორ არ ახსოვთ.. მაგრამ...

**ნინო დარბაისელი:** როდესაც დათო ჩიხლაძის წიგნის შესავალ წერილს ვწერდი, ვუწოდე «დალუპული თვითმფრინავის შავი ყუთი». აზრი რომელიც ამ სათაურში ვიგულისხმე, გახლავთ ის, რომ დათო ჩიხლაძის ლექსები ჩემთვის არის ტრაგიკული თაობის საცავი, რომელიც უკვე ცოცხალთა შორის არმყოფი ადამიანების, ან საქართველოში არმყოფი იმ ადამიანების ხსოვნას ინახავს, რომლებიც პრაქტიკულად დააკლდნენ ჩვენს კულტურას, ლიტერატურას, ჩვენ საარსებო სივრცეს. აღარ არის აღარც თამაზ ბაძაღვა, ბადრი გუგუშვილი, კარლო კაჭარავა. თურმანაული აქ აღარ ცხოვრობს. ზურაბ რთველიაშვილი შედარებით პატარა იყო და მერე შემოუერთდა ჯგუფს, რომლის ლიდერი იყო დათო ჩიხლაძე. წარმოიდგინეთ, პერიოდი იყო ისეთი \_ საბჭოთა კავშირი ინგრევა, კულტურული ორიენტირები ჯერ გამოკვეთილი არ არის, ვესტერნული და აღმოსავლური კულტურის ნაზავთან გვაქვს საქმე. ამ დროს პირდაპირი კავშირები ჯერ გერმანიასთან მყარდება, ანდა პეტერბურგთან და მოსკოვთან. ინტერნეტი მაშინ არ იყო. მაშინ ლიტერატურის მოპოვებაც პრობლემას წარმოადგენდა. სულ ორი ქსეროქსი იყო და ისიც რაღაც ლიმიტირებულად მუშაობდა. ასე, რომ ეს თაობა რომელიც იმედის მომცემი იყო, არ შედგა, თუმცა გაჩნდნენ ინდივიდები. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ეს საკითხი შედარებით საინტერესოდ მოგვარდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმიტომ რომ კულტურული ანდერგრაუნდი არსებობდა. მოსკოვი და პეტერბურგი ანდერგრაუნდის ბუდეები იყვნენ. როდესაც ჩვენთან ტაბუ აეხსნა ბევრ რაღაცას, აღმოჩნდა რომ ადამიანებს უჯრაშიც კი არაფერი ჰქონდათ ისეთი, რომლის გამოქვეყნებაც, დანგრეული საბჭოთა კავშირის მერე დაანახვებდა ყველას, რომ ქართული ანდერგრაუნდი არსებობდა. იმის თქმა მინდა, რომ ეს თაობა, 80-იანელები, რომელიც პოსტსაბჭოთა თაობა უნდა ყოფილიყო და დაყრდნობოდა ანდერგრაუნდს, ვერ «განხორციელდა» სრულყოფილად. მათ მოუხდათ ცარიელ ადგილზე რაღაცის დაწყება. ბუნებრივია იყო ბევრი ჩაშლილი პროექტი, ბორძიკი. ახალგაზრდები თავმოყრილნი იყვნენ დათო ჩიხლაძის გვერდზე. მეორე ადამიანი იყო დათო ბარბაქაძე, ძალიან საინტერესო პოეტი და მოაზროვნე. იმ წლებში პრაქტიკულად მას არ შეუწყვეტია მუშაობა, თავად კრეფდა მასალებს ჟურნალ «პოლილოგისთვის». იპოვიდა დანგრეულ, გაუბედურებულ სტამბას და ა.შ. ეს არის ჩაზნელებული თბილისის ისტორია \_ როგორ გამოდიოდა თითოეული წიგნი, ან როგორ

იბეჭდებოდა, მაშინ როცა არ იყო კომპიუტერი, შუქი. ეს იყო შავ-თეთრი პერიოდი. როგორც გამომცემელმა თითქმის შეუცდომლად შემიძლია ვთქვა, რომელ წლებშია გამოცემული ესა თუ ის წიგნი. ეჩვევი, როცა ხანგრძლივი პროფესიული ურთიერთობა გაქვს რაღაც საქმესთან. 90-იანი წლების წიგნებს იცნობ \_ თეთრი ქალაქი, საფორზაცე ყდისთვის და ზემოდან შავი საღებავი. ასეთი შავ-თეთრი ფონი არსებობდა. ამ ფონზე იყო ხოლმე ბედნიერი გამონათებები ჩიხლაძისა და ბარბაქაძის და მათ ირგვლივ შემოკრებილი მეგობრების სახით. ბუნებრივია შემდგომ თითოეულმა მათგანმა თავის განვითარების გზა პოვა. დღეს უკვე თითოეულ მათგანს თავისი სახე აქვს \_ სხვა არის ზაზა შათირიშვილი, შოთა იათაშვილი და სხვები. ეს უკვე ძალიან კარგია, რაღაც მარაოსავით არიან გაშლილი.

რაც შეეხება პირველ კითხვას \_ რამ მიბიძგა, დამეწერა პირველი ესეი, «როგორ ვმუშაობ ლექსზე». «ლიტერატურა. გე-ს» აქვს პორტალი, სადაც ხშირად ვაწყდები ასეთ პრობლემას \_ იქ ახალგაზრდები ათავსებენ ლექსებს და აშკარად ვგრძნობ, რომ არიან ნიჭიერები, მაგრამ არავინ არ ასწავლიდა, რომ პოეზიას სჭირდება, ასე ვთქვათ, «სკილ» ინგლისურად, პრაქტიკული ცოდნა, რა როგორ კეთდება. ეს ახალგაზრდამ არ იცის და ვგრძნობ რომ მიდის იქითკენ, წვალობს და ბოლოს და ბოლოს ამთავრებს იმით, რომ აღმოაჩენს პატარა, მშვენიერ ველოსიპედს, რომელიც გასულ საუკუნეში, მშვენივრად მიუყვებოდა თბილისის ქვაფენილებს. ახალგაზრდული ენერჯია უაზროდ რომ არ გაიფანტოს, გული არ გაუტყდეს და საერთოდ, არ დაანებოს თავი წერას, ვცდილობ ხოლმე, რამდენადაც შემიძლია, მისთვის გასაგები ენით მივახვედრო რას მიაქციოს ყურადღება \_ თუ ძალიან პრიმიტიული ლექსია, მარტივ ენაზე ახსნას ვცდილობ. თუ ვიგრძენი რომ ახალგაზრდას უკვე გარკვეული მზაობა აქვს, უკვე პროფესიონალურ ენაზე ვაწვდი ხოლმე. საერთოდ, უფროსებს ძალიან გვიყვარს დარიგება, მაგრამ როგორც წესი, ავტორიტეტები საკუთარი ნაკლის შესახებ ნაკლებს ლაპარაკობენ. ბუნებრივია, ავტორიტეტს სჭირდება სტატუსი, დამაჯერებლობა, როდესაც რაღაცას ლაპარაკობს, უნდა შეიქმნას რაღაც ჰაბიტუსი, აღძრას განწყობა იმისა, რომ რასაც ის იტყვის, იყოს დასაჯერებელი. მე არ მინდა ასეთი ავტორიტეტი, მე ვემხრობი აზრს, რომ ჩემი წარუმატებლობა უფრო ბევრს მისცემს ჩემს უკან მომავალს, ვიდრე ის, სად გავიარე სირბილით. იმიტომ, რომ იქ, სადაც კარგი გასავლელია, ჩქარა, თუ ნელა გაივლი, ბოლოს და ბოლოს გაივლი. სადაც ქვები ყრია, სჯობია, წინ მიმავალმა გითხრას, რომ მოერიდო. ამის გამო გადავწყვიტე დამეწერა საკუთარი მარცხის შესახებ.

ახლა კი ლექსი «მამიანი სურათები». ორიოდ სიტყვა ამ ლექსის შესახებ. იდეა მქონდა ასეთი: ყველა მივდივართ ჩვენი გზით ღმერთისკენ. კონკრეტული რაღაცა გვიბიძგებს იქით. მაგალითად, ერთი ადამიანი შეიძლება ერთი გზით წავიდეს, იაროს დიდხანს, მეორემ მოკლე გზა ნახოს, ანუ წინასწარ მაინც არავინ არაფერი იცის. ყველას თავის გზა აქვს. ამ შემთხვევაში ავიღე კონკრეტული მაგალითი \_ კონკრეტული მამა, შვილი და კონკრეტული სიტუაცია. შემდგომ დინება უკვე გადის ბიბლიურ მოტივებზე. ბოლოს ვღებულობთ მამა ღმერთს და ადამიანის პრობლემას: როგორ ჰკრავს ხელს ზოგჯერ მამა ღმერთი ადამიანს და როგორ აძლევს თავისუფლებას, რომ თავისი თავი იპოვოს და გადარჩეს. ლექსს ასევე საფუძვლად დაედო ის, რომ ვნახე ჩემი ბავშვობის სურათი, სადაც ვარ სამი წლის და მამაჩემს ვუზივარ კალთაში.

**მსმენელი:** მე წაკითხული მაქვს თქვენი ძალიან საინტერესო რეცენზია საკუთარ ლექსზე და მაინტერესებს ერთი მომენტი – საქართველოში ეს უკანასკნელი ძალიან ჭირს, მე თვითონაც დამიწერია ჩემ თავზე და მსაყვედურობენ, შენ თავზე როგორ დაწერე. ასეთი საყვედური ხომ არ გამოუთქვამთ თქვენთან მიმართებაში?

**ნინო დარბაისელი:** ეს იყო 1991 წელი, გაზეთში გამოვაქვეყნე წერილი «ჩემი სიყვარულის ბწკარი». იგი პრაქტიკულად იყო ესსე, სადაც მოვათავსე ლექსი. ეს იყო ორგანული მთლიანობა, თუმცა შესავალ ნაწილში აღვნიშნავდი, რომ ლექსი ამ მიზნით არ დამიწერია, სინამდვილეში ეს ერთად იქნა მოფიქრებული. მახსოვს, რომ დაიბნა საზოგადოება. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული კრიტიკისაგან კეთილი ყურადღების და მოფერების მეტი არაფერი მიგვრძნია. ყოველთვის მანებივრებდნენ. უცებ თითქოს არავის არ ვუყვარვარ, ისე იქნა აღქმული. გამომივიდა, ვზივარ და საკუთარ ლექსებს ვარჩევ. ესე იწყებოდა წინადადებით, რომ საკუთარი ლექსის ანალიზის მკითხველის წინაშე წარდგენა დაახლოებით გავს მომენტს, როდესაც საყვარელ ადამიანზე ელაპარაკები ვიღაცას და ფოტოგრაფიის მაგიერ რენტგენოგრამას უჩვენებ. ეს თომას მანის ალუზია იყო. წინა თაობა, რასაკვირველია, დაიბნა. იყო მზრუნველი საყვედურები – «ნინო, რაში დაგჭირდა ასეთი რაღაცა», მაგრამ შემდეგი თაობის მიერ იქნა აღქმული ისე, როგორც მე მიხდოდა. ეს იყო ცდა, ჩახვიდე ლექსის იმ სიღრმემდე, რომელიც ანალიზს ექვემდებარება. როდესაც ჩვენ ლექსს ვქმნით ეს არის კრეაცია. მივდივართ სინთეზის გზით.

**მსმენელი:** რამდენად კრიტიკული ხართ საკუთარი პოეზიის მიმართ? და როდესაც წერდით რეცენზიას საკუთარ ლექსებზე, წერდით როგორც ავტორი თუ ცდილობდით შეგეხედათ ცოტა უფრო სხვა კუთხით – როგორც ხელოვნებათმცოდნეს?

**ნინო დარბაისელი:** არსებული მხატვრული რეალობიდან შენ თუ არ შეგიძლია დაამოღელირო, შექმნა ახალი რეალობა, ახალი რაკურსი, მაშინ რად გინდა კრიტიკა, მაშინ რამე დესკრიპციას მიმართე. დაწერე რომელიმე ნაწარმოების შინაარსი, ისაუბრე ფაბულაზე, მოქმედებების განვითარებაზე, რასაც თავისი მომხიბლაობა გააჩნია, მაგრამ კრიტიკა არის ლიტერატურის დარგი, რომელშიც კრეაციულობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. კრიტიკოსი ისეთივე შემოქმედია, მან უნდა შექმნას ტექსტზე, როგორც არსებულ რეალობაზე დაყრდნობით რაღაც ახალი. რაც შეეხება თავის მართლებას, ჩვენი შეხვედრის დასაწყისში დავიწყე საუბარი ორიენტირების თაობაზე. ერთ-ერთი ორიენტირი ჩემთვის არის თომაზ ელიოტი, რომელმაც თქვა, რომ ყველა დიდი პოეტი პირველ რიგში დიდი კრიტიკოსია. შეიძლება ქმნადობის პროცესში ინტუიციით მიდიოდე და ინტუიცია, განსხვავებით ინსტინქტისაგან, მაღალი რანგის ემოციურ, ინტელექტუალურ ძალთა კომპლექსიით ყალიბდება. ხანდახან შეიძლება ინსტინქტით რაღაცა გააკეთო და ინტუიცია ეგონოს ხალხს. ინტუიცია აბსოლუტურად სხვა რაღაცაა. მჯერა, რომ არსებობს თანდაყოლილი ინტუიცია, შეიძლება ინტუიციის განვითარებაც. როდესაც შენ არ შეგიძლია შენივე ტექსტი წაკითხო მტრული თვალთ, მაშინ ჩათვალე, რომ შემოქმედებით სრულყოფილებამდე რაღაცა გაკლია და უნდა საკუთარ თავზე იმუშაო. შემოქმედება პრინციპში არის, მკვეთრად რომ ვთქვა – სიგიჟეში ნებაყოფლობითი შერბენა. ეს არ არის ჩემი სიტყვები, სხვების ციტირებას ვახდენ. თუ შენ ამ სიგიჟეში ნებაყოფლობით რომ შეირბინე, რაც გამოიტანე მერე, ჯანსაღად ვერ შეაფასე და კვლავ იმ სიგიჟის

მდგომარეობიდან გინდა დაარქვა სახელი და აი ამ ფორმით გაიტანო, მაშინ კარგად უნდა დაფიქრდე, რადგან რაღაც მთლად სწორი არ არის.

მეჩვენება, რომ ჩვენში დღეს ძალიან გაიმარტივეს ახალგაზრდა ადამიანებმა აზროვნება და საერთოდ პრობლემებისადმი მიდგომა ერთი ხერხით – ყველაფერი, რაც ძველია ცუდია, რაც ახალია – კარგია. ჩათვლიან, რომ არის საბჭოთა და მოინდომებენ აქანდაზზე დადებას და გადაყრას. ყველაფერი რაც საბჭოთა იყო, ცუდი როდი იყო. მაგალითად, პიონერთა სასახლე, რომელიც დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეა. იქ არსებობდა სტუდია, რომელსაც ფაცია პაიჭაძე ხელმძღვანელობდა და მე ვიყავი ამ სტუდიის მოსწავლე წლების მანძილზე, მერე მოხალისე მასწავლებელი და შემდგომ უკვე შტატის მასწავლებელი. ასეთი დიდი შემოქმედებითი სკოლა პიონერთა სასახლეში არსებობდა.

ლექსის თხზვის სწავლება ყველა ევროპულ კულტურაში ხდებოდა, ასევე აღმოსავლურშიც. ვინ არიან ჩვენი პირველი «ლიტერატურული» პოეტები? არისტოკრატის წარმომადგენლები. წერა იყო არისტოკრატის პრეროგატივა. წერა-კითხვის გავრცელებასთან ერთად პოეზია გადემოკრატიულდა, მაგრამ მჯერა, დღესაც და მუდამ პოეტები მივეკუთნებით მენტალურ არისტოკრატის.

**მსმენელი:** რით განსხვავდება ვერლიბრი და ვერბლანი?

**ნინო დარბაისელი:** ერთი თავისუფალი ლექსია, მეორე კონვენციური, რომელსაც არ აქვს რითმა, მაგრამ თანამედროვე ქართულ პოეზიაში ვერლიბრი და ვერბლანი პრაქტიკულად იმით განსხვავდება, რომ ორივემ შეიძინა თავისუფალი გრაფიკა, ერთს აქვს სპონტანური რითმაც, მეორეს კი ასეთი რითმა არა აქვს.

ახლა კი წავიკითხავ ლექსს, მქონდა ასეთი ციკლი – «დილისპირულებისა». ცნობილია ალბა – ასეთი ჟანრი დილისპირული სიმღერებისა. თავის დროზე ჯემალ აჯიაშვილმა თავის «შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაში» სიტყვა «დილისპირული» პირველად გამოიყენა. მე კი მეგონა რომ მოვიგონე, მაგრამ მე მოვიგონე ველოსიპედი. რადგან აჯიაშვილის წიგნზე ვარ გაზრდილი, ზეპირად ვიცოდი და ალბათ ქვეცნობიერში ჩაყვინთა. ეს ლექსები იყო ათამდე, მაგრამ საბოლოოდ ოთხზე დავიყვანე. ორს წავიკითხავ – ეს არის «ეროტიული დილისპირული», მეორე არის «მოჩლექილი დილისპირული». როცა ამ ლექსზე ვმუშაობდი, დაინტერესებული ვიყავი ფსიქოანალიზით... რაც ჩანს კიდევ ამ ლექსში... რას ელტვის მამაკაცი, ადამიანი? ეს არის მდგომარეობა, როდესაც ის იყო დაცული, უზრუნველყოფილი. შემოსილი სიყვარულით, ზრუნვით, ალბათ ყველა კაცი ქალში, მეგობარშიც, გარემოშიც აი ამ განცდას ელის. ყველაფერი შემემდლოს, არაფერი არ მევალებოდეს, ყველაფერი იყოს ჩემთვის და ვიყო დაცული, მოფერებული და ა. შ. არსებობს ბავშვური ენა, რომელიც ჩვენში რადიკალურად პროეცირებულია ჩვილობიდანვე. ყველა ენაში არის ის რაღაცა, რასაც ადაპტირებული სახით გვაწვდიან. დამებადა იდეა, რომ დამეწერა ლექსი, რომელშიც თითქმის არც ერთი სიტყვა არ იქნებოდა სალიტერატურო, მაგრამ იქნებოდა ყველასათვის გასაგები.

ამ ჩემი ლექსების კრებულს ჰქვია «დიოტიმა», სადაც 21 ლექსია შესული. ჩემმა მეგობრებმა დამახვედრეს გამოცემული, როდესაც საქართველოში ჩამოვედი. თავისი საყვარელი ლექსები აარჩიეს. «დიოტიმა», ერთი ლექსის სათაურია. პლატონის «ნადიმში» არის ასეთი ეპიზოდი – ოლიმპიური თამაშები დამთავრებულია, ჭაბუკები, მოაზროვნეები სხედან ერთად და ბჭობენ სიყვარულის ხასიათზე, რაგვარობაზე, ფორმებზე და აი, ბოლოს მოდის სოკრატეს ჯერი და ამბობს:

სიყვარულზე ლაპარაკი მე თვითონ გამიჭირდება, მაგრამ ერთი მეგობარი ქურუმი მონა-ქალი მყავს, დიოტიმა და შემოდლია, მისი ნათქვამი გითხრათ სიყვარული რანაირიაო. ჩავავლე ამ მომენტს ხელი – ყველაზე დიდ ბრძენსაც რომ დასჭირდა სიყვარულის შესახებ აზრის თქმა, ქალს ჰკითხა. ამ ლექსს ეროტიული პლანი აქვს. პლატონის «ნადიმში» ეს მომენტი არ არის. ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა, თუ დააკვირდებით ლექსს, პლატონის გამოქვაბულის ამბავს იცნობთ. ამ ლექსს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია: პლატონი «ნადიმი», «სახელმწიფო», ჰოლდერლინის წერილები, გალაკტიონის «უსიყვარულოდ», ნინო დარბაისელის «სიყვარულით» და «ცხოვრება როგორც ტექსტი».

**მსმენელი:** რას ნიშნავს პროფესიონალიზმი პოეზიაში?

**ნინო დარბაისელი:** როდესაც დავინტერესდი პოეტის სოციალური პრობლემებით, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ დასავლურ ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითადად, აღმოვაჩინე, რომ პროფესია პოეტი, როგორც ასეთი იქ არ არსებობს. პოეტის შემოსავალი საკუთარი პროფესიიდან უდრის ნოლ დოლარს, ანუ არაფერს. ეს არის პროფესია, რომელიც ადამიანს სასიცოცხლო მინიმუმით ვერ უზრუნველყოფს ვერც ერთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში. როდესაც სადღაც მიდიხარ, ხომ უნდა ნახო რა მდგომარეობაშია ის, ვინც იქ შენზე წინ არის. პერსპექტივა რა აქვს პოეტს საქართველოში?! ამან საგონებელში ჩამაგდო და ვირტუალურ მეგობრებს გავუზიარე – პოეზია შეიძლება იყოს შენი მოწოდება, გატაცება, მაგრამ არ შეიძლება იყოს შენი პროფესია. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სამოყვარულო და პროფესიულ პოეზიაზე, მიხდება ხოლმე თქმა – ეს არის პროფესიული ნაშრომი. დასავლეთში პროფესიონალური ნიშნავს ისეთ საქმეს, რომელიც შენ გინახავს. რაღაც დონით უზრუნველყოფს შენს არსებობას. ამიტომ, ვიდრე კალამს ჩაბლუჯავდეთ, კარგად დაფიქრდით, რაზე მიდიხართ (იცინის).

**მსმენელი:** ყველა პოეტს თავისი მკითხველი ჰყავსო. თქვენ პირადად, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მკითხველი?

**ნინო დარბაისელი:** შესაძლებელია, ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვა ნაწარმოებს სხვადასხვა წრისადმი გაგზავნილ მესიჯად იაზრებდეს. მაგალითად, გალაკტიონის «არტისტული ყვავილები» და «დროშები ჩქარა» არ გულისხმობს ერსა და იმავე მკითხველს, ანუ ერთი არის გათვლილი ელიტარულ მკითხველზე, რომელმაც იცის სიმბოლისტური ენა, უკვე აქვს ამის კულტურული გამოცდილება. ხოლო «დროშები ჩქარა» კომუნისტურ პარადსაც მოერგება, ნაციონალურსაც, ნებისმიერ სიტუაციას, ყველას ვინც დროშას მოჰკიდებს ხელს და «თავისუფლება სულს სულ მოსწყურდება, ვით დაჭრილი ირმების გუნდს»... ეს ბიბლიიდან მომდინარე ალუზია, წყარო ანკარა სულ საჭიროა. ეს ლექსი გათვლილია უაღრესად გაშლილ აუდიტორიაზე. თუმცა ასეთი დიდი ოსტატის ლექსი მთლად ასე არ გაითვლება და მუდამ თავისებური ბირთვია საგულისხმებელი. მე ამ ლექსს ღირებულებას კი არ ვუკარგავ, ვამბობ, რომ ვისთან აგზავნი მესიჯს, როცა ლექსს წერ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მე მაგალითად, მესიჯს ვაგზავნი იმ ადამიანებისკენ, რომლებიც ჩემნაირად ალაგ-ალაგ განათლებულნი არიან კულტურისა და ხელოვნების სფეროში. ასეთ მკითხველს ვგულისხმობ. არ ვგულისხმობ ჰაიდგერს, ვგულისხმობ მის მოყვარულს.

**მსმენელი:** ლიტერატურულ საიტებზე თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ პოეტობას თავი დაანებეთ. რას ნიშნავს ეს? ხომ არ არის რაიმე ეპატაჟი? პოეტი ხომ ან ხარ, ან \_ არა?

**ნინო დარბაისელი:** მე ვამბობ, რომ მე, როგორც პოეტმა ამოვწურე ჩემი თავი. მე ვიცოდი, რა მინდოდა გამეკეთებინა, სადამდე მივდი. ჩემმა შემოქმედებამ თავისი ჩიხი თვითონ იპოვა. შემიძლია უკვე ჩემივე ტექსტებით ვითამაშო, თვითრეფლექსირებას მივმართო, გავაკრიტიკო ჩემივე ლექსები, მაგრამ ის, რომ მე ახალი რამე გავაკეთო, უკვე მოითხოვს ჩემგან გადაწყობას. ვერ ვიქცევი ავტორ-პოსტმოდერნისტად. არსებობდა ასეთი გერმანელი მწერალი იუნგერი, რომელიც ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო. მე ასე არა ვარ, მე ვიცი ჩემი შესაძლებლობები და მიმაჩნია, რომ ადამიანმა უნდა გაზომოს, რა შეუძლია, ანუ თავზე მალა არ უნდა მოინდომოს ახტომა.

**მსმენელი:** რომელი ქართველი პოეტი არის თქვენთვის მოსაწონი?

**ნინო დარბაისელი:** ცხადია, პირველ რიგში გალაკტიონი. ჩემი შესვლა ქართულ ლიტერატურაში დაემთხვა 70-იანი წლების ბოლოს, როდესაც ექსტენსიური პერიოდი იყო ქართული პოეზიის განვითარებაში. იწერებოდა ბევრი ლექსი. დღესაც ასეთი სიტუაციაა. ანუ ხდება განვითარება გაშლაში და არა კონცენტრაციაში, სიღრმეში, მაგრამ ეს პერიოდი იმ პერიოდს მხოლოდ ამ ნიშნით თუ გავს. მე როდესაც ამ წრეს შევუერთდი, უკვე დამხვდა ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, ვახტანგ ჯავახაძე, იზა ორჯონიკიძე და ა.შ. მე ისინი მივიღე მასწავლებლებად. ანა კალანდაძე თუ ერთი \_ ზოგად ქალურის მიმართულებით წავიდა, \_ იზა ორჯონიკიძის ხაზი უფრო საინტერესო იყო ჩემთვის იმიტით, რომ კერძოდ, ქალი და მისი პრობლემატიკა აინტერესებდა. ქალბატონი იზას ის ლექსები, რომლებიც ძალიან ეროტიულად აღიქმებოდა 70-იან 80-იან წლებში დღეს კონსერვატიულია. იგი არაჩვეულებრივი ლირიკოსია. ჩემთვის მთავარი, როდესაც პოეტურ ნაწარმოებს ვეხები, ენასთან დამოკიდებულებაა. ყველაზე დაბალი საფეხური კი \_ იცის თუ არა ის ქართული, რომელიც დღემდე მოვიდა. ამის შემდეგ არის მოთხოვნა, რამდენად შეუძლია მას ქართული ენის უნიკალური თვისებები იგრძნოს, აღმოაჩინოს დღემდე გამოუვლენელი ნიუანსები და პოეტურ ველში შეიტანოს. ამას ემატება ლექსის კანონები \_ რამდენად შეუძლია «სათავისოდ» მართოს ერთის მხრივ პოეზიის კანონები, მეორეს მხრივ ენის კანონები. ეს ორი სადავე ხელში უნდა დაიჭიროს პოეტმა.

**მსმენელი:** ქალბატონო ნინო, რას კითხულობს თანამედროვე დასავლელი მკითხველი?

**ნინო დარბაისელი:** არსად დასავლურ სამყაროში, პოეზია ლიტერატურის დარგებიდან არ არის წამყვანი. დღეს მკითხველი უფრო დაინტერესებულია ისეთი ლიტერატურული დარგებით, როგორც არის მაგალითად დოკუმენტური პროზა, პოლიტიკური დეტექტივი, ბესტსელერები. საბავშვო «ჰარი პოტერზე», «ბექდების ბრძანებულზე» აღარ ვლაპარაკობ.

**მსმენელი:** რას იტყვით საბჭოთა პოეზიისადმი თანამედროვე ახალგაზრდობის დამოკიდებულებაზე?

**ნინო დარბაისელი:** დღეს ჩვენ გვაქვს საქმე სხვა მენტალური წყობის ადამიანებთან, ვიდრე 70-იანი წლების მენტალობა იყო. მაშინდელი იდეალები

ბუნებრივია განსხვავდება დღევანდელისგან. ამიტომ არ შეიძლება დღევანდელი პოეზია იყოს იგივე. იმ პოეზიამ თავისი განვითარების გზა შესანიშნავად გაიარა. მაგალითად, დღეს ახალგაზრდები იმდროინდელ პოეტებს, რომლებსაც დიდი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა პოეზიის განვითარებაში, იგნორირების საგნად აქცევენ ხოლმე. დავუშვათ არ არსებობს ის ადამიანი, რა რჩება პოეზიის განვითარების დინამიკაში იმ ადგილზე? მაშინ უნდა ჩაანაცვლო სუროგატით. წყვეტა არ არის. მიდიოდა მთელი პროცესები და დღევანდლობა ამ პროცესების შედეგია. არ მინდა იმ დიდი პიროვნებების სახელები დავასახელო, რომელთა იგნორირებაც ხდება ახალი თაობის მიერ.

**მსმენელი:** რა პერსპექტივა აქვს დღევანდელ თაობას?

**ნინო დარბაისელი:** გაფაციცებით ვუგდებ ყურს, რისი თქმა უნდა დღევანდელ თაობას. ახალგაზრდათა ერთი დიდი ნაწილი მიჰყვება ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზს. დღეს მე იმ პოეტებით ვარ დაინტერესებული, რომლებიც ჩვეულებრივ მარგინალურს მიეკუთვნებიან, მაგრამ იმყოფებიან ისეთ სტადიაში, რომ თითქოს მაგისტრალი უნდა ჩაანაცვლონ და ეს ან მოხდება, ან არა. თუ უნდა მოხდეს მარგინალისა და მაგისტრალის ადგილების გაცვლა. ესენი დაიკავებენ მაგისტრალს, მერე, რა თქმა უნდა, ამათაც მოუწევთ ამ მაგისტრალის დათმობა, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი გამოცდილება, ალლო მკარნახობს, რომ რამდენიმე ახალგაზრდა დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს. ცხადია, ამ საუკუნიდან შეიძლება დარჩეს ორისამი სახელი. საუკუნეების მანძილზე რუსთაველიდან გურამიშვილამდე უამრავი პოეტი იქნებოდა, მაგრამ გამოჩენილი არის ბევრი, რჩეული – მცირე. ისმის ასეთი კითხვა, მაშ რატომ უნდა ვწეროთ? უნდა ვწეროთ, თუნდაც იმიტომ რომ შევქმნათ საერთო ლიტერატურული ფონი, სადაც სხვა სოლოს შეასრულებს.

**მსმენელი:** პოეზიის მთავარ ფუნქციაზე რას გვეტყვით?

**ნინო დარბაისელი:** პოეზიის მთავარი და ერთადერთი ფუნქცია არის \_ის, რომ არსებობდეს.

**გიორგი კილაძე:** ერთხელ ვთქვი, ლექსის წერაზე ძნელი ლექსის კითხვაა-მეთქი და ლამის... არა, არა, არავითარი ანათემაზე გადაცემა///... გთხოვთ...

**ნინო დარბაისელი:** ლექსის მკითხველობა უფრო ძნელია, ვიდრე ლექსის დაწერა. დღეს ხელოვნება ადამიანს ეხმარება თვითგამოხატვაში. ეს არის საზოგადოების დემოკრატიზაციის, ჰუმანიზაციის რაღაცა ნიშანიც, რომ მე, როგორც ადამიანს მაქვს სათქმელი და მე მაქვს უფლება, იგი გამოვთქვა. მაგრამ ხელოვნებას ამით – რა? გაგიმხელთ ერთ საიდუმლოს – დამებადა იდეა, რომ გამეკეთებინა ასეთი კოლაჟი და დამედო პორტალზე ანონიმურად. არის რამდენიმე პოეტური სახე, რომელიც გადადის ლექსიდან ლექსში: მაგალითად, ვილაცამ რაღაცა ჩაიცვა, ჩამაცვი სხეული, ჩამაცვი შენი კივილი და ა. შ. ეს ლექსები იმდენად ტიპობრივად ერთნაირია, რომ თავისუფლად შეიძლება ამოკრიფო ფრაზები და ააწყო კოლაჟი ამ კლიშე-სახეებით. შემძლია ვთქვა, რომ ლიტერატურულ პორტალებზე, ფორუმზე ყალიბდება ვირტუალურ-კოლექტიური ცნობიერების სახე.

რაც შეეხება ნიჭს, განსხვავებული დამოკიდებულება მაქვს. ნიჭი ძალიან მატყუარაა. ერთ ავტორს დავუწერე, რომ ეს მისი დამსახურება არ არის. ნიჭი არის ვალი, რომელიც შენ გასასტუმრებელი და მოსავლელი გაქვს. შენ რომ ნიჭიერი დაიბადე პიროვნული ღირსება კი არა, პიროვნული ვალდებულებაა. ვბრაზდები



ხოლმე ნიჭს რომ არ უვლიან, უმადურობა მგონია, ეს ხომ ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქარია.

**გიორგი კილაძე:** რას ფიქრობთ რელიგიური თემების დაბრუნებაზე ქართულ ლექსში? კიდევ რა თემებს გამოყოფდით...?

**ნინო დარბაისელი:** ყოფითი თემები და სასიყვარულო ნარატივი ფემინურ ლირიკაში. ადრე ქალის სახე იყო რალაცნაირად კდემამოსილი, მარადიულად სატრფოს მომლოდინე. დღეს სახემ მოდიფიცირება განიცადა, ეროტიული პლანებით შეიმოსა. წყვილი როგორც იქნა, ერთმანეთს შეხვდა. მერე ერთმანეთს შორდებიან და ეს ქალი წარსულ რეალიებს შეახსენებს. და მაინც, სიყვარულის თემა არ არის პოეტურად გაშლილი. მამაკაცების პოეზია უფრო თავდაღწეულია ამ ჩაკეტილი წრიდან. ესეც არის, რომ არც სულიერი და არც პიროვნული გამოცდილება ადამიანს არ აძლევს საშუალებას და არც ჯერ კიდევ მოქმედი პურიტანული აღზრდის მუხრუჭები, რომ იყოს უფრო თამამი, გულწრფელი. კოდირებული ენით უნდა, რალაცა თქვას და ამ კოდების გასაღები თავის შეყვარებულსაც კი მის ჯიბეში დარჩა.

არის მეორე უკიდურესობაც, ეროტიკის ნაცვლად კინოკამერისთვის დადგმული სექსუალური სცენების «მითვისება», ნატურალისტურად გადმოცემული სექსი, ოღონდ – სხვისი გამოცდილებიდან, ანუ სექსის ფასადი. კარგი ეროტიკული ნაწარმოები – იშვიათია.

**გიორგი კილაძე:** როგორ ფიქრობთ, დღეს რომ დაიწეროს, მაგალითად, «უფლისციხესთან», «საბა» ანდა ოთარ ჭილაძის «ძველი რექვიემი»... მკითხველი ეყოლება... ახალგაზრდა თაობას ვგულისხმობ...

**ნინო დარბაისელი:** ეს არის 50-60-იანი წლების ლექსები, მას შემდეგ ქართულ პოეტურ ენაში ცვლილებები მოხდა. მე რომ დავიწყო ბარბარე ჯორჯაძის ქართულით საუბარი, ძალიან დაგაინტერესებთ, მაგრამ ორ წუთში თქვენთან კონტაქტს დავკარგავ. დღეს უკვე ამას კომუნიკაბელურობა აქვს დაკარგული. ხანდახან მხატვრული და ისტორიული ღირებულება ერთმანეთში გვერევა. მაგალითად, ავიღოთ უილიამ ბლეიკი. ინგლისური რომანტიზმის განვითარებაზე ბლეიკმა ვერ შეძლო კვალი დაემჩნია. იგი ძალიან გვიან შემოვიდა პოეტურ სააზროვნო სივრცეში. მაგრამ აქვს ძალიან დიდი მხატვრული ღირებულება. ამ დროს არის ნაწარმოები, რომელსაც დიდი მხატვრული ღირებულება არა აქვს, მაგრამ ისტორიულად მასზე დაყრდნობით, მისი ინერციით, მისი გადამუშავებით შეიქმნას დინება. ქვა, რომელიც მშენებლებმა შეიძლება დაიწუნონ, იქნებ ქვაკუთხედი აღმოჩნდეს. ამდენად, ლექსები, რომლებზეც ვლაპარაკობთ, თავის ისტორიულ ღირებულებას ვერასაძროს დაკარგავენ. ესთეტიკური ხარისხი ხან აუმაღლდებათ, ხან დაუმაბლდებათ, იმის მიხედვით, ტექსტი რა კონტექსტში ჩავარდება, რა ტიპის მკითხველი შეიქმნება. შეიძლება ისეთი რალაცეები წამოტივტივდეს, წარმოდგენა რომ არა გვაქვს.

ლექსს, რომელსაც ახლა წავიკითხავ, ერთხელ კრიტიკოსების აზრთან ერთად გამოქვეყნდა. ვკითხულობდი კონსტანტინე კაპანელის თხზულებებს და ასეთ რალაცას წავაწყდი – ჰკითხა ვინმემ ლაზარეს, უნდა თუ არა აღდგინება. ამაზე ნებისმიერ თეოლოგს შეუძლია დასაბუთებული პასუხი გასცეს მას, რომ ეს იყო წინასწარ დეტერმინირებული და ა.შ. ამ კაცმა დასვა კითხვა, იპოვა ნინომ და დაფიქრდა: კი, მეორე სიცოცხლე მოგენიჭა, მაგრამ რახან მეორედ ცოცხალი ხარ, როდესაც ხომ უნდა მოკვდე? გამოდის, რომ მოგენიჭა არა მხოლოდ ორი სიცოცხლე, არამედ ორი სიკვდილიც. ლექსს სახარებისეული ლექსიკა მოვარგე და დავწერე

ლექსი «ლაზარე». თუ ამ ლექსს დააკვირდებით, საინტერესოა სიტყვების თამაში. თვალთ უფრო დაინახავთ, როგორ ბადებს სიტყვა სიტყვას.

ახლა წავიკითხავ ლექსს. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ლექსებიდან ეს ერთადერთია, როემელიც ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილია. ტრადიციული თვალსაზრისით, მაგრამ ყველაზე ნაკლებ მიმზიდველი აღმოჩნდა მკითხველისთვის. ამ ლექსს ჰქვია «დოქი». იდეა ასე დამებადა – პირველად იყო ღმერთი, რომელმაც თიხისაგან გამოძერწა ადამიანი, თიხისგან მზადდება დოქიც. ამავე დროს დავაკვირდი, რომ დოქთან დაკავშირებული კონოტაციები იგივეა, რაც ქალთან დაკავშირებული – ტუჩი, პირი, მუცელი, ყელი და ა.შ. აქედან დამებადა იდეა, რომ დოქი და ქალის პოეტური იდენტობა შემექმნა. ამ ლექსში მოისმენთ ადგილებს «ხო, ხო, ხო... არა, არა, არა... « დასაწყისში ჩავსვი ჩახრუხადის «თამარისადმი ოდა», იმის საჩვენებლად, რომ დედოფალი, თუ მონა ქალი, სიყვარულის წინაშე არის ერთნაირი. ეს არის ერთადერთი ლექსი, რომელიც გაზეთში არ გამომიქვეყნებია, პირდაპირ კრებულში მოხვდა.

ახლა კი დასასრულს, წავიკითხავ ლექსს «დილისპირულებიდან». ლექსი «მაგიური ძილისპირული» აგებულია ქართული, ხალხური მაგიური ტექსტების გამოყენებით, ასევე შიგ არის ბიბლიური ალუზიებიც.

## რუსუდან კაიშაურის «ცოცხის მონოლოგი»

ცუდი არ იქნებოდა, ცოცხს ვგავდე. ოქროსფერია, წელში გამოყვანილი და წერწეტა. არაჩვეულებრივი თვისებებიც აქვს: ასუფთავებს და რაც არ მომწონს, შლის. თუ ამოვატრიალებთ, ყვავილს ჰგავს. ამიტომ ჩემს ხელში ხან ყვავილია, ხან ფუნჯი. წითელ ბაფთას თუ შეაბამ, გიტარაც შეიძლება იყოს და თოჯინაც. და ბოლოს, ცოცხი ჩემი კვარცხლბეკია, „მასზე მდგარი, ვპოეტობ ქალი“...

ამ ბოლო დროს საგნების სიყვარული მომეძალა: მაგ. ჩაიდან, ლობიო, მაგიდა, ჭალი, კედელი, ავტობუსი, იატაკის საწმენდი ჯოხი, მტვერსასრუტი და სხვ. რას შვრებიან ისინი ჩემთან? ცდილობენ, მაქსიმალურად დაიცალონ თავიანთი ემოციებისგან.

რაც შეეხება სივრცეს, სადაც ვპოეტობ ქალი. 50//50-ზეა. ყველაფერი რომ მომწონდეს, ან არ მომწონდეს, მათემატიკაში გადავვარდებოდი და ფორმულების ამოხსნით დავკავდებოდი. ეხლა სრულყოფას ჩემი ოცნებით ვცდილობ, ნაკლს ლექსებით ვავსებ და ჭუჭყიანს – პოეზიის აფიშას ვაფარებ. რაც მომწონს, იმას რაღა აღნიშვნა სჭირდება, კარგად ირეკლება იმაში, რაც დამიწერია.

ერთადერთი, რამაც გული გამიწყალა, დროა. მოდასავით მივსდევ, თუ მგელივით უკან მომდევს შესაჭმელად – ესეც ვერ გამიგია. ამჟამად მისი გაწელოვით ვარ დაკავებული, მაგრამ ეს იმდენად ფუჭი მცდელობაა, რომ მე მგონი, თვითონ მე ვარ გაწელილი, ყველაფერს რომ ვეყო. ამიტომ ძალიან სენსორული ვარ, საკმარისია, ვინმე შემთხვევით შემეხოს, რომ ბგერას გამოვცემ. ეს ვინმე შეიძლება ქარიც იყოს.

სპარსელი პოეტი ქალი ფორუხზადე მიყვარს თავისი ლექსებით და ბედისწერით, ყაყაჩოს კაბაში გამოწყობილი ავსტრიელი ქრისტინე ლავანტი და ემილი დიკენსონიც. ისინი ჩემი სისხლით ნათესავები (ამბობობენ, სისხლი არის საიდუმლო ინფორმაციის შემცველი) და ციციანათელები არიან, ხელისცეცებით რომ არ ვიოცნებო.

მე მოძღვარი და მასწავლებელიც მყავს, ნაირა გელაშვილი. მე მასზე რომელიღაც ყვავილად ვარ ამოსული და ყველა უჯრედით ყურებდაცქვეტილი.

პოეზია არის ის, რაც დრომ ვერ გაატიალა. საპოეზიოდ მოძულებული და უვარგისი რამეც შეიძლება გამოდგეს. აიღებ, შეატრიალ-შემოატრიალებ, გამოსაჩენ ადგილზე „მომგებიანად... დადებ, შეიძლება მოხატო ან შეღებო კიდეც, ზედმეტი ნაწილი კბილით ამოგლიჯო და გამოვა».

არ მომწონს რითმაზე ან ვერლიბზე საუბარი. ყულაბას არ აქვს დიდი დატვირთვა. მთავარია, იქ ოქრო ან ვერცხლი ჩააგდო შენ მიერ მოჭრილი. ყულაბას ეს ოქრო-ვერცხლი (ბრილიანტი თუ იქნება, კიდეც უკეთესი) მიაცემინებს ფორმას.

პოეტისთვის დრო-ჟამს არა აქვს მნიშვნელობა, რადგან პოეტს „დაბადებისთანავე“ უჩნდება თავისი დამცველი გარსი.

„ნიჟარაში შევიკეტე;  
მშვიდობით,  
ჩემო უბრალო ცხოვრებავ,  
მარგალიტობას ვიწყებ...» (ჩემი ლექსია).

ამიტომ მონათმფლობელობა იქნება თუ დემოკრატიის ზენიტი, მისთვის სულ ერთია. მისი ტანჯვისა და ბედნიერების საგანი უცვლელია.

არც მის საზოგადოებრივ, სოციალურ, ოჯახურ მდგომარეობას აქვს მნიშვნელობა. მარტოა, როგორც, საზოგადოდ, ადამიანი.

მარტო ვარ, მარტო \_ მდერის სიჩუმე (პოლ ვალერი).

ამიტომ პოეტი ძალიან, ყველაზე ძალიან ადამიანი თუა, მით უმეტეს, მარტოა.

პოეტს საზოგადოებრიობა, სოციალურობა და ოჯახურობა სახადივით, ბატონებივით სჭირს, ხანგრძლივად აქვს გამოყრილი, აწუხებს და ექავება (სიმღერებს უმღერის, კოჭს უგორებს, რომ მოუოხონ), მაგრამ იცის, რომ წარმავალია და ვერაფერს დააკლებს.

რა არის პოეზია (ლექსი)? \_ „გასხივოსნება და სიზუსტე» (რილკე), მეტი არაფერი.

ვისთვის წერს პოეტი? მხოლოდ თავისწაირებისთვის იმიტომ, რომ ლექსი ეხოტერულია. თვითონაც პოეტს, მაგალითად, შიგნით გვირილა რომ არ ჰქონდეს, გგონიათ, გვირილას დაინახავდა? \_ ვერა. გამოტენილია ადამიანი ყველაფრით, პოეტი, მით უმეტეს, ხოლო რაც აკლია, იმას ვერც ხედავს და ვერც დაინახავს.

ვიქნებოდი თუ არა მწერალი? ჯერჯერობით, ვერა, იმიტომ, რომ მოსწრებაზე ვარ და ლექსი ჩემთვის ზედგამოჭრილია (ლექსი ჩემთვის მისწრებაა. სულზე მომისწროო, რომ იტყვიან ხოლმე).

ამდენად, ძალიან დიდი პატივისცემით შევყურებ (და არა, ვუყურებ) მწერლებს. ისინი დროის დამმარცხებლები არიან, ამ ყველაზე გაქნილი, ძლიერი და მაცდური უსაზღვროებისა.

როდის დავიწყებ პროზის წერას? ჯერჯერობით ხაფანგში ვარ გაბმული (თუმცა ხელ-ფეხსა და ტვინს ვამოძრავებ); ზოგი ამას ოჯახსა და სამსახურს ეძახის და ველოდები განაჩენს იმისგან, ვინც დამატყვევა: ან მომკლავს, ან გამათავისუფლებს.

როგორ ვუყურებ თანამედროვე შემოქმედთ?

ვერ ვუყურებ (ამასაც დრო უნდა) მხოლოდ ვკითხულობ და ვსწავლობ მათგან, რომ არ მოვძველდე. რომ ვთქვი, ვერ ვუყურებ-მეთქი, მართალი არ არის.

შოთა იათაშვილს ვუყურებ ყოველდღე (ერთად ვმუშაობთ და იმიტომ) აი, ის არის პოეზიის განსხეულება. პოეზიის ანატომიის შესწავლისას ცოცხალ ექსპონატად გამოდგება. უნიჭიერესი, უთანამედროვესი, მრავალფეროვანი და გახსნილი პოეტი.

კიდევ ბევრი მწერალი და პოეტი მომწონს. თანაც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულები რომ არიან, ეს არის შესანიშნავი. მაგ. დავით ჩიხლაძე და დავით ქართველიშვილი.

კარგი ნაწარმოები ისაა, რომელიც აგაღელვებს და შორისდებულების პარადად გაქცევს. რაც წონასწორობიდან არ გამოგიყვანს და სტაბილურ მდგომარეობაში დაგტოვებს, ის არაა ნაწარმოები.

ბოდიშს ვიხდი, ბევრი და მძიმე ხარახურა მეყარა თავ-პირზე და მუნჯად ვიყავი. ახლა, რაკი გამომქექეთ, ავლაპარაკდი და მგონი, ნამეტანიც მომივიდა.

რატომ მაინცა და მაინც ცოცხის მონოლოგი>?

ერთი შეხედეთ, მოწესრიგებულია, ხელფეხშეკრული და მაინც ქალად და პოეტად რჩება.

*მაია კილაძე*

## თავისუფალი ვარ

არსებობს რაღაც ფრაზები თუ მოვლენები, ისტორიები, ხმები, ლეგენდისმაგვარი ბიოგრაფიული ცნობები რომელიმე ცნობილი ადამიანის შესახებ, რომელიც სადღაც ქვეცნობიერში გრჩება, გრჩება გრძნობის, ემოციის დონეზე. ასე დამრჩა ერთი ეპიტაფია: «არ ვიმედოვნებ არაფერს. არ მეშინია არაფრის. თავისუფალი ვარ». ეს სიტყვები ერთი ბერძენი მწერლის, ნიკოს კაზანძაკისის (1883-1957) საფლავის ქვაზე წერია და ყოველთვის რაღაც ძალიან რომანტიულად მეჩვენებოდა.

კაზანძაკისი იმდენად საკამათო მწერალია, რომ მასზე დაწერილი ყოველი სტატია თუ უბრალოდ ბიოგრაფიული ცნობებიც კი საოცრად სუბიექტურია. კაზანძაკისის მიმართ ნეიტრალური არავინაა, იგი ან ძალიან უყვართ და აღიარებენ, ან – ვერ იტანენ. მისი მთელი ცხოვრებაც სწორედ ასე იყო მოწყობილი. ერთის მხრივ თუ ნობელის პრემიის ლაურეატი იყო, მეორეს მხრივ, ეკლესია მის განკვეთას მოითხოვდა. ერთ საელჩოში თუ მოხუც მწერალს სკამსაც არ სთავაზობდნენ, მეორე საელჩო იმავე საღამოს მის საპატივცემულო ვახშამს მართავდა. ღრმად მორწმუნე დედის გაზრდილი ნიკოსი სიყმაწვილეში დაინტერესებული იყო წმინდა წერილით, განსაკუთრებით უყვარდა სვინაქსარების კითხვა და ცდილობდა ასკეტებისთვის მიებაძა კიდევ, თუმცა 1907 წელს ათენის მასონურ ლოჯაში ეწერება, 1914 წელს კი ათონის მთაზე მიდის, რათა იპოვოს ღმერთი და იქიდან ბრუნდება იდეით ახალი სარწმუნოების შექმნისა. აი ასეთი უცნაური კაცი იყო კაზანძაკისი.

იგი საკმაოდ პროდუქტიული მწერალია. 1945 წელს კაზანძაკისმა შვედეთის აკადემიას, რომელმაც იგი შემდგომ წარადგინა კიდევ ნობელის პრემიაზე, წარუდგინა სია თავისი ნაშრომებისა: ხუთი სამოგზაურო, 12 დრამატული, სამი ფილოსოფიური, ერთი პოეტური, ოთხი რომანი, ერთი ისტორიული, 12 ნათარგმნი და ბევრი საბავშვო წიგნი და კიდევ იყო რამდენიმე, რომელიც სიაში არ შეუტანია.

თავის შემოქმედებაში ეხება დარვინიზმს, მარქსიზმს, ქრისტიანობას, ბუდიზმს, იდეალიზმს, ათეიზმს. იგი საოცრად განათლებული პიროვნებაა. პროფესიით იურისტი.

ბევრს მოგზაურობდა. მისი შემოქმედება თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: თეატრი. პოეზია, მოგზაურობები, რომანები, თარგმანები, ფილოსოფია. თარგმნა

დანტეს ღვთაებრივი კომედია და კაკრიდისთან ერთად ჰომეროსის ოდისეა და ილიადა, თარგმნიდა ვილიამ ჯეიმსს, ნიცშეს, ეკერმანს, ლეზანტს, მეტერლინკს, დარვინს, ბუხნერს, ბერგსონს, ჟიულ ვერნს, მაინ რიდს. ძველიდან ახალ ბერძნულზე გადმოაქვს პლატონი.

დაინტერესებული იყო ფილოსოფიით. დაცული აქვს დისერტაცია «ფრიდრიხ ნიცშე, ფილოსოფია სამართლისა და საზოგადოების».

მისი პირადი ცხოვრება უცნაურად აეწყო. 1910 წელს დაქორწინდა ლალატეა ალექსიუზე. მალევე ლალატეას შეუყვარდა კაზანძაკისის მეგობარი. წყვილი დასცილდა ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ლალატეა თავადაც მწერალი იყო. იგი ყოველთვის აკრიტიკებდა ქმარს და ალბათ ამიტომაც, მათი თანაცხოვრების პერიოდში კაზანძაკისს შემოქმედებითი პაუზა ჰქონდა, იგი არ წერდა, მხოლოდ თარმნიდა. 41 წლის კაზანძაკისი ხვდება ქალს, რომელიც მის გვერდით არის უკანასკნელ წუთებამდე. მაშინ ელენი 24 წლის იყო. ელენმა საკუთარი ცხოვრება ნიკოსს მიუძღვნა. ელენი მეუღლეს რთული ცხოვრების ყოველ რთულ წუთს უმსუბუქებდა, რომელიც ნიკოსთვის უარყოფდა ყოველივე პირადს. როდესაც გაუჭირდათ, ელენი პარკში აგროვებდა ფინიკებს, ღებავდა, ხვრეტდა, ძაფზე აცვამდა და ტურისტებზე ჰყიდდა. მას არაერთხელ უპოვია გამოსავალი. მეორე მსოფლიო ომის დროსაც იხსნა შიმშილობის დროს. ამიტომაც ჩართო მისი სადიდებელი ჰიმნი კაზანძაკისმა რომანში «ემღვნება გრეკოს».

კაზანძაკისს ყოველთვის უჭირდა ეკონომიურად. როგორც ამბობენ, კაზანძაკისისთვის ნობელის პრემიის აღების მთავარი ინტერესი სწორედ ეკონომიური იყო. 1946-1957 წლამდე, მთელი 11 წლის მანძილზე ვერ გადაწყდა საკითხი, საბოლოოდ მიენიჭებინათ თუ არა კაზანძაკისისთვის ნობელის პრემია. თვით საბერძნეთი იყო წინააღმდეგი. ამ პერიოდის მანძილზე კაზანძაკისისთვის გათვალისწინებული ნობელი ორმა სხვადასხვა მწერალმა აიღო. წინასწარ იყო ცნობილი, რომ ნობელის პრემიას დაჯილდოებაზე კაზანძაკისს გადასცემდნენ. ამას მოწმობდა ზარიც სტოკჰოლმიდან. მაგრამ მიანიჭეს კაზანძაკისის მეგობარს, ხუან რამონ ხიმენესს. 1957 წელს კი მან ფრანკფურტის საავადმყოფოში გაიგო, რომ ნობელით დააჯილდოვეს კამუ და მისწერა მას თბილი მისალოცი ბარათი. ხიმენესი და კამუ, აი ორი ღირსეული მწერალი, რომელთაც დაიმსახურეს ნობელი, – ეუბნებოდა იგი ელენს. ამ ამბის შემდეგ, მალევე გარდაიცვალა (1952 წელს მარჯვენა თვალში შეეჭრება ინფექცია და შემდეგ წელს დაკარგა მხედველობა. ექიმების შეცდომამ კი იგი სიკვდილამდე მიიყვანა).

კაზანძაკისისთვის პრემიის მინიჭება არ მინიჭების საკითხი ზედა ეშელონებში წყდებოდა. კამუმ მიიღო ეს პრემია, როგორც ძველი კაზანძაკისისა. იმასაც ამბობენ, რომ კაზანძაკისს პოლიტიკური ინტერესების გამო არ მიანიჭეს პრემია. მას მიიჩნევდნენ კომუნისტად. კაზანძაკისს მოღვაწეობა რთულ პერიოდში მოუწია. იგი წერდა და ცხოვრობდა მსოფლიო ომებს შორის. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი კი საბერძნეთში გრძელდება შინაომებით და თან სდევს საოცარი რეპრესიები. ფაქტია, რომ ათენის აკადემიამ შეუფერებლად მიიჩნია და თავის წევრობაზე უარი უთხრა მწერალს. მაშინ როცა ნორვეგიამ შესთავაზა საკუთარი მოქალაქეობა. სახელმწიფო პრობლემებს უქმნიდა ხოლმე საზღვარგარეთ მოგზაურობის დროსაც. მას არ უახლებდნენ პასსპორტს, ყველა ქვეყნისთვის სჭირდებოდა ვიზა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კაზანძაკისის შესახებ იმდენს საუბრობენ, რომ უკვე ძნელია, გაარჩიო რა არის მართალი და რა ლეგენდა.

«საბერძნეთისთვის უცხო» – ასე მოიხსენიებს მას ერთი ბერძნული გაზეთი და მართლაც, ის არ მიიღო საკუთარმა სამშობლომ.

როდესაც 1930 წელს გამოქვეყნდა კაზანძაკისის «ასკეზა», მისტიურ-ფილოსოფიური ტრაქტატი, ათენში მოეწყო სასამართლო პროცესი, ავტორს ბრალი ედებოდა ათეიზმის ქადაგებაში. თუმცა საბოლოოდ იგი გაამართლეს. ნაწარმოებში იგი საკუთარ გმირებს (რეალურ პირებს, თავის მეგობრებს) ალაპარაკებს ახალი რელიგიის შესახებ, წარმოადგენს საფუძვლებს, რომლის შექმნის იდეაც მას და სიკელიანოსს დაებადათ ათონზე მოგზაურობისას.

მისი სკანდალური რომანი «უკანასკნელი ცდუნება», რომელიც პაპმა ინდექსში შეიტანა (ანუ ეკლესიამ აკრძალა), 1951 წელს დასრულდა. პირველად შვედურ ენაზე გამოქვეყნდა 1952-ში, სტოკჰოლმში, იმავე წელს ოსლოში გამოიცა ნორვეგიული თარგმანი.

ორიგინალში მხოლოდ 1955 წელს გამოვიდა.

ამ ადამიანის გონებისა და ფანტაზიის საზღვრების უსაზღვროების საილუსტრაციოდ მინდა ჩამოვთვალო მისი რამდენიმე თხზულების სათაური: «ბუდა», «მოსე», «ქრისტე», «მუჰამედი», «ლენინი», «დონ-კიხოტი», «ჩინგის ხანი», «შექსპირი», «პრომეთე», «ქრისტოფორე კოლუმბი» და სხვ. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი უჭირავს ქრისტეს. და მიუხედავად იმისა, რომ იგი ნიჰილისტადაც იყო მიჩნეული, მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მისი შემოქმედება არის გზა ძიებისა, როგორ ამალდეს კაცი ღმერთამდე. ამის საუკეთესო მაგალითი მისთვის ქრისტეა. და კიდევ, მოვიყვან ამონარიდს უცვლელად: «ჭეშმარიტება მის ძიებაში მდგომარეობს, რადგან არ არსებობს მწვერვალი, არამედ მხოლოდ აღმართი და, როგორც თავად აღნიშნავს, ყველაზე მაღალი აღმართი, სადამდეც მოკვდავს ძალუმს ასვლა, გოლგოთაა. კაზანძაკისის ჭეშმარიტება გარკვეულწილად დიონისიოს არეოპაგელის აპოფათიკურ ღვთისმეტყველებას მოგვაგონებს, სადაც ღმერთი ავტორს ყოვლად შეუმეცნებლად ჰყავს წარმოდგენილი, სადაც არეოპაგელი თვლის, რომ ჩვენ ღმერთზე შეგვიძლია ვთქვათ რა არ არის იგი, რადგან ყოველივე არსებულზე მაღლა იმყოფება, «რადგან იგი არს, რომელი იგი არა არს» (ზურა ვაჩივილი, ნეოგრეცისტი).

მე მხოლოდ იმას დავამატებ, რომ მისი რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი «ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება», სკანდალური ფილმია და მისი ჩვენება დიდხანს იკრძალებოდა საბერძნეთში.

კაზანძაკისი იყო სოც იალური უზრუნველყოფის სამინისტროს გენერალური მდივანი და ხელმძღვანელობდა კავკასიელი ბერძნების სამშობლოში დაბრუნებას. ასე აღმოჩნდა საქართველოში. მეგობრობდა ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, გოგლასთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, ნატო ვაჩნაძესთან. ახლოს მეგობრობდა გრიგოლ რობაქიძესთან. კაზანძაკისი იხსენებს, რომ თბილისის სადგურში დამშვიდობებისას ის და გოგლა მიხვდნენ, რომ ერთმანეთის გარეშე ძალიან გაუჭირდებოდათ. გოგლამ მხოლოდ ქართული იცოდა, ნიკოსმა კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისწავლა ქართულად. ლეონიძეს ეკლესიიდან ზეპირად სცოდნია მთელი «ქრისტე აღსდა» და დაქანცულნი იმით, რომ საერთო ენას ვერ პოულობდნენ, ერთმანეთს უცქერდნენ და «ქრისტე აღსდას» გალობას იწყებდნენ.

საქართველოში კაზანძაკისი რამდენჯერმე იყო. იგი ყველაზე მეტად მოიხიბლა ქართველი ქალებით. და მწერალს, რომელსაც მსოფლიო ჰქონდა მოვლილი (გადატანით არ ვამბობთ, უბრალოდ შორს წაგვიყვანს იმ ქვეყნების ჩამოთვლა, სადაც

იგი სხვადასხვა დროს ყოფილა), სიკვდილამდე არ ასვენებდა ერთი ქართველი ქალის სახე. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე წერს: «ათასი წლის შემდეგ, გაუხარელი სიბერის ჟამს, ვხუჭავ თვალებს, კვლავ იზრდებიან არაბული ლერწმები, ეხეთქება შავი ზღვა ჩემს საფეთქელს, მოდის ვარვარა ნიკოლაევნა და დამიჯდება წინ, სკამზე კი არა, – ფეხმორთხული თეთრ კენჭებზე; ვუცქერ, ვუცქერ და ვფიქრობ: ნეტავ სწორად მოვიქეცი და არ ვტაცე ღვთაებრივ წამს თმაში ხელი?» ეს ვარვარა ქართველი ბარბარე ნიკოლოზის ასულია. ამბობენ, რომ კაზანმაკისი არჩევანის წინაშე იდგა და მოვალეობის სასარგებლოდ გრძნობა დათმო...

### ჩემთვის პროზა უფრო კინემატოგრაფს გავს. ვიზუალური ასოციაციაა

**ებლიტვო:** ქალბატონო ნინო, ჩვენი დაუსწრებელი გაცნობა ათ წელზე მეტი ხნის წინ მოხდა, როდესაც პირველად გავეცანი პროფესორ თედო ღუნდუასთან თანაავტორობით გამოცემულ ბროშურას ««ციკლური დიალექტიკა და არქიტექტურის განვითარების ძირითადი ეტაპები». პირადად გაცნობისას გითხარით, ნინო სილაგაძე მოხუცი პროფესორი მეგონა-მეთქი. არც მიზეზი დამიმაღლავს რა თქმა უნდა, მოკლედ წერა ვრცელ თემაზე, გადმოცემის ლოგიკურობა და არავითარი ზედმეტობა... გადის წლები და... გერმანულიდან მთარგმნელი ნინო სილაგაძე გავიცანი...

**ნინო სილაგაძე:** თქვენ წარმოიდგინეთ, მეც ძალიან კარგად მახსოვს ეგ შემთხვევა, ისიც კარგად მახსოვს, რომ როდესაც უკვე პირადად გაგიცანით, გამაოცა იმან, რომ ეს ბროშურა წაკითხული გქონდათ. მასში ხომ საუბარი იყო არქიტექტურის ისეთ შედარებით ნაკლებად პოპულარულ დარგზე, როგორცაა ურბანისტიკა, და მის ისტორიაზე. ყოველ შემთხვევაში, არასპეციალისტებში ნაკლებად პოპულარული თემაა. თუმცა, გამომცემლები საერთოდ დიდი ერუდიტები არიან ხოლმე.

ისე, მე პროფესიით ხელოვნებათმცოდნე გახლავართ და კონკრეტულად კი ადრექრისტიანული ხუროთმოძღვრებით ვარ დაკავებული. თარგმანი კი უფრო ჩემი ბოლოდროინდელი გატაცებაა, თუმცა, არნაირად არ ვთვლი თავს ამ საქმის პროფესიონალად. ამიტომ, ორმაგად მახარებს თქვენი თბილი სიტყვები ჩემს თარგმანთან დაკავშირებით. სიმართლე გითხრათ, კრიტიკას უფრო ველოდი.

**ებლიტვო:** ქალბატონო ნინო, თქვენი ბოლო თარგმანი შვეიცარიელი მწერლის ფრიდრიხ დიურენმატის «მთვარის დაბნელება», ამ მოთხრობისა და ზოგადად თარგმნის შესახებ მოგვიანებით გკითხავთ.

ფრიდრიხ დიურენმატის სახელი პირველად 1976 წელს გავიგონე, მაშინ 10 წლის ვიყავი და ჩემთვის ეს ასაკი ზღაპრებიდან დეტექტივსა და სათავგადასავლო ჟანრის პროზაზე გადასვლის პროცესს უკავშირდება. არ გაგიკვირდეთ და ეს პირველი დეტექტივია, რომელიც წავიკითხე. იმ დროს შერლოკ ჰოლმსი მხოლოდ გაგონილი მქონდა... თქვენ, ზღაპრიდან პროზის რომელ ჟანრში «გადაინაცვლეთ», რა ასაკში და რატომ? აქვე გკითხავთ, როდის გახდა მწერალი ფრიდრიხ დიურენმატი «თქვენი მწერალი»?

**ნინო სილაგაძე:** ცოტა გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, ზღაპრიდან პროზის რომელ ჟანრში «გადაინაცვლე». ისე

შემიძლია, თავმდაბლობის გარეშე ვთქვა, რომ ძალიან სტაჟიანი მკითხველი გახლავართ. და ბავშვობაში საკმაოდ უსისტემოდ ვკითხულობდი ყველაფერს. კარგად მახსოვს, ჯიუტად ვკითხულობდი იმასაც, რაც საერთოდ არ მესმოდა და არ შემეფერებოდა, მაგრამ, რატომღაც მაინც ვკითხულობდი. ამის გამო მოგვიანებით ბევრი მწერლის თავიდან გადაკითხვა დამჭირდა, თუმცა, ეს მხოლოდ სიამოვნებას მანიჭებდა. დღემდე ესე ვარ – ჩემი საყვარელი მწერლები შემიძლია მესაეჯერ გადავიკითხო და მაინც არ მბეზრდება. ბავშვობის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება? ალბათ ასტრიდ ლინდგრენი, მარკ ტვენი, სერვანტესი, კონან დოილი. იცით, ისინი დღემდე ჩემი საყვარელი მწერლების რიცხვში არიან! ამ მხრივ ძალიან კონსერვატიული გემოვნება მაქვს. რაც შეეხება თავად დიურენმატს და მის შემოქმედებას, მას მართლაც გამორჩეული ადგილი უჭირავს ბრწყინვალე გერმანულენოვან ლიტერატურაში. თქვენ ზუსტად ის ტერმინი გამოიყენეთ, რომლითაც მე აღვნიშნავ ჩემთვის ჩემ საყვარელ მწერლებს – «ჩემი მწერალი». დიურენმატი მართლაც «ჩემი მწერალია» იმ დროიდან, როდესაც მრავალი წლის წინ ჩემმა არაჩვეულებრივმა გერმანულის მასწავლებელმა პირველად წამაკითხა მისი მოთხრობა «ავარია». ძალიან კარგად მახსოვს, როგორ თქვა, ეს მწერალი მოგეწონებაო. ხოლო კონკრეტულად იმ მოთხრობაზე, რომელიც მე ვთარგმნე – «მთვარის დაბნელება», შემიძლია ვთქვა, რომ იგი ალბათ დიურენმატის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. თუმცა ვერ დაგეთანხმებით, რომ დიურენმატი «დეტექტივების» ავტორია. საერთოდ პროზის ჟანრებად დაყოფა საკმაოდ პირობითია, დიურენმატს აქვს ნაწარმოებები, რომლებიც ახლოსაა დეტექტივის, ან, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური ტრილერის ჟანრთან, თუმცა, «მთვარის დაბნელება» მიჭირს მათ რიცხვს მივაკუთვნო, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტში რაღაც დანაშაული, მკვლელობა ხდება. ეს, ჩემი აზრით, უფრო ფილოსოფიური პროზაა. და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ხნის წინაა დაწერილი, თანამედროვეობის ძალიან აქტუალურ საკითხებს ეხება, რამაც მომხიბლა სწორედ ამ ნაწარმოებში.

**ებლიტფო:** გავაგრძელებ ფრიდრიხ დიურენმატზე საუბრს, თუ ძალიან არ გადაგლალეთ. რამდენადაც მახსოვს ერთ დროს მხატვრობა უნდოდა, აფორმებდა თავის ნაწარმოებს... ესკიზებს და ჩანახატებს აკეთებდა, გამოფენაც ჰქონდა, მაგრამ თავი მიაწება ყველაფერს და სერიოზულად დაიწყო ფილოსოფიის და რაც მთავარია ლიტერატურის შესწავლა... თქვენ პროფესიით ხელოვნებათმცოდნე ხართ, ესეც ხომ არაა მიზეზი მისით დაინტერესებით? თუ არ ვცდები მისი ნათქვამია ««პიესების წერა ჭადრაკის თამაშს გავსო» რას ჰგავს თარგმანი ზოგადად? რა პრობლემები აქვს დღეს თარგმანს, როგორც მწერლობის სრულყოფილებიან წევრს?

**ნინო სილაგაძე:** თარგმანი, რა თქმა უნდა, მწერლობის სრულყოფილებიანი წევრია, თუმცა მთარგმნელის მწერალთან შედარება არ იქნებოდა სწორი... მთარგმნელის სამუშაო ნაკლებად შემოქმედებითია, ის ახალს არაფერს ქმნის, ფაქტობრივად იგი ლიტერატორებს «ემსახურება» – შლის ენობრივ ბარიერებს და აფართოებს ამა თუ იმ შემოქმედის აუდიტორიას. პრობლემები კი ალბათ იგივეა, რაც ნებისმიერ სხვა დარგში – მეტი კარგი ხარისხის, მაღალი დონის თარგმანი გვინდა, მით უმეტეს ახლა, როდესაც ახალგაზრდობა ნაკლებად ფლობს რუსულ ენას – ანუ იმ ენას, რომელზეც ჩვენი თაობა ძირითადად ეცნობოდა მსოფლიო ლიტერატურას. მე პირადად წიგნების უმეტესობა სწორედ ამ ენაზე მაქვს წაკითხული და ასეა კიდევ უამრავი ადამიანი. დღეს ქართულმა თარგმანებმა უნდა ჩაანაცვლონ რუსული. და ეს სულაც არაა ადვილი. უბრალოდ, მექანიკურად კი არ უნდა ჩაანაცვლონ, არამედ ღირსეულად უნდა ჩაანაცვლონ. ეს, შეიძლება ითქვას, ქართველი მთარგმნელების



ვალა მოზარდი თაობის წინაშე. თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვებმა ისევ დაიჭირონ ხელში წიგნი, ენობრივი ბარიერი უნდა მოვუსპოთ. რა თქმა უნდა, ჩემი ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ უცხო ენების სწავლაზე ხელი უნდა ავიღოთ, იმედია ასე არ გამიგებს არავინ, მაგრამ ყველა უცხო ენა ხომ ვერ გვეცოდინება? არადა კარგი წიგნები უამრავია!

**ებლიტფო:** თქვენ თუ ხატავთ? საინტერესო იქნებოდა... როგორ ფიქრობთ, აქვს თარგმანს რაიმე კავშირი გადახატვასთან? ორიგინალი და ვთქვათ, უზუსტესი ასლი მხატვრობაში და მაინც ასლი; ორიგინალი და უმაღლესი დონის თარგმანი, მაინც «თარგმანი?»... პროზის თარგმანზე გეკითხებით, პოეზიის თარგმან ალბათ უფრო რთულია...

**ნინო სილაგაძე:** არა, ხატვით არ ვხატავ... თუმცა, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ცოტას ვხაზავ, და ისე მხატვრობა ძალიან მიყვარს და ცოტათი ვერკვევი კიდევ. თუმცა თარგმანის და სურათის ასლის შედარება, მართალი გითხრათ, აქამდე აზრად არ მომსვლია. ისე არის ამ შედარებაში რაღაც... თუ თავს არ შეგაწყენთ, ჩემს პირად მოსაზრებებს გაგანდობთ. ჩემთვის პროზა უფრო კინემატოგრაფს გავს. რა თქმა უნდა, ესეც ვიზუალური ასოციაციაა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია ვთარგმნო რამე, თუ «ვხედავ» ნაწარმოებს: პეიზაჟებს, ინტერიერებს, ანტურაჟს, პერსონაჟებს, მათ ჩაცმულობასაც კი. და თუ «მესმის» მათი საუბარი. აი, როდესაც ეს ყველაფერი «მესმის», მაშინ უცებ შეიძლება პერსონაჟი ქართულადაც ალაპარაკდეს. რა თქმა უნდა, თქვენი სიტყვები ასლის შესახებ სრული სიმართლეა. კარგი შედარებაა, ოღონდ მთარგმნელის სამუშაო უფრო მაღლიანია – სურათი ისედაც ყველასთვის გასაგებ ვიზუალურ «ენაზე» «გველაპარაკება», მთარგმნელი კი თავის მშობლიურ ენაზე ამეტყველებს მწერლებს, და ისინი თითქოს უფრო ახლობლები ხდებიან ჩვენთვის.

**ებლიტფო:** სანამ მომდევნო კითხვაზე გადავიდოდე, კრიტიკოს ზაზა შათირიშვილთან ერთი მოსაზრების კომენტარი მინდა გთხოვოთ: ««ფილოლოგი სიტყვის მოყვარულს ნიშნავს... მაგრამ ფილოლოგია მეცნიერებაა. უნდა უყვარდეს თუ არა ფიზიკოსს ჯუჯა ვარსკვლავი, რომელსაც ის შეისწავლის? მე მგონი, ასე საკითხის დასმა არამართებულია. ერთია – მკითხველი, ხოლო მეორე – ფილოლოგი, რომელიც ცდილობს, რომ ტექსტი გაიაზროს, რაღაც კლასიფიკაციები მოძებნოს და ა.შ.» როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ თარგმნოთ ავტორი//ნაწარმოები/, რომელიც თქვენი არაა? თქვენ ინგლისურ და რუსულ ენებსაც შესანიშნავად ფლობთ. თქვენ უცხოენოვანი მწერლები ჩამოთვალეთ, ყველაფერს ორიგინალში კითხულობთ?

**ნინო სილაგაძე:** არა, რა თქმა უნდა, ყველაფერს ორიგინალში ვერ ვკითხულობ, მაგრამ გარკვეულ პროცენტს – კი. რუსული ლიტერატურის გარდა, ორიგინალში მაქვს წაკითხული ძალიან ბევრი გერმანულენოვანი მწერალი და პოეტი, ზოგჯერ – იძულების წესითაც! ეს ჩემი მასწავლებლის დამსახურებაა. ვკითხულობ ინგლისურადაც. რაც შეეხება თქვენს წინა შეკითხვას – როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ თარგმნოთ ავტორი//ნაწარმოები, რომელიც თქვენი არაა? – გადაჭრით შემიძლია გიპასუხოთ: არა, არ შემიძლია. გავიმეორებ: თუ არ «მესმის» და ვერ «ვხედავ» ნაწარმოებს, გამიჭირდება მისთვის ადექვატური ქართული სიტყვების მოძებნა. მაგრამ მე ხომ ფილოლოგი არა ვარ!

ზაზა შათირიშვილის სიტყვებს კი ერთადერთი ასეთი კომენტარი შემიძლია გავუკეთო – მე მგონი, ფიზიკოსებს ხშირად უყვართ ვარსკვლავები, და საერთოდ საქმე მხოლოდ მაშინ გამოდის კარგად, როდესაც სიყვარულით აკეთებ. ამქვეყნად

რაც დიადი და ფასეული გაკეთებულა, სულ თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანების მიერაა გაკეთებული. რაც შეეხება ტექსტების კლასიფიკაციას, რა თქმა უნდა, მეცნიერი ყოველთვის ობიექტური უნდა იყოს. ეს პროფესიონალიზმის პირველი მაჩვენებელია. სხვათა შორის, ხელოვნებათმცოდნეებს პირველ რიგში ამას ასწავლიან – ამოიღე შენი ლექსიკონიდან «მიყვარს», «მომწონს», «ლამაზია» და ა. შ. საქმის სიყვარული ერთია, ობიექტურობა შეფასებებში – მეორე.

**ებლიტფო:** ახლა თქვენს მეგობარ მწერალ ეკა ლაღანიძეზე ვისაუბროთ. ლიტერატურულ კონკურს «საბას» წლევანდელ ნომინანტზე, ქალაქ თბილისის მერიისა და წიგნის მოყვარულთა კავშირის «ბესტსელერისა» და გაეროს ბავშვთა ფონდის კონკურსის პრემიის ლაურეატზე. კიდევ რომელ ქართველ მწერალზე ისაუბრებდი? არ გიფიქრია მათი თარგმნა უცხო ენებზე?

**ნინო სილაგაძე:** ეკა ლაღანიძე მართლაც ჩემი მეგობარი და ძალიან ნიჭიერი და საინტერესო ადამიანია. ეკას გარდა, მომწონს – თეონა დოლენჯაშვილის, ბესო ხვედელიძის, დავით ქართველიშვილის ნაწარმოებები. კარგი იქნებოდა მათი თარგმნა უცხო ენებზე, თუმცა მე ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

**ებლიტფო:** რატომ თარგმნის ნინო სილაგაძე ასე ცოტას, თუ მე არ ვიცი მისი თარგმანები? რომელიმე დიდი მწერლის დიდი რომანის თარგმნას ხომ არ აპირებს? იქნებ ისევ დიურემანტს? მომავალ გეგმებზეც გვესაუბრეთ...

**ნინო სილაგაძე:** ცოტა ხნის წინ დავასრულე მუშაობა დიურენმატის რომანზე «მართლმსაჯულება», რომელიც ალბათ მალე გამოქვეყნდება. ასე ცოტას კი იმიტომ ვთარგმნი, რომ, ისევ ვიმეორებ, ეს ჩემი პირდაპირი პროფესია არაა. ჩემი აზრით, ესეც ბევრია, რაც გავბედე! დროც არ მაქვს საკმარისი. ისე გამოგიტყდებით, მაქვს ერთი ოცნება – ძალიან მინდა გიუნტერ გრასი ვთარგმნო, კონკრეტულად კი მისი «კირჩხიბის ტრაექტორია». ხედავთ, სათაური უკვე ვთარგმნი! ვნახოთ, თუ უწერია ამ ოცნებას განხორციელება.

### ხომ გეუბნებოდი, შარია ჩემთან ინტერვიუ-თქო

**ებლიტფო:** გამარჯობა (ვ) ანუცა...

უცნაური ნიკი გაქვს... თავად თუ ხარ უცნაური?... აი, გემოვნებიანი მკითხველი რომ ხარ ფაქტია... ისე ახლა გამახსენდა – ახალგაზრდა პოეტმა მითხრა ერთხელ: «სადაა ადმინ კარგი მკითხველები... ვინც კარგად კითხულობდა, ყველამ წერა დაიწყოს»... შენ წერა უკვე დაწყებული გაქვს თუ აწი აპირებ?

**(ვ) ანუცა:** გამარჯობა ადმინ.

ჩემს მიერ წერის დაწყება არ გემუქრებათ უახლოესი 10 წელი. /

უცნაური ვარ თუ არა, ეგ შენ უკეთ გეცოდინება.

**ებლიტფო:** ეგეთები არ იყოს (ვ) ანუცა... რომ ვიცოდე გკითხავდი?! «ისე» ათჯერ დავითვალე ათასამდე. თვალის დახვებზე, ვითომ მიძინავს მეთქი, მაგრამ ვის ვატყუებდი – საკუთარ თავს?" «ეს იცი შენ, "ვანო და ნიკოდანაა"... ერთი ეს მითხარი ფრჩხილებში (ვ) მართლა ვანოა? შენ თუ ატყუებ საკუთარ თავს ხშირად... ზღაპრების თუ გჯერა და რომელი ჟანრის მკითხველის სტატუსი გაქვს შენს ასაკში? ესეც მითხარი: კითხვა რით დაიწყე და როგორ ჩამოყალიბდი გემოვნებიან მკითხველად?

**(ვ) ანუცა:** ჰო, ფრჩხილებში მართლა (ვ) ანოა ოღონდ, ჩემი ვანოა ეგ.

ერლომს თავისი ჰყავდა.  
ვხუმრობ, ცხადია.  
ეგ ის (ვ) ანოა ძილის წინ რომ ვერ ვატყუებ ხოლმე.  
ჩემი ლიტ. პორტალური სახელია, მეგობარმა შემარქვა.  
საკუთარ თავს ვატყუებ მაშინ, როცა კომპრომისზე უნდა წავიყვანო რეალობასთან.  
უფრო კი ფაქტებს იმ ინტერპრეტაციას ვამღევი, რაც მაწყობს და ისიც მიჯერებს  
"ძილის წინამდე".  
შევაჩვიე ამ აზრს.  
იმდენად ხშირად, რამდენადაც ჩემი რეალობა სცილდება გარე რეალობას.  
ზღაპრების სიმბოლიკის მჯერა. რომ მათი წარმოშობა აუცილებელი აზროვნების  
აქტი იყო ეთნოსის განვითარებაში.  
მერე, მათი მოდელირების მჯერა კოლექტიურ არაცნობიერში.  
მათზე სტერეოტიპების დაფუძნების მჯერა.  
მათ საფუძველზე კოგნიტური შეცდომების დაშვების..  
გემოვნებიანი მკითხველი ვარო \_ ეს მე ვთქვი? გემოვნება \_ ეგ რომელია?

**ეპლიტფო:** (ვ) ანუცა ფსიქოლოგის პასუხია.. თანაც როგორი ფსიქოლოგის... ამ  
პასუხს ჯერ კარგად გავიაზრებ და მერე მივუბრუნდები... მანამდე ეს მითხარი:  
ბატონი ერლომის ნიკო 7 იყო... შენი ვანო რამდენია.. მხოლოდ ერთი... არ  
დამავიწყდეს... შენს გემოვნებიანობაზე ჩემი აზრი მოგახსენე მხოლოდ... უნდა  
ჩაგეძიო: მართლა ვინ არის გემოვნებიანი მკითხველი?!

(ვ) ანუცა: ჩემი ნიკო ერთია ჩემი მეუღლე (ნამდვილად ნიკო ჰქვია).  
ოოო, ჩემი (ვ) ანო ბევრია:  
(ვ) ანო რომელიც სუსტია,  
(ვ) ანო რომელიც ცნობისმოიყვარეა,  
(ვ) ანო რომელსაც ხან უხილავს და მაინც არ სჯერა და ხან, არ უხილავს და უკვე  
სჯერა,  
(ვ) ანო რომელიც იღლება,  
(ვ) ანო რომელსაც ბეზრდება,  
(ვ) ანო რომელიც მოიწყენს ხოლმე..  
თუმცა ყველა ეს ვანო მხოლოდ ჩემია და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე  
წარმოიშვა.

ხოლო თქვენთვის ბატონებო, მხოლოდ ერთი (ვ)ანოა:  
სამყაროს ფუნქციონალურ ტენდენციებზე მორგებული არსება, უაღრესად  
პრაგმატული აზროვნებით და ცინიკური გამოხედვით.  
დიახ, დიახ, ჩვენ (ვ) ანოებს მოგვწონს საკუთარი ხატის სასურველი,  
რეპრეზენტატული მოწოდება, თქვენი სტანდარტების ფარგლებში (ისევ ვხუმრობ).  
გემოვნებიანი?

ვერ გეტყვი: ცნება დავაზუსტოთ: ვისი კრიტერიუმით გემოვნებიანი, ჩემით თუ  
ზოგადით, და რა არის ეს კრიტერიუმები ჩემთვის, ან თქვენთვის ან, იქნებ მათ  
გადაკვეთაც აქვთ? ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ერთ პასუხში ვერ მოვაქცევ.

**ეპლიტფო:** (ვ) ანუცა, სიმართლე გითხრა, ამ პასუხით ცოტა ამოვისუნთქე...  
ამიტომ «ფსიქოლოგიურ პასუხს» უნდა დავუბრუნდე... \_ რამდენადაც მახსოვს  
«კოგნიტო» ქართულად ცოდნას ნიშნავს... ანტიბიჰევიორიზმია, ესეც მახსოვს...

მენეჯერთა სკოლიდან... ერთი ეს მითხარი: გემოვნება ნიჭია თუ განათლების შედეგი?

**(ვ) ანუცა:** და, სუნთქა რამ შეგიკრათ?

კოგნიცია \_ შემეცნებას უნდა ნიშნავდეს თუ, არ მეშლება.

ანტი-ბიჰევიორიზმი?

იქნებ არსობრივად ასეცაა, ფსიქოლოგიის ისტორიიდან განსაკუთრებით.

თუმცა, რადგან ჩემი აზროვნება "ანტის" ანტია და კატეგორიულობას თავს არიდებს, ვერაფერი ვერაფრის "ანტი" ანუ სრულად უარყოფელი კატეგორია ვერ იქნება \_ ჩემს ცნობიერებაში. თუკი "სიბნელეც სინათლეა ნაკლები ხარისხით"...

კონკრეტულად: შემეცნება მხოლოდ ცოდნის დონეა? შემეცნება კუნთების განწყობასაც ხომ შეიძლება ეხებოდეს, ცურვისას... აი, წარმოიდგინე, როცა ადამიანი წყალზე გაჩერებას პირველად შეძლებს და კუნთების იმ ოპტიმალურ შეკუმშვა-მოდუნების დონეს დააფიქსირებს (შეიმეცნებს), რომელსაც მიაღწია...

გემოვნებაზე \_ ისევ აღმოსავლური ტენდენციით \_ არც მარტო ნიჭი და არც მარტო განათლების შედეგი.. კიდევ ბევრი რამე შიგნით, დელიკატურად მოზომილი პროპორციებით... რაზეც, ალბათ, ზუსტ სტანდარტებს ვერ დავაწესებთ..

იმ ზღაპარში, რომელშიც ვატარებ 28-ე წელს. სადამოობით ვამთავრებ და დილაობით ხელახლა ვიწყებ.

წარსულის ინტერპრეტაცია და ხელახალი რეფლექსი, ჩემთვის ზრდის ტენდენციაა. თუმცა, ამას ყოველთვის გაცნობიერებულად ვერ ვაკეთებ.

ფაქტების ობიექტური არსებობა სოციალურ სამყაროში?

ჩემი ბაბუა "მიიცვალა", მისი მეუღლისთვის, და "მოკვდა" ჩემთვის, როცა მე ძალიან მჭირდებოდა ბაბუა მყოლოდა \_ ეს მხოლოდ მეტაფორა...

**ებლიტფო:** (ვ) ანუცა, რადგან უახლოესი 10 წელი შენი ნაწარმოების წაკითხვა (რა ვიცი, რა ვიცი) არ «გვემუქრება»... მოდი მკითხველ-კრიტიკოს, /მკითხველ-რეცენზენტზე გავისაუბროთ... ერთი წამით... ჯერ ზოგადად კრიტიკას, /რეცენზიას «შევუტიოთ»... რა არის კრიტიკა, რეცენზია? რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან... ვიცი შენ მათში მსგავსებასაც იპოვი...

**(ვ) ანუცა:** ადმინ. ტერმინების განსაზღვრება მომეცი: რას გულისხმობ "კრიტიკოსში" და რას გულისხმობ "რეცენზენტში". აზრობრივ-პროცესუალურ კატეგორიებს თუ სოციალურ სტატუსს (სუბიექტს)?

**ებლიტფო:** მოდი ასე ვთქვათ: ორივეს... ნუ ჩამეძიები, თორემ ინტერვიუს გაგრძელების ნაცვლად \_ ლექსიკონებში "ძრომიალი" მომიწევს...

**(ვ) ანუცა:** აზროვნების პირობით საზღვრებს თუ არ დამიწესებ, ყველაფერს მივედ-მოვედები და სიღრმეში არ წავალ. მერკანტილურ-პრაგმატია (ვ) ანო.

თითოეულის განსაზღვრება მომეცი .

ხომ გეუბნებოდი, შარია ჩემთან ინტერვიუ-თქო.

გაისარჯე ჩემო ადმინ, გაისარჯე.

**ებლიტფო:** ჩათვალე "მერკანტილურ-პრაგმატულ" (ვ) ანუცას ვესაუბრები და ამას დროით შეზღუდულობას "ვაბრალე"...

რა მაგის პასუხია და... როგორ ფიქრობ: რა სჭირდება და რა შეუძლია (ვ) ანუცას? ეს ბალზაკია თუ არ ვცდები... ზოგადად გეკითხები და არა კონკრეტულად...

**(ვ) ანუცა:** როდესაც მსჯელობის პერსპექტივას დავაზუსტებთ, ეგ თემაც მერე რატომ გადავღალლო მორიგი არაფრისმთქმელი პასუხით საზოგადოება კითხვაზე, რომელიც ზუსტად არ მესმის?!

ორი აზრი შეიძლება იყოს, რომ ის მჭირდება, რაც არ შემიძლია და ის შემიძლია, რაც უკვე აღარ მჭირდება?

ეს, ჩემი ერთ ადგილას არგაჩერების ძრავა.

თუმცა, მთელი პრობლემა იმაშია, მათ შორის განსვლა დაწესებულ ზღვარს არ გადავაჭარბო. ის არ დამჭირდეს, რაც ძალიან, ძალიან არ შემიძლია.

არის ასეთი მოდელიც, გამოწვევების შესაძლებლობების ერთი საფეხურით მაღლა დაყენება. გადაჭარბების შემთხვევაში- იძლევა ვერმიღწევის იმედგაცრუებას.

არასაკმარისი "აღმძვრელის" შემთხვევაში \_ მოყირჭება, მობეზრებას.

**ებლიტფო:** (ვ) ანუცა, «**რატომ გადავღალლო მორიგი არაფრისმთქმელი პასუხით საზოგადოება კითხვაზე, რომელიც ზუსტად არ მესმის**» \_ მოდი, გაშავებულ სიტყვებს ზედმეტ თავმდაბლობად ჩაგითვლი... და გავაგრძელებ...

ვის კითხულობს დღეს (ვ) ანუცა...

რატომ მათ და არა სხვას...

რას ეძებს (ვ) ანუცა ლიტერატურაში (განსაკუთრებით პროზაში)?

რამდენად ხშირად პოულობს (ვ) ანუცა იმას, რასაც ეძებს?...

**(ვ) ანუცა:** (ვ) ანუცა დღეს BDD-ს BDD-ს კითხულობს. საქართველოს მთავრობის მიმართულებები 2006-2010.

იმიტომ, რომ... იმიტომ.

პროზაში ვეძებ აზროვნებით სივრცეს, გრძნობითი ენერგიით.

არც ისე ხშირად... სამწუხაროდ.

**ებლიტფო:** როგორ მივიდა (ვ) ანუცა BDD-მდე (ანუ როგორია (ვ) ანუცას გავლილი გზა) და ახლა საით...?

**(ვ) ანუცა:** (ვ) ანუცას პროფესიული გზა გადის BDD-ზე. მის პაციენტებთან ერთად...

(ვ) ანუცას აღიზიანებს ამ სამყაროს სტრუქტურალისტური ბიუროკრატიის ლოგიკა, როდესაც ჩემს პატარა პაციენტებს სახელმწიფოსგან ის არ მიეწოდებათ, რაც საჭიროა...

(ვ) ანუცას გზა გადის სტრუქტურალიზმის მართვაზე.

(ვ) ანუცას სოციალური "მე" უფრო და უფრო უხეშდება, თუმცა, ზუსტად იცის, ეს მას რისთვის სჭირდება.

**ებლიტფო:** (ვ) ანუცა, ერთსაც გკითხავ... ოღონდ ჯერ ხმამაღლა ვიფიქრებ (უკვე ნათქვამს გავიმეორებ)... მე დამღალა ვერლიბრმა... და ფაქტობრივად აღარ ვკითხულობ...

ვის ლექსებს კითხულობ და ვის ლექსებს "ელოდები"?

**(ვ) ანუცა:** არ ვიცი.

ყველას ველი, ვისი ლექსებიც იმ მომენტში მჭირდება.

სხვადასხვა მომენტში, სხვადასხვა საჭიროება.

ჩემი განწყობა შორსაა სტატიკისგან და მუდმივად ცვალებადობს, ისე რომ ხშირად პოსტ-ფაქტუმ ვაფიქსირებ განვლილს..

ამ საღამოს გეთიაშვილს დაველოდები – თავის ბოლო პერიოდით. მე მომწონს რყევა. ჩემს ამპლიტუდაში ზის ახლა.

თუმცა, ხვალ ალბათ სხვა იქნება ისიც და მეც...

**ებლიტფო:** (ვ) ანუცა, გამიხარდა რეზო რომ ახსენე... სიმართლე გითხრა სასთუმალთან ორი პოეტური კრებული მიდევს – «ქორონიკონი -2007» და «ART ყვავილები»... შენ ვისი პოეტური კრებულების გამოცემას ისურვებდი... და რა თანმიმდევრობით?

(ვ) ანუცა: მე ვრჩები უბრალო მკითხველად და სამყაროს ენერგეტიკული ტენდენციებით ველი მათ ვინც გამოიცემიან.

ყველა გამოცემას, კარგსაც და არც ისე კარგს, თავის ინფორმაციული ნაკადი მოაქვს ჩემთან. ამ სფეროში მე "მართული" ვარ, თუმცა, მოცემულობებს შორის მშვენივრად ვირჩევ სასურველს.

და, თუ ვისაც, თურმე ველი, ჯერ არ გამოცემულან, გამოიცემიან მაშინ, როცა უფრო მეტად დაველოდები და დამჭირდება.

ისინი იგრძნობენ ამას და დაწერენ ჩემთვის, დამაწვევენ ან დამახვედრებენ გზად.

**ებლიტფო:** (ვ) ანუცა, მე აუცილებლად გავრისკავდი, გარისკვის ფინალი მრავალწერტილი იქნებოდა... გიო არავიძე, ჰექსე, დიანა ანფიმიადი...

მოდით დავამთავროთ...

არა – შენ...

არა – მე...

არამედ ნიცშემ: «"ძიება და კითხვა იყო მთელი ჩემი სვლა: და ჭეშმარიტად, ჯერ არს პასუხის სწავლაც ამგვარი კითხვებისთვის! ესეა გემოვნება ჩემი – არა კარგი, არა ცუდი, არამედ ჩ ე მ ი გემოვნება, რომლის არა მრცხვენის და არა ვფარავ»."

**გივი ალხაზიშვილი:** ადმინ, რა დაგიშავა ვერლიბრმა? არანაკლები ცუდი ლექსი იწერება კონვენციურად. გამოდის, რომ შენ, ჩემი არ იყოს, ვერ/ალ კითხულობ ცუდ პოეზიას და სრულიად გეთანხმები.

ვერლიბრის ხელალებით დაწუნებამ, ის პოლემიკა გამახსენა, 70-იან წლებში რომ გაიმართა შოთა ნიშნიანიძესა და მამუკა წიკლაურს შორის. მაშინ, მწერალთა კავშირში ზოგიერთებმა სერიოზულად მოითხოვეს ვერლიბრის, როგორც აპოლიტიკური ფორმალისმის აკრძალვა. იქვე გვარებიც ჩამოთვალეს: ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, გივი ალხაზიშვილი, მამუკა წიკლაური, თედო ბექიშვილი, ჯარჯი ფხოველი, გურამ პეტრიაშვილი და სხვა. მერე შოთა ნიშნიანიძემ დაბეჭდა კიდეც ეს ყოველივე ჟურნალ "განთიადში" თავის შეფასებთან-გვარებიანად.

სალექსო ფორმის დაწუნება, სიმართლე რომ გითხრა, მაკვირვებს. თუ ესა თუ ის სალექსო ფორმა ჭურჭელია, რომლებშიც რაიმეს, ჩვენს შემთვხვევაში კი პოეზიას ინახავენ, მოწონება-დაწუნების ობიექტი პოეზია უნდა იყოს და არა თვითონ ჭურჭელი.

ღვინის ნაცვლად თუ ძმარს გთავაზობენ ესაა ცუდი, თორემ "კოკასა შიგან რაცა დგას"... ჰოდა, რა შუაშია კოკა?

ვერლიბრი უადრესად ძნელი დასაწერია. გავრცელებული პრაქტიკა და ინერცია, რომ ვერლიბრში რასაც გინდა და როგორც გინდა ისე დაწერ, და თავისუფალი ხარ ყველაფრისაგან, მათ შორის ნიჭისაგან, სრული გაუგებრობაა. უარყოფილი

კონვენციის სანაცვლოდ აუცილებელია საჭირო კომპენსირება, უპირველეს ყოვლისა რიტმით, რასაც უმრავლესობა არ აქცევს ყურადღებას ჩვენში და კიდევ სხვა უამრავი კომპონენტით, კონოტაციათა ცვალებადობით, მხატვრული ლოგიკის შექმნით, რათა უაზრო ნანგრევები არ შეგვრჩეს ხელთ, როგორც ხდება ხოლმე ხშირად.

**ადმინი:** ბატონო გივი, მე ვთქვი უკანასკნელ ხანებში ფაქტობრივად არ ვკითხულობ ვერლიბრს... რა თქმა უნდა არაფერი დაუშავებია. შემთხვევითია ზუსტად ჩამოვთვალო 'ვერლიბრები, რომლებიც წავიკითხე ბოლო დროს და მომეწონა... თუმცა, რა თქმა უნდა ამას ,აქ არ გავაკეთებ... ყველა "წაკითხვა" სათანადო რეკომენდაციით "მოხდა"... და ვფიქრობ, ცოტა ხანი ასე გაგრძელდება...

რა ვქნა ამ ეტაპზე, მაინც თქვენს, რეზოს, "გიოს", კიდევ გიოს, თანანას, შაკოს, ანასტასიას, ლელას კონვერციულ ლექსებს ველოდები?

მე, ბატონი ტარიელ ჭანტურიასა და გურამ პეტრიაშვილის პოლემიკაც მახსოვს... იქაც საუბრობდნენ ვერლიბრსა და კონვენციურ ლექსებზე...

**გივი ალხაზიშვილი:** ეს საუბრები მეც კარგად მახსოვს...

**ქეთი:** იმის თქმა მინდა, რომ ბოლო დროს თითქოს ხელოვნურად ვბრუნდებით იმ 70-იან წლებში, რაც ითქვა, იმას ვამბობთ, იმას ვამტკიცებთ, ანუ საბოლოოდ ახალს არაფერს არ ვამტკიცებთ...

კიდევ დავაკვირდი, იქნებ სხვებაც ამასვე ფიქრობენ, რომ ბოლო დროს უმეტესობა (ახალგაზრდებისა) შეეცადა კონვენსიური «ლექსის ნიმუშის» შექმნასა და წარმოდგენას \_ და ეს რომ ძალიან ნაჩქარევია ხოლმე და მხოლოდ იმის საჩვენებლად, რომ აი, მეც შემთხვევით \_ ხშირად ეტყობა.

კარგია ეს? ასეთი საუბრები იმას ხომ არ მოგვიტანს, რაც ქართულ საზოგადოებას ახასიათებს \_ მიმბამძველობა, მოდას აყოლება, რადაცის მტკიცება.

ახალგაზრდა თაობა არ დგას მყარად ფეხზე, ზოგი ახლა იწყებს, თიხასავით არის, რა მოიზილება მათგან საკითხავია.. გადაჭრით ლაპარაკი ერთი, ან მეორე მიმდინარეობის ავ-კარგობაზე არ შეიძლება..

და ამაზე უკეთ განა ვიტყვი რამეს?!

«თუ ესა თუ ის სალექსო ფორმა ჭურჭელია, რომლებშიც რაიმეს, ჩვენს შემთხვევაში კი პოეზიას ინახავენ, მოწონება- დაწუნების ობიექტი პოეზია უნდა იყოს და არა თვითონ ჭურჭელი.

ღვინის ნაცვლად თუ ძმარს გთავაზობენ ესაა ცუდი, თორემ "კოკასა შიგან რაცა დგას"... ჰოდა, რა შუაშია კოკა?»

უბრალოდ, მინდოდა, ჩემი დამოკიდებულება გამომეხატა///...

**თამარ ბოლქვაძე:** ჰოდა, რა გითხრა წონასწორობის ყურისგდება, ჩემო ვანუც, როგორიაო ნაკადებს შორის ლივლივი?

(ვ) **ანუცა:** მითხრა, რომ პატარა ელემენტი ვარ სამყაროს წესრიგის და ბევრს თუ "ვიხტუნავებ" ტალღებს შემოვექყლიტები.

და, თუ ტალღას არ დაველოდები, ჩემი დაფა ჩაიძირება.

და, რომ ხანდახან "ზურგზე ცურვით" ცას თუ ავხედავ, უფრო შორს წავალ...

ბოლოს ხომ ყველა იქ მივალთ ჩემო თანანა და "ვიჭყუმპალავებ" მეც...

**თამარ ბოლქვაძე:** და კიდევ, რა არის შენთვის საკმარისი "აღმძვრელი", მობეზრება რომ არ დაგემართოს?

(ვ) **ანუცა:** ოი, ოი.. აი ჭრილობაზე თითის დადება იყო ეს.

ოღონდ "მობეზრება" არ დამემართოს, ოღონდ "მობეზრება" არ დამემართოს...  
კიდევ კარგი ჩემი "რწყილი" სულ თან დამყვება...  
ყოველ მოცემულ მომენტში "აღმძვრელი" ცხადია სხვადასხვა ინტენსივობისაა.  
და, უმეტესი შემთხვევა როცა საზღვრებს არ ვცნობ, ჩემი სამუშაოა,  
თუმცა, ეს ცხადია არ ნიშნავს, რომ საზღვრები არ არსებობს.  
უბრალოდ, მე ჩემს მაქსიმუმს ვაკეთებ...

**ქეთი:** (ვ) ანუცას, პასუხის მიხედვით ვვარაუდობ, რომ მაინც «გვემუქრება»...  
ამიტომ დროზე გკითხავ \_ რატომ არა უახლოეს 10 წელში?

და კიდევ, რა გავლენა აქვს კრიტიკას (მე განსაზღვრებას უბრალო ენით ჩამოვყალიბებ \_ მკითხველების რეაქციას, აზრს, შეფასებას, თუნდაც რეიტინგს (ძირითადად ლიტერატურულ საიტებზე ქვეყნდება ახალგაზრდების ნაწარმოებები) დამწყებ ავტორზე..

და ერთ კითხვას მაინც გავიმეორებ \_ ვის კითხულობს (ვ) ანუცა, როცა დრო აქვს, პროზაიკოსებს ვგულისხმობ..

**(ვ) ანუცა:** საყვარელო ქეთი.

10 წელი იმ შემთხვევაში, რომ "გემუქრებოდეთ".

ანუ, ამ წუთში რომ გადამეწყვიტა რამის დაწერა, 10 წელი მაინც უნდა გავიდეს (ასე მგონია) რომ შევძლო.

ხო, მეორე კითხვა რთულია.

მაგაზე, ძაალიან ბევრი ვიფიქრე.

მორისონმა, შოთა გაგარინმა (ნამდვილი სახელი არც კი ვიცი მგონი) დაწერა ერთ პოსტში \_ მწერლად ჩამოყალიბება, იმასაც ნიშნავს, რომ ბარიერები გადალახოს და, ზოგ შემთხვევაში, მძიმე კრიტიკის ფონზე, წერა არ შეწყვიტოს.

და, თუ მაინც შეწყვიტა. არ ყოფილა მისი მოტივაცია, შინაგანი ძალა, დარწმუნებულობა საკმარისი.

თავი რომ დავანებოთ იმ ამოსავალ წერტილს (ჩემთვის):

1. რომ, რადგან ლიტერატურა მკითხველზე ორიენტირებულია (იდეაში) გამკრიტიკებელს, for granted უარყოფითი განზრახვა არ ამოდრავებს და მისი მოსმენა და გათვალისწინება ღირს;

2. მკითხველის რეაქცია 3 მკითხველის მერე გასაშუალოებულია და, მეტი ვარაუდით, თუ ყველა უარყოფითია, ამას საფუძველი ექნება;

3. და, გავიმეორებ, თუ სულიერად მაგრად დგახარ, ვერც "აგორებულმა" ნეგატივმა უნდა დაგაკლოს რამე.

ყველაზე უარესი, ძვირფასო ქეთი, არაარგუმენტირებული პოზიტიური რეაქცია მგონია მკითხველისგან. ის უბრალოდ გაზრდის საშუალებას აცლის.

აკვიატებით ერთს არ ვკითხულობ.

უმეტესად იმას, ვინც არ წამიკითხავს.

ბოლოს, ნოტომის რადაცეებს ვკითხულობდი. ფრაგმენტულად, გადარბენაზე.

**ქეთი:** (ვ) ანუცა, მაშინ «დაგვემუქრე»... მართლა ინტერესით წავიკითხავდი..

კრიტიკასთან დაკავშირებით მეც მსგავსად ვფიქრობ...

გმადლობ./

**მარი ჩიკვილაძე:** ისეთი ინტერვიუა, როგორც უნდა იყოს (ვ) ანუცა-სი მხოლოდ და მხოლოდ, და არავისი სხვისი.

ისეთი პასუხებია, (ვ) ანუცა-ს გარდა სხვა რომ ვერავინ უპასუხებდა...



და მაინც...

(ვ) ანუცა, როდის გრძნობ რომ ბედნიერი ხარ?

(ვ) ანუცა: ვაი. რა რთული შეკითხვაა...

როდის? ზუსტად არ ვიცი. როცა ვყოფნდები და ყველაფერს გავიაზრებ:

რომ ვარ ცოცხალი (ე.ი. კიდევ მაქვს შანსი).

რომ, მაქვს ენერჯია (ე.ი. რაღაცის გაკეთებას შევძლებ).

რომ, არ მაქვს ენერჯია (ე.ი. დრო დადგა შინაგან ხმას მოვუსმინო და მივენდო).

რომ, მაქვს წარმატება (ე.ი. რაღაც კარგი გავაკეთე).

რომ, არ მაქვს წარმატება (ე.ი. რაღაც კარგს გავაკეთებ).

რომ მაქვს კარგი პერიოდი (ე.ი. ენერჯიით სავსე ვარ და ვანათებ).

რომ მაქვს მძიმე პერიოდი (ე.ი. რაღაც გამოსწორდება).

და ასე დაუსრულებლად...

**თამარ ბოლქვაძე:** (ვ) ანუცა, ეს ნამდვილად ასეა, თუ ავტოტრენინგია?

(ვ) ანუცა: გააჩნია მდგომარეობას.

თუ ცნობიერების სიღრმეში ვარ და სიტუაციის აფექტური ზეგავლენები მოვთოკე. ასეა.

თუ, ზედაპირზე ვტივტივებ და სიღრმეში ჩასვლა მეზარება, მაშინ ბედნიერების განცდაც მყიფეა.

ერთი შეხედვით "ბედნიერების" განცდა თითქმის მეპარება, როცა ვაფიქსირებ რომ მომენტი მმართავს.

ბედნიერების რეალურ განცდაში მე ვმართავ მომენტს და ის დამოუკიდებელია მიმდინარე სიტუაციისგან, ანუ პრობლემებისგან.

**წინო დარბაისელი**

## **ა რ ა მ ე დ რ ა ლ ა ც ს ხ ვ ა**

**(შალვა ზაკურაძის «ქმრების საკითხავის» ინტერპრეტაციის ცდა)**

სამშობლოდან მოშორებული ადამიანისათვის ინტერნეტი დიდი შვებაა. რაწამს დროს მოვიხელთებ, დავუყვები ხოლმე ქართულენოვან საიტებსა და ფორუმებს. უამრავი ახალი ნაწარმოები წავიკითხე, პროზაც, პოეზიაც.

ასეთი მრავალფეროვანი და ინტენსიური თუ იყო ლიტერატურული ცხოვრება საქართველოში, ვერც ვიფიქრებდი. თანაც, ინტერნეტი ხომ ჯერჯერობით მთლიანად ვერ მოიცავს მას, კიდევ რამდენი კარგი ქართველი ავტორია, ჯერ ვირტუალურ სივრცეში რომ არ შეუდგამს ფეხი! მაგრამ, ეტყობა ვიდრე მშობლიური ლიტერატურული გარემოსაგან ჩემსავით დისტანცირებული არ გახდები, არც მეტ-ნაკლებად მთლიანი სურათი ეძლევა თვალთახედვას და არც ნამდვილი ღირებულება ჩანს იმისა, რაც იქ იქმნება.

ამას წინათ პორტალ «ლიტერატურა.გე»-ზე ერთი პოემა ვიპოვე – «ქმრების საკითხავი», პორტალის წესის თანახმად, ახლადგამოჩენილ ნაწარმოებებს ავტორი არ ეთითება. რამდენჯერმე წავიკითხე, მერე რაკი ქალაქში გადმოტანილი ტექსტი მაინც სულ სხვაა, ამოვბეჭდე კიდევ და კიდევ ერთხელ «ფანქრით» წავიკითხე: შედეგი იგივე – როგორც მკითხველი კვლავ მონუსხული ვარ, ხოლო როგორც

ადამიანი-მკვლევარი, რომელსაც არ შეუძლია არ დასვას კითხვა: «რატომ?» პასუხს დავეძებ. იქნებ ამ დროს უმჯობესია, აქ შეჩერდე, შეირგო ესთეტიკური სიამოვნება და არ ემსგავსო იმ მაყურებელს, რომელიც ილუზიონისტის ნამოქმედართ თუმცა გაკვირვებული და ნაამებია, მაინც უტრიალებდე კითხვას: \_ «კი მაგრამ, როგორ?».

ამასობაში ავტორის ვინაობაც გამოვლინდა \_ შალვა ბაკურაძე, როგორც ჩანს, დაახლოებით ჩემი თაობის პოეტი, რომელსაც პირადად არ ვიცნობ, თუმცა, ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ «ებლიტფოზე» მოთავსებული მისი ყველა ნაწარმოები უკვე წაკითხული მაქვს. ჩემი შთაბეჭდილებით, პოემა «ქმრების საკითხავი», მე რომ ამდენი კითხვა აღმიძრა, მათში ცენტრალურ ადგილს იკავებს.

\* \* \*

პირველი კითხვა სათაურიდანვე იწყება.

სიტყვა \_ «საკითხავი» ქართულ ენაში რამდენსამე მნიშვნელობას მოიცავს: ის, რაც წასაკითხია (მაგ., «საკითხავი ძველ ქართულ ლიტერატურაში»); შესაკითხი, ანუ კითხვა (ყოფნა-არყოფნა \_ საკითხავი აი ეს არის); ამას დავეუმატოთ «წყევლა-კრულვიანი საკითხავიც», «ოთარაანთ ქვრივიდან» და თვალნათლივი შეიქნება, რომ პოეტური სამყარო, რომლის კარიც ჩვენთვის ამ სათაურით უნდა გაიღოს, არ გვპირდება იმ სიცხადეს, რაც იო რომ მოითხოვს.

არც ლირიკული გმირი წარმოგვიდგება ცხადი სახით, არ ვიცით მისი სახელი, ან თუნდაც რაიმე ეპითეტი, სახელის ფუნქციას რომ იტვირთებდა პოემაში, არაფერი ვიცით მის გარეგნობაზეც, ლამის ერთადერთი ნიშანი, რომელიც მკითხველის წარმოსახვაში მას კერძო გამოსახულებას მიანიჭებდა, «გაოფლილ შუბლთან გიშრისფერი თმაა», რომელიც ბავშვობაში რომ მუხლი გადაიტყავა, ჭრილობაზე იოდის წასმისას სკოლის ექთანმა ხელისგულით გადააუწია. ყოველივე, რასაც მისი მიწიერი არსებობისა და მოკვდომის (არა-სიკვდილის) შესახებ შევიტყობთ პოემიდან, გარეგნულად ძალზე ფრაგმენტული იქნება და არც ეს ფრაგმენტები გაყვება ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, თუმცა, იმ ადრეული მოგონებით დაიწყება თუ როგორ ხედავენ ბავშვები ფანჯრის დაორთქლილი შუშიდან ახლადგარდაცვლილი ბებიის სულს, ზამთრის თოვლიანი დილით ეზოში ფეხშიშველა მდგარს, როდესაც მისი სხეული შინ, უფროსების თვალწინ ოთახში ასვენია (პირველი სიგნალი იმ უჩვეულო სპირიტუალური მდგომარეობისა თუ////და მხატვრული პირობითობის შესახებ, რომელშიც იმყოფებიან პოემის მთავარი გმირები და რომელში ჩართვა მკითხველსაც მოუწევს).

თუმცა, პოემაში გადმოცემა პირველი პირით ხდება, ავტორი ორ ინსტანციად, სხეულად და სულად (ან ასტრალურ და ეთერულ სხეულებად?) გაყოფილი მთავარი უსახელო პერსონაჟის სახელით მეტყველებს, მისი მონოლოგებისა თუ დიალოგების «ფიქსატორია» (ეს მაშინ, როცა პოეტური, ოკაზიონალური სახელდება, სახელის მინიჭება ადამიანების, საგნებისა და მოვლენებისთვის და ამგვარი მეტონიმიური მეტაფორიზაცია შალვა ბაკურაძის, როგორც ავტორისათვის ნიშნეული მხატვრული ხერხია) შემდგომში მსჯელობა რომ შეძლებისდაგვარად გასაგები გავხადოთ, პერსონაჟი ავტორისაგან განვასხვაოთ, მას «მე» ვუწოდოთ (ამისთვის, როგორც შემდგომ შევეცდები ვაჩვენო, პოემაც გვაძლევს საფუძველს).

მთელი პოემის მანძილზე ავტორი თავად არსად მეტყველებს «მის» ამ ორი ინსტანციისაგან დაშორებულად, დამოუკიდებლად. არც რაიმე შინაგანი ლირიკული კონფლიქტია გადმოცემული ამ მხარეებს შორის, რომ დაპირისპირების ფონზე მეტად

საცნაური ყოფილიყო ავტორის განსხვავებულობა. იგი ინსტანციათა შორის ადგილებს კი იცვლის, მაგრამ არასოდეს უცხოვდება, არ დისტანცირდება მათგან. პოემაში ასახული მდგომარეობა უკვე გარე სივრცეში გადაწყვეტილი, დასრულებული კონფლიქტის – ომის შედეგია, ხოლო უკვე მომხდარი, დასრულებული ტრაგედიიდან გამომდინარე, დრამატული მდგომარეობა სულისა არის ის ბირთვი, რომლის ირგვლივაც თავს იყრის ყოველი სახე, კონცეპტი, მცირე და დიდ ამბავი თუ ეპიზოდი.

პოემის კლასიკურ ფორმას მიჩვეული მკითხველისათვის, რომელიც მოელის ტრადიციულ განვითარებას სიუჟეტისა, აქ ძნელი, თუ არა შეუძლებელი იქნება, მიჰყვეს კონფლიქტის განვითარებაში საფეხურთა თანმიმდევრობას. თანამედროვე პოემას ეს აღარც მოეთხოვება და ამას თავისი ახსნა აქვს. პოემის განვითარებამ კარგა ხნის წინ მიაღწია სრულყოფილების იმ დონეს, როცა, პრაქტიკულად, შესაძლებელია ნაწარმოების სხვადასხვა ასპექტს მიენიჭოს თავისუფლება, რადგან მკითხველის ცნობიერებაში უკვე არსებობს ძირითადი მოდელი, თარგი, რომლის მიხედვითაც ხდება ნარატივის რეკონსტრუირება, რაიმე სახის ნარატივის არსებობა კი იმ მინიმალურ მოთხოვნად დარჩა, რომელიც პოემას განასხვავებს უბრალოდ ვრცელი ლექსისაგან.

ნაწარმოებში დრო-სივრცული და სიტუაციური არე ორი ნარატივის პარალელიზაციით იქმნება. პირველი მათგანი ბიბლიური, ახალი აღთქმისეულია და შესაბამისად მაცხოვრის, როგორც ძის ამბავს ეხება. მეორე, თანამედროვე რეალური ცხოვრებიდან გამომდინარე ამბავია ადამიანის ძისა, რომელმაც ბავშვობა და ყრმობა გაატარა ერთ ქალაქში. ამ ქალაქში მას ჰქონდა სახლი, შემდეგ ეს სახლი ომის გამო დაკარგა, გახდა მეომარი, იბრძოდა «სამშობლოსათვის» და ამ ბრძოლაში მოკვდა, მაგრამ არც მოკვდა. მისი არსება გადავიდა მდგომარეობაში, რომელსაც გრანელის სიტყვებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება ვუწოდოთ არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა – დაუსრულებელი, «საბოლოო სიზმარი».

ავტორი-ფიქსატორი «ძისთვის» მედიუმია, რომლის მეშვეობითაც «ხმას აწვდენს» მკითხველს, აზიარებს სათქმელთან, რომელიც ამ პოემის კონცეპტუალური ხერხემალია: როდესაც ადამიანს ყოფით რეალობაში სხვა ადამიანები ართმევენ სამყაროს შემოქმედისაგან მინიჭებულ უფლებას, იყოს ცოცხალი, იგი მხატვრულ რეალობაში პოეტი-შემოქმედის მიერ მინიჭებული ძალით უფლებამოსილია, იყოს «ცოცხალი მკვდარი» და უწყვეტ დიალოგში ჩაერთოს ყოველივე ამაჟვენიერთან.

მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი  
და ველარასდროს ვისურვო დაბადება

მე უფლება მაქვს ვიყო მკვდარი

და ბნელ ოთახში ძველებურად ჰყვოდნენ ქოთნის იები

ასეთია შალვა ბაკურაძის პოეტური თანატოლოგია, ანუ სიკვდილმეტყველება.

პოემაში სახეობრივი სისტემა ძირითადად ბიბლიურ სახე-კონცეპტთა ტრანსფორმაციით იქმნება. მისი საყრდენი სახე-მეტაფორები, რომელიც თავდაპირველად ცოტა არ იყოს, ბუნდოვან შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე, ახსნადი გახდება, თუ მათ პირველწყაროებს მივაგნებთ.

მივყვეთ ტექსტს თანმიმდევრობით.

ერთ-ერთი პირველი სახე – რუხი ბალახი-ასე ჰქვია მერმევე მოხუცს, კარდაკარ ყველს რომ დაატარებს «ანუ ადამიანი, როგორც ბალახი, პირდაპირ მომდინარეობს ახალი აღთქმიდან და ფსალმუნებშიც დასტურდება. (პეტრე: 1,24, ფს.:103,15)

ამ მოხუცს რძე და ყველი მოაქვს დილდილაობით, რძე კი ისევე, როგორც თეთრი ყვავილები, სითეთრე მარიამ ღვთისმშობელს მიემართება.

მოულოდნელი სიტყვები, რომელიც ცოტა ხანში გახშირდება: «ღმერთი, რომელიც ხედავს ნასვრეტებს ჩვენს ყველივით ქათქათა გულზე «მხოლოდ ღვთისმშობელთან დაკავშირებით იხსნება». სიჩვილე და სითბო «წუთიწუთზე ამოსაყვანი ყველისა» ღვთისმშობლისმიერი გრძნობებია. რძე და მისი პროდუქტებიც ძველი ქრისტიანული წესით სწორედ ღვთისმშობლის შესაწირავად ითვლებოდა.

გარდა ამ პოემისა რძე, რძით კვება, რძისებრი სითეთრე, როგორც დედა მარიამის კონოტაციები შალვა ბაკურაძის სხვა რელიგიურ ქმნილებებშიც ცენტრალურ ადგილს იკავებს.

«წარმოიდგინეთ თქვენი სახლი, როცა მოკვდებით» ამბობს მოხუცი მერძევე. სხეული, როგორც სულის სახლი იმდენად გამჭვირვალე სახეა, ალბათ ამაზე ყურადღების შეჩერებაც არ ეღირებოდა, პოეტი სახლის მხატვრულ სახეს რომ არ უკავშირებდეს დედის საშოსაც, როგორც პირველსახლს, სადაც სამუდამოდ დარჩენა ან დაბრუნებაც შეუძლებელია. აქ ქართველ მკითხველს უთუოდ გაახსენდება ფინალი ბესიკ ხარანაულის «ხეივანი თოჯინისა», სადაც ალექსანდრე ანუ ალე ნატრობს დროს, როცა ისე იჯდა დედის საშოში, «როგორც, მინიატურა ოქროს ჩარჩოში».

მე უფლება მაქვს, ვიყო მკვდარი,  
ვიდრე მომკლავდნენ, ვიდრე აქ ვარ,  
ვითომ ცოცხლად, შენთან ერთად,  
შენს საშოში \_ მიმართავს დედას «მე» ამ პოემის ფინალში.

სახეთა შორის ძირითადია აგრეთვე ქალაქი, სამყაროს ღვთაებრივი წესრიგის, კოსმოსის მიწიერი გამოვლინება. ბიბლიური გამოცდილების მიხედვით, როდესაც კოსმოსს ქაოსი ენაცვლება, ქალაქში ბატონდება ურწმუნობა, ცოდვა, დანაშაული, იგი უნდა განადგურდეს, მოისრას ღვთაებრივი ცეცხლით... ამას შიშობდა პოეტი-წინასწარმეტყველი ესაია, ისრაელზე (10:18,19), შემდგომ იეზიკიელი იერუსალიმზე მეტყველებისას (15:6). ამას, ოღონდ უკვე მომხდარს გლოვობს «პოეტი გვიანმეტყველი» შალვა ბაკურაძე:

«ვისკენ გავახილო ჩემი ქალაქის დათხრილი თვალები».

ამ პოემის მიხედვით კეთილი და ბოროტი ანგელოზნი «ძეს» ქალაქში ზრდიდნენ და ეს ქალაქი (ძნელი არ არის მასში სოხუმის, გნებავთ, გაგრის ამოცნობა, დაზუსტებას აქ არსებითი მნიშვნელობა არც აქვს), იერუსალიმის თანამედროვე ადეკვატი გამსჭვალული იყო ყოველივე იმით, რაც მას გარს ერტყა. იყო შიშისპირა, სიძვისპირა, კვლისპირა, ღვთისპირაც კი და სწორედ ამიტომ განიწირა დასაღუპავად. მის «მეებს» უფროსებმა, როგორც შავ-თეთრი გასაფერადებელი ალბომი «დროშა აჩუქეს», რათა სისხლით შეეღებათ, «სანგრებისკენ ეთრიათ დასაღვრელი სისხლი თავისი საგმირო სხეულებით»:

მე მინახავს მწვანე მოლზე შინდისფერი თბილი ლაქები  
ეს არ იყო ჩვენი დროშის ნაგლეჯები,  
ეს იყო აზნაცები მეგობრების საბოლოო სიზმრებიდან.

და მაინც, სახე-სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი, რომელსაც სხვა ნაწარმოებებშიც უბრუნდება პოეტი არის «მის» მამინაცვალი, გნებავთ მამობილი და მისი ბიბლიური პირველსახე – იოსები, მარიამის – დედა- ღმრთისმშობლის ქმარი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იოსების პიროვნება ქართულ პოეტურ აზროვნებაში შალვა ბაკურაძის ქმნილებებამდე გამოკვეთილი არასოდეს ყოფილა. იქნებ ამის მიზეზი იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ ჩვენი სასულიერო ტრადიციით, თუმცა მაცხოვრის გენეზისი იოსების ხაზით გამოკვეთილი იყო, მისი პიროვნული ღვაწლი მაცხოვრის მიმართ მაინც ჯეროვნად არ ფასდებოდა.

იოსები კი თავად იყო უფლის რჩეული, როგორც მამობილმა, მან იტვირთა ძნელი საქმე – აღეზარდა იესო, რომელიც არ იყო მისი ბიოლოგიური შვილი, ადამიანურად, მისთვის არ უნდა ყოფილიყო ადვილად გადასატანი ფიქრი იმაზე, რომ მისი დანიშნული, მუცლით სხვის ნაყოფს ატარებდა, მაგრამ მას, როგორც რჩეულ მამობილს, უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უზენაესის ნება აუწყა. სახარებიდან, ვიცით, რომ მას სამგზის, ეცნო ამგვარად უფლის ნება, მეორედ – როცა ებრძანა, ეგვიპტეში გაეხიზნა ცოლ-შვილი და მესამედ, როცა უკან, სამშობლოში უნდა დაებრუნებინა იგი. უკანასკნელი ახალი აღქმისეული ცნობა იოსების შესახებ უკავშირდება დროს, როცა იესო უკვე თორმეტი წლისაა. ბიბლიოლოგების აზრით, იგი არ მოსწრებია მაცხოვრის ჯვარცმას, ადრევე გარდაიცვალა. შალვა ბაკურაძის ერთი ლექსი «იოსები» ინტერტექსტურულად «ქმრების საკითხავთან» არის დაკავშირებული, ჩვენი წერილის დასაწყისში აღმრული კითხვაც, ნაწარმოების სათაურის შესახებ, აქ პოულობს პასუხს.

პოეტური სახეთქმნადობის შესახებ ჩვენი მსჯელობა ძალზე ნაკლულოვანი იქნება, საგანგებოდ რომ არ აღვნიშნოთ შალვა ბაკურაძის გამორჩეული, შემოქმედებითი დამოკიდებულება ქართული ენის, როგორც ყოველგვარ გამომსახველობით საშუალებათა წიაღისადმი. ჩემი ფიქრით, ამ მხრივ ის გიორგი ლეონიძის მემკვიდრეა. მომდინარე არა იმდენად პოეტური, რამდენადაც პროზაული ქმნილების «ნატვრის ხისაგან». საყურადღებოდ მეჩვენება, რომ იგი ერთ თავის ნაწარმოებში, სახელწოდებით «თევზაობა», რომელიც ასევე ინტერტექსტულად დაკავშირებულია ამ პოემასთან, ქმნის ოქროს თევზის მაძიებელ პერსონაჟს ელიოზს, რომლის პირველსახესაც სწორედ „ნატვრის ხის» ამავე სახელის მქონე პერსონაჟი წარმოადგენს.

რამდენიმე სიტყვით მინდა პოემის სალექსო ფორმას შევეხო. ლექსი გრაფიკულად წარმოდგენილია, როგორც თავისუფალი. ცალკეული გრაფიკული ბლოკები არ წარმოადგენენ სტროფებს, ტრადიციული გაგებით. ამიტომ უმჯობესია, მათ ლექსმცოდნეობაში მიღებული ტერმინი-სტროფოიდი ვუწოდოთ. სტროფოიდები ძირითადად ე.წ. «ნამდვილი» ვერლიბრის ნიმუშია. სადაც ძნელია აღმოაჩინო რაიმე კონვენციური საზომის კვალი. გამონაკლისის სახით არის ორიოდ სტროფოიდი, რომელიც ვერლიბრის გარდამავალ სახეობას მიეკუთვნება, რადგან მისი რიტმი იქმნება თავისუფალ ლექსში კონვენციური ჩანართების (ძირითადად ე.წ. თოთხმეტმარცვლედებისა და ათმარცვლედების) მონაწილეობით, მაგალითად ასე:

სწორედ ამიტომ ვიმეორებ: სიცოცხლე ჩემი საუკეთესო თვისებაა  
და ვიწყებ ისევ შენი შვილიდან.

ის ღმერთი როა, აშკარაა და მოდის რათა გადაღლილი და  
დამძიმებული, დაკოჭრილი ხელისგულები შემოვავლო  
სიყვარულს, როგორც ანთებულ სანთელს.

ის ბავშვია და უფროსებმა, როგორც ბავშვური საიდუმლო  
სიცოცხლე ანდეს  
და სიზმრად როცა შენს მუცელზე ყურმიდებული  
ვისმენ მის ყოფნას, ვრწმუნდები რომ ადამიანთა  
ყველა ღიმილი და ყველა ცრემლი  
ამ ცეროდენა მფეთქავ გულში გაერთიანდა.  
რომ შენ იცოცხლებ უსიკვდილოდ, მე კი მომკლავენ.

ლექსში არის ერთადერთი, გრაფიკულად გამიჯნული ათმარცვლიანი სტროფი,  
სპონტანურად გართიმული:

ყველა მოკვდებით ადრე თუ გვიან  
და ვერ მიხვდებით საითკენ მიდის  
ეს გზა, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია  
და ეს სიკვდილი, რომელსაც ჭყინტი  
ყველის ყიდვისას დუმილით გამცნობს  
მერმევე კარის ზარზე რომ რეკავს,  
ის ყიდის კარაქს ყველსა და მაწონს  
და ნაცვლად წარსულს ყიდულობს შენგან.

ეს პოემა კარგ ნიმუშად გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ სალექსო  
რიტმისაგან განთავისუფლება როგორ იწვევს მეორადი მარიტმიზებული  
ელემენტების გააქტიურებას ლექსში. სინტაქსურ-ინტონაციური, სახეობრივი  
პარალელიზმების სიუხვე, განმეორებანი სხვადასხვა დონეზე, ბიბლიის, კერძოდ  
მისი ყველაზე პოეტური ნაწილის, «ქებათა ქების» სინტაქსური კონსტრუქციების  
გამოყენება ერთობლივად ქმნიან გამორჩეულ რიტმულ-ინტონაციურ სურათს...  
თვალსაჩინოებისთვის დავაკვირდეთ ერთ მცირე მაგალითს:

მისი თვალები მინდვრის ცისფერი ყვავილებია  
ჩემს სასკოლო ჰერბარიუმში.  
მისი ტუჩები კარადაზე ჩამომხრჩვალ ვაშლის ჩირია  
და მაყვლის ბუჩქთან აბუზული ბელურებია მისი სიტყვები

ვგონებ, ძნელი არ არის აქ მკითხველისათვის ერთდროულად «ქება-ქებათაის»  
სახეობრივი ოპოზიტისა და რიტმული ანალოგის დანახვა:

11. თავი მისი \_ ოქროსა ოფაზისაჲ, თხზული თმათა მისთაჲ, ვითარცა ჭედილი,  
შავ, ვითარცა ყორანი;
12. თუაღნი მისნი, ვითარცა ტრედისანი, სავსებასა ზედა წყალთასა განბანილნი  
სძითა, მჯდომარე სავსებასა ზედა წყალთასა;
13. დაწუნი მისნი, ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთანი, ფშვან სულნელებასა  
ნელსაცხებელთ მგბოლველთასა, ბაგენი მისნი \_ შრომან და მომწოთოლვარე მურითა  
სავსედ.

დასასრულ, მინდა ეს მცირე წერილი «ქმრების საკითხავის» მხოლოდ ცალკეული  
ასპექტების სუბიექტური ინტერპრეტირების მოკრძალებულ ცდად ჩამეთვალოს.

დარწმუნებული ვარ, მკითხველი, რომელი მოიწადინებს მისი და ზოგადად, შალვა ბაკურაძის მთელი შემოქმედების უფრო სიღრმისეულ წვდომას, აღმოაჩენს დაცილებით მრავალფეროვანსა და ვრცელ პოეტურ სამყაროს. რადგან მჯერა, რომ ტექსტის სიცოცხლის საიდუმლო, მართლაც, შესაძლო ინტერპრეტაციათა დაუსრულებლობაში ძევს.

## ანა გრიგი

### მე თქვენ მიყვარდით...

რისთვის ვცხოვრობთ? \_ ბევრს ვფიქრობთ ამაზე \_ ზოგიერთები მაინც, თუ ყველა არა \_ და, ალბათ, ერთადერთი სწორი პასუხია \_ სიყვარულისთვის, რადგან სხვა ყველაფერი \_ როგორც ჩანს \_ ამ გრძნობას ეფუძნება და ამ გრძნობიდან გამომდინარე იძენს არსებობის აზრსა და სურვილს. ასეთია პირადად ჩემი აზრი, თუმცაღა მე ხომ პოეტი ვარ და შესაძლებელია \_ ვინმემ «ზედმეტ» რომანტიულობად და იდეალიზმად ჩამითვალოს აზროვნების ამგვარი სტილი.

დღეს, 6 ივნისს, ალექსანდრე პუშკინის დაბადების დღეა. პუშკინი იყო რუსი პოეტი, რუსული ლიტერატურული ენის რეფორმატორი, იგი ცხოვრების აზრს სიყვარულისა და უსამართლობის მიმართ პროტესტის გამოხატვაში ხედავდა და მრავალფეროვანი ლიტერატურულ-პუბლიცისტური საქმიანობით დაკავებული ადამიანი გახლდათ: ძალიან ნიჭიერი და დინამიური, ემოციური და ამავე დროს თავისი ემოციის სკულპტორივით დამმუშავებელი. იგი მის სიცოცხლეშივე აღიარეს გენიალურ შემოქმედად და ამავდროულად მას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა მეფისა და საზოგადოების მხრიდან.

პუშკინის მრავალმხრივმა განათლებამ, რომლის მიღებაც მან ადრეული ასაკიდან დაიწყო, მისი გონებრივი შესაძლებლობების სრულ რეალიზაციას შეუწყო ხელი და ჩამოაყალიბა იმ პიროვნებად, ვინც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ახალი ერა შექმნა რუსულ ლიტერატურაში და კლასიციზმის სიმკაცრე და დოგმატურობა \_ ჯერ რომანტიზმის ბუნებრივ ემოციურობად გარდაქმნა, ხოლო შემდეგ \_ რეალიზმისაკენ წაიყვანა. ენობრივი თვალსაზრისით მან საგრძნობლად შეამსუბუქა მძიმე კლასიციზტური ფორმა.

ალექსანდრე პუშკინი დაიბადა მოსკოვში 1799 წლის 6 ივნისს. პოეზიის ნიჭი ჯერ კიდევ ლიცეუმში (Царскосельский лицей) სწავლის დროს გამოამჟღავნა (1811-1817). ისეთმა დიდმა რუსმა პოეტებმა \_ როგორებიც იყვნენ დერჟავინი, ბატიუშკოვი და ჟუკოვსკი \_ პუშკინი თავიდანვე შეამჩნიეს და უყურადღებოდ არ დატოვეს მისი ლექსები, რომლებშიც იმ დროის ისტორიული მოვლენები და სულისკვეთება აისახებოდა, კერძოდ კი \_ 1812 წლის სამამულო ომი (ნაპოლეონთან).

1817-1820 წლებში (ლიცეუმის დამთავრების შემდეგ) პუშკინი ცხოვრობდა პეტერბურგში. იქ იგი დეკაბრისტების წრეში მოხვდა და გაიზიარა მათი მრწამსი და შეხედულებები. მის პოეზიაში გაჩნდა მეფის თვითმართველობის და ზოგადად დიქტატურის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური ხაზი, რამაც მას მოუტანა პირველი გადასახლება \_ რუსეთის სამხრეთით, შემდეგ კი \_ დაბა მიხაილოვსკოეში (1824-1826), სადაც პუშკინი ახლოს ეზიარა წმინდა ხალხურ შემოქმედებას, რაც მის მრავალფეროვან შემოქმედებაში აისახა. მისი პირველი დიდი მოცულობის

ნაწარმოებია – პოემა «Руслан и Людмила» (1820), რომელშიც პოეტმა მოახერხა რუსული ლიტერატურული ენის სრული შერწყმა ცოცხალ ხალხურ დიალექტთან, ამავდროულად პოემაში გამოჩნდა პუშკინის მიერ კლასიციზმის პრინციპებისა და ძველი ავტორების კარგად ცოდნა.

პოემამ «Кавказский пленник» (1821) მას უკვე რუსული რომანტიზმის ფუძემდებლისა და ჩრდილოელი ბაირონის წოდება მოუტანა. მისი გადასახლების დროს დაწერილი პოემებიც ამის დასტურად იქცა – «Братья-разбойники» (1821-1822), «Бахчисарайский фонтан» (1822-1823), «Цыгане» (1824).

პუშკინის «რომანი ლექსად» – «Евгений Онегин»(1823-1830), რომელზეც ავტორი დაახლოებით რვა წელი მუშაობდა, უკვე რეალისტური ნაწარმოებია, სადაც რომანტიზმისთვის დამახასიათებელი პერსონაჟის კონცენტრაცია საკუთარ თავსა და განცდებზე შეფასებულია – როგორც უშედეგო და არაფრის მომტანი. ამავდროულად «Евгений Онегин»-ში ობიექტურად არის აღწერილი იმდროინდელი რუსული საზოგადოება და მისი მდგომარეობა.

პუშკინის ლიტერატურულ ბიოგრაფიაში აღსანიშნავია 1830 წლის შემოდგომა, რომელიც მან დაბა ბოლდინოში გაატარა და რომელსაც – «Болдинская осень»-ს უწოდებენ, რადგან ეს პერიოდი პოეტის შემოქმედებაში მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა: მან სხვადასხვა ფორმისა და ჟანრის უამრავი არაჩვეულებრივი ნაწარმოები შექმნა.

თავისი ცხოვრების ბოლო რამდენიმე წელი პუშკინი ბევრს მუშაობდა პროზაზე («Повести покойного Ивана Петровича Белкина»(1830), «Пиковая дама»(1833), «Капитанская дочка»(1836)). მან რუსულ რეალისტურ პროზას დაუდო საფუძველი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მთელი მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურისათვის.

პუშკინის შემოქმედება ძალიან დიდია და მას არ აკლია არც პიესა, არც ლექსი და არც პროზაული ნაწარმოები. მიუხედავად მისი საკმაოდ ხანმოკლე სიცოცხლისა (37 წლის გარდაიცვალა), მან ძირფესვიანად შეცვალა რუსული ლიტერატურა და მისი შემდგომი განვითარების საწინდარი გახდა. პუშკინის მრწამსი მდგომარეობდა იმაში, რომ ლიტერატურამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს რეალურ ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ცალკეული ადამიანებისა თუ ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში.

ნებისმიერი თანამედროვე პოეტი, რომელიც რუსულად წერს, ჩემი აზრით, პუშკინით იწყება, რადგან ალექსანდრე პუშკინის შემოქმედება – კლასიკური სკოლაა, რომელიც საჭიროა გაიარო იმისათვის, რომ შენი გზა იპოვო და საკუთარი ხმა აღმოაჩინო, თუნდაც შემდგომ მოდერნისტი გახდე.

შარშან, 6 ივნისს, პუშკინისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა საჯარო ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსში, ეს იყო ჩემი მოკრძალებული მცდელობა რაღაცით პატივი გვეცა დიდი შემოქმედისათვის, რომელიც პირველ რიგში ძლიერი და ამავდროს მეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო.

*შოთა დიღმელაშვილი (შოთა გაგარინი)*

კონცეპტუალური – პოეზია?



მოდით თავიდანვე გავხსნი კარტებს. არ არსებობს არანაირი «კონცეპტუალური პოეზია». ეს სრული აბსურდია. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე პოეზიისთვის (საუბარი მაქვს ავანტ-გარდისტულ ტენდენციებზე, რომელიც სინამდვილეში არც თუ ისე ახალია) სულ უფრო ძნელი ხდება რაიმე კონკრეტული ჟანრის მისადაგება პოეტური (მაგრამ მაინც არაპოეტური კლასიკური გაგებით) ტექსტისთვის. მეტსაც გეტყვით. დღეს ლექსს მეტი საერთო აქვს თუნდაც მხატვრობასთან, ვიდრე სხვა ტექსტუალურ, იგივე პროზაულ ნაწარმოებებთან. მაგალითისთვის, მხატვრობამაც ისწავლა პერფორმანსების ენა და პოეზიამაც... ზღვარი ხელოვნების მიმდინარეობებს შორის ისე გაფერმკრთალებულია, რომ სადაცაა საერთოდ გაქრება. 1950 წლამდე პოეზიის «კონცეპტუალიზების» შესაძლებლობა ტექნიკურად არ არსებობდა. არ არსებობდა განაყოფიერებული კულტურული ნიადაგი, საიდანაც ასეთი ცნება აღმოცენდებოდა და რომც მომხდარიყო სასწაული, მას ისევე მოაშთობდნენ, როგორც არასრულფასოვან ბავშვებს სპარტაში. ხოლო მას აქეთ, პრაქტიკულად შეუძლებელია ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე შექმნილიყო (ან შეიქმნას) აბსოლუტურად აუთენტური ჟანრი სახელად «კონცეპტუალური პოეზია», რომელიც მხოლოდ საკუთარ თავთან გაიგივდება. და თუ იგი ზოგადი განსაზღვრება იქნება, ერთგვარი სიმრავლე უამრავი ქვესიმრავლის – რაში გვჭირდება? (განსაზღვრება კი ისეთი ზოგადია რომ მთელს ხელოვნებას და მის მიღმა არსებულ სივრცეებსაც მოიცავს, მაგალითად მათემატიკას). ჩვენ უკვე გვაქვს სიტყვა შესაბამისი სემიოტიკური მახასიათებლით. ის ასე ჟღერს – ხელოვნება. წინააღმდეგი არ ვარ ეს სიტყვა შეიცვალოს კონცეპტუალური პოეზიით, მაგრამ ამით ხომ არაფერი იცვლება ასოების გარდა? მაშ რაზე ვსაუბრობთ? თუმცა შეგვიძლია ვისაუბროთ. შეგვიძლია ვისაუბროთ თუნდაც იმიტომ, რომ მე ასეთი სიტყვათშეთანხმება ხშირად მსმენია და მის მთქმელებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს იცოდნენ რაზე საუბრობდნენ. ჩვენ კი ამ ეტაპზე შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ერთგვარ სიმბიოზზე კონცეპტუალიზმისა და თანამედროვე პოეზიისა. იქნებ სტატიის დასასრულს გავარკვიოთ კიდევ მაინც რა არის კონცეპტუალური პოეზია? არა კონცეპტუალური მწერლობა, არა კონცეპტუალური არტი, არამედ პირდაპირ – კონცეპტუალური პოეზია.

ბოდიშს გიხდით, რომ თავიდან თქვენი დატვირთვა მომიწევს რაღაც მშრალი ენციკლოპედიური მასალებით, მაგრამ ეს სტატია მე ასე წარმომიდგენია. მინდა დავდო ჩემთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია კონცეპტუალიზმის შესახებ, თანამედროვე პოეზიის შესახებ და ბოლოს ერთად შევაჯამოთ ყველაფერი და დავასკვნათ არსებობს თუ არა რაიმე, სახელად «კონცეპტუალური პოეზია». და თუ არ არსებობს – რატომ არ არსებობს? ხომ არსებობენ კონცეპტუალისტი არტისტები? მწერლები, პოეტები. რამ გამოიწვია ასეთი უცნაურობა, რომ არსებობენ კონცეპტუალისტი პოეტები და არ არსებობს კონცეპტუალური პოეზია? ბოლოს და ბოლოს რა დავუძახოთ ამ ხალხის შექმნილ პროდუქციას ამ კონსუმერული სამყაროს ზენიტში? რას ყიდნიან ისინი?

### **შორს აღარ წავალ და პირდაპირ კონცეპტუალიზმით დავიწყებ.**

ფილოსოფიური განმარტებით კონცეპტუალიზმი არის დოქტრინა, შუალედური როლის შემსრულებელი ნომინალიზმისა და რეალიზმის შორის. უკეთესად რომ განვმარტოთ, დოქტრინა, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი არსებობს მხოლოდ გონებაში და არ აქვს არავითარი გარეგანი ან ნივთიერი რეალობა. კონცეპტუალიზმი

იყო შემკვრელი ისეთი მოაზროვნეებისა, როგორებიც იყვნენ დეკარტი ან ლეიბნიცი – ხშირად საკმაოდ გამარტივებული ფორმებით საგულდაგულოდ შემუშავებულ სქოლასტიკურ თეორიებთან შედარებით.

კონცეპტუალური ხელოვნება არის ხელოვნება, რომელშიც მთავარი დატვირთვა მოდის იდეაზე (იგივე კონცეპტზე, ცნებაზე) და არა ტრადიციულ ესთეტიკურ და სხვა მატერიალურ კავშირებზე. კონცეპტუალისტ არტისტ სოლ ლევიტის ნაშრომები შეიძლება ააწყოს ნებისმიერმა ადამიანმა, თუკი ის მიყვება რიგ ჩამოყალიბებულ ინსტრუქციებს. ეს იყო ფუნდამენტალური მეთოდი კონცეპტუალური ხელოვნების ლევიტისეულ დახასიათებაში: «კონცეპტუალურ ხელოვნებაში მუშაობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია იდეა და ცნება. როცა არტისტი იყენებს ხელოვნების კონცეპტუალურ ფორმას, ეს ნიშნავს, რომ ყველანაირი გადაწყვეტილება გეგმიურია და მიიღება წინასწარ, ხოლო თავად შესრულება უკვე ზედაპირული, არცთუ ისე მნიშვნელოვანი საქმეა. თვით იდეა იქცევა მანქანად, რომელიც აკეთებს ხელოვნებას».

ჩვეულებრივი «საერო» პირისთვის, ეს ციტატა წინა პლანზე წამოიწევს და თვალნათლივ აჩვენებს მთავარ განსხვავებას კონცეპტუალისტურ ინსტალაციასა და ტრადიციულ ხელოვნების ნიმუშს შორის – კონცეპტუალისტი მხატვრის შრომა არ არის ერთგვარი ფიზიკური ხელოსნობა, მაშინ როცა ტრადიციული ხელოვნებისთვის აუცილებელია ფიზიკური ოსტატობის საშუალებით გაკეთებული ესთეტიური არჩევანი. როგორც თქვა ტონი გოდფრეიმ, კონცეპტუალური ხელოვნება არის ხელოვნება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავად ბუნებას იმისა, რაც მიჩნეულია ხელოვნებად.

ახლა ცოტათი უკან, ფესვებისკენ დავბრუნდეთ და გადავავლოთ თვალი რა ლოგიკური მიზეზების ერთობა იყო წინაპირობა, გნებავთ პირველი პიონერული ნაბიჯი ხელოვნების აღქმის ასეთი რადიკალური ცვლილების.

მეოცე საუკუნეში ხელოვნებასთან დაკავშირებული უამრავი ახალი, უჩვეულო იდეა გაჩნდა. მხოფლიო კეთილდღეობის ილუზიის მსხვრევის შედეგად ბევრმა მხატვარმა უარი თქვა წარსულის ტრადიციებსა და ფასეულობებზე. სანაცვლოდ, ისინი უჩვეულო მასალებისა და სახეების გამოყენებით ფანტასტიკურ, ექსცენტრიკულ და ზოგჯერ გამაოგნებელ ნამუშევრებს ქმნიდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს მხატვართა ერთმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა მოძრაობა, რომელსაც დადა ეწოდა. აქვე არ შემოდის არ მოვიყვანო გრიგოლ ცეცხლადის პირველი ქართული დადა-მანიფესტი და არ აღვნიშნო ის ეპოქის ადეკვატურობა, რაც მაშინდელ ქართულ არტში იყო მსოფლიოსთან მიმართებაში.

## დადა

პირველად მსოფლიო იყო მელოტი  
შემდეგ მელოდია, მელოტი მრგვალია,  
როგორც კვახი.

კვახი გადაგორდა და გასკდა.

დაიბადა

დადა

დადა ყოველდღე იცქირება სარკეში, მაგრამ ჯერ

კიდევ არ იცის თავისი სახე, რადგან ვერ ახერხებს დაიჭიროს ბუნებრივი პოზა.

ყველაფრის გაზომვა შეიძლება, მაგრამ არ

შეიძლება გაიზომოს დადა.

დადა სუბიექტური ცხოველია, რომელიც  
ვერ ეტევა ობიექტურ საზღვრებში.  
დადა გაუსწორებელია, როგორც ძაღლის კუდი.  
როცა სიმბოლისტების მთვარეს გაახალგაზრდავების  
მიზნით უნდა გეას საშოში დაბრუნდეს  
და ხანში შესულმა ფუტურიზმა გამელოტებული  
თავი უკვე შეჰყო ქუდში.  
დადა იძახის:  
"გათავდა აგონია  
მაღე ყველას შეეძლება ლექსების გამოგონება!  
დადა უფასოდ დაარიგებს ზემთაგონებას...  
მოაყენეთ ვაგონები!".  
დადა შეგნებულად იცინის და აფურთხებს  
მიზანშეწონილად ზევიდან  
ქვევით, პერპენდიკულარულად და სწორხაზოვნად.

ციურიხიდან თბილისამდე ჩამოღწევას დადა სულ რაღაც სამი წელი მოუნდა. მერე იხუვლა და შვა ილია ზდანევიჩი, თავისი ჯგუფით 41 გრადუსი. ილია ზდანევიჩმა კი თავის მხრივ «ზაუმი» და «ზაუმური პოეზია» შვა. პარიზელ ხელოვნებათმცოდნეებს თბილისი დღემდე «ზაუმის ქალაქად» მიაჩნიათ. 1924 წლიდან იყო ასევე არტ-ჯგუფი «H2SO4», რომლებშიც ერთიანდებოდნენ ისეთი კულტურული ფიგურები, როგორცაა – ნიკოლოზ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, ბენო გორდეზიანი, პავლო ნოზაძე, ჟანგო გოგობერიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნოკოლოზ შენგელაია... ეკ. ეს იყო მანამ, სანამ ეროვნული მესიანიზმით შეპყრობილი ვიღაც აბსოლუტური პროფანები და წითელსაყელოიანი ინტელიგენცია (თქვენ წარმოიდგინეთ ეს ორი ვითომ სრულიად განსხვავებული სეგმენტი ერთი მიზნის გარშემო) სრულიად სხვა დატვირთვას მისცემდნენ ქართულ ხელოვნებას და გადაისროდნენ რამოდენიმე ასწლეულით უკან «ახალი რუსთაველის» მოლოდინში. სჯობს ისევ თემას დავუბრუნდე. დადაიზმზე ვსაუბრობდი. თავად სახელი დადა, რომელიც ფრანგულად სათამაშო ცხენს ნიშნავს, რაიმე კონკრეტულ აზრს არ ატარებდა, ის განზრახ შემთხვევით იყო აღებული ლექსიკონიდან. დადაისტები უფრო შემთხვევითობას ეყრდნობოდნენ, ვიდრე ტრადიციულ ცოდნას. დადას სტილის ყოველ ხელოვნების ნიმუშს მნახველისთვის შოკი უნდა მოეგვარა. იმის მიუხედავად, რომ თავად ძალიან «მხატვრული» სულაც არ იყო, მას ეჭვქვეშ უნდა დაეყენებინა ჩვენი წარმოდგენა მხატვრობის შესახებ.

ფრანგმა დადაისტმა მარსელ დუშანმა გაუკვლია და დაუსახა გზა კონცეპტუალისტებს, შექმნა რა მაგალითები, პროტოტიპები კონცეპტუალური ნამუშევრების, მაგალითად «რედიმეიდები» (ინგლ. მზა საგანი). დუშანის ყველაზე ცნობილი რედიმეიდეია «ფანტანი». სტანდარტული პისუარი, აი ისეთი, საზოგადოებრივ საპირფარეოებში რომაა მრავლად, ხელმოწერილი მის მიერ, ფსევდონიმით «r. mutt» და წარდგენილი «დამოუკიდებელი მხატვრების საზოგადოება ნიუ იორკში»-ს მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე. დუშანის «რედიმეიდი» (რომელიც ახლა ლუვრში განისვენებს) გამოფენაზე არ დაუშვეს. პირობების თანახმად, განაცხადა ჟიურიმ, ჩვეულებრივ პისუარს ვერ ვუწოდებთ ხელოვნებას, რადგან ის არ შექმნილა ხელოვანის მიერ, ან არ შექმნილა იმ განზრახვით, რომ ეს იქნებოდა ხელოვნების ნიმუში. ის არ არის უნიკალური და არ

აქვს ის ვიზუალური თავისებურებები, რაც უნდა ჰქონდეს ტრადიციულ, ოსტატის ხელით გაკეთებულ ხელოვნების ობიექტსო. სწორედ ამისკენ ისწრაფოდა დუშანი. მან ასეთი ღვთაებრივი ცინიზმით, საუკუნის მანძილზე გაბატონებულ შეხედულებას ხელოვნების შესახებ – დაუპირისპირა უბრალო «პისუარი». დაუპირისპირა «პისუარი იმ იდეას, რომ ხელოვნების ნიმუში უნიკალური უნდა იყოს და მხოლოდ ხელოვანმა შექმნა (რითიც ნებით და უნებლიედ საფუძველი ჩაუყარა მთელი მეოცე და აწ უკვე ოცდამეერთე საუკუნის ხელოვნებას და მათ შორის ლიტერატურასაც თუ გავითვალისწინებთ პოსტ-მოდერნიზმის «რემინისცენსიულობას» და ამ «გახსენებების» თითქმის პლაგიატიზმამდე მისვლას. პლაგიატი ერთი შეხედვით, თორემ სინამდვილეში პლაგიატზე აქ საუბარი ზედმეტია, რადგან კონტექსტის საშუალებით ესა თუ ის პროდუქტი სულ სხვა რამედ იყო ქცეული, თუნდაც მთლიანი წიგნი ერთი დიდი ციტატა ყოფილიყო. რემინისცენსიის მშვენიერი მაგალითია ჯოისის «ულისე».) დუშანის თქმით, ხელოვანის იდეები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მისი ნამუშევრები. მან თქვა: მნიშვნელობა არა აქვს, საკუთარი ხელებით შექმნა მისტერ მუტტმა შადრევანი თუ არა... მან ის აირჩია... და შექმნა ამ ნივთთან დაკავშირებული ახალი აზრი. დუშანის იდეოლოგიური ნათესაობა და თეორიული მნიშვნელობა შემდგომში დაბადებული «კონცეპტუალისტებისთვის», პირველად გააჟღერა ამერიკელმა მხატვარმა ჯოსეფ კოსუტმა 1969 წელს მის ესსეში «ხელოვნება ფილოსოფიის შემდეგ». ის წერდა: «მთელი ხელოვნება (დუშანის შემდეგ) არის კონცეპტუალური (ბუნებით), რადგან ხელოვნება მხოლოდ კონცეპტუალურად არსებობს».

კონცეპტუალური ხელოვნების ჩამოყალიბება, როგორც მოძრაობა დაიწყო 1960იან წლებში. იმ დროისთვის გავლენიანი ნიუ-იორკელი არტ-კრიტიკოსი კლემენტ გრინბერგი მიიჩნევდა, რომ ნაწილობრივ ეს იყო რეაქცია, მიმართული ფორმალიზმის წინააღმდეგ. 1961 წელს ტერმინი «კონცეპტუალური ხელოვნება» პირველად გაჟღერდა ჰენრი ფლინტის სტატიაში ფლუქსუსის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჯოზეფ კოსუტმა და ინგლისური ენის და ხელოვნების ჯგუფმა ამ კუთხით მუშაობა დაიწყო, ტერმინის თავდაპირველი მნიშვნელობა შეიცვალა. ისინი უარყოფდნენ კონვენციური ხელოვნების ობიექტს გამოქვეყნებულ კრიტიკულ კვლევებში არტისტის სოციალური, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური სტატუსის შესახებ. უფრო სწორედ, ასეთი სტატუსის უარყოფის შესახებ. 1970-75 წლებისთვის მათ ანგარიშზე მიითვალეს ამ მოძრაობისადმი მიძღვნილი უამრავი პუბლიკაცია, ფერფორმანსი, ტექსტი, ტილო და ინსტალაცია. სწორედ 1970 წელს შედგა «კონცეპტუალური ხელოვნება და კონცეპტუალური ასპექტები», პირველი კონცეპტუალური «გამოფენა» ნიუ-იორკის კულტურულ ცენტრში.

კონცეპტუალური ხელოვნება მიმართულა ზოგადად ხელოვნების, როგორც ფუფუნების საგნის წინააღმდეგ. ის გმობს მუზეუმებს და გალერეებს. ეს ის ადგილებია, სადაც განისაზღვრება ხელოვნება – ამბობენ კონცეპტუალისტები – არანაირი მუზეუმები და არანაირი ხელოვნების ბაზრები. არაფერი ის, რაც მიითვისებს ხელოვნებას და მოახდენს მის დისტრიბუციას. ლორენს ვეინერის სიტყვებით: «როცა შენ იცი ჩემი ნაშრომი – შენ ფლობ მას. ვერასგზით ვერ შეგიძვრები თავში და ვერ ამოგაცლი». ზოგი კონცეპტუალისტის პროდუქტი საერთოდ შეუძლებელია ნახო პირდაპირი გაგებით. შეგიძლია უბრალოდ იცოდე მის შესახებ იმ დოკუმენტაციის საშუალებით, რომელიც მანიფესტირებულია თავად პროდუქტის მიერ. მაგალითად ფოტოსურათები, ნაწერი ტექსტები და გამოსახულებები რომლებზეც ზოგიერთმა კრიტიკოსებმა შეიძლება თქვან, რომ

ისინი თავისთავად არ წარმოადგენენ ხელოვნების ნიმუშებს. გვხვდება ნიმუშები (მაგალითად რობერტ ბერი, იოკო ონო, ლორენს ვეინერი) რომლებიც დაყვანილია ნიმუშის აღმწერ უბრალო ინსტრუქციებამდე, ხორცშეუსხმელ მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა მიგვანიშნებს, რომ იდეა არის გაცილებით მნიშვნელოვანი ვიდრე არტიფაქტი.

(მინაწერი: «ეს არის ირის კლერტის პორტრეტი თუ მე ასე ვიტყვი». – რობერტ როშერბერგი)

კონცეპტუალური ხელოვნების პირველი ტალღა გაგრძელდა დაახლოებით 1967-დან 1978-მდე. ამ წიაღში დაბადებულმა კონცეპტუალისტმა ავტორებმა – ჰენრი ფლინტმა, რობერტ მორისმა, რეი ჯონსონმა – გავლენა მოახდინეს შემდგომში ფართოდ მიღებულ კონცეპტუალისტებზე, როგორებიც იყვნენ დენ გრაჰემი, ჰანს ჰააკი და დუგლას ჰებლერი.

**ახლა ცოტათი უფრო შევაფიქროვოთ ჩვენი ძებნის არეალი და ვისაუბროთ კონკრეტულად მწერლებზე – კონცეპტუალისტ მწერლებზე.**

«როცა მე პირველად ჩავერთე ამ საქმეში, შუა 1960-იანებში, მე იმედი მქონდა ახალი სტარტის, საფუძველი ჩამეყარა დასაწყისის დასაწყისისთვის – როგორც დადას მამების მიერ ციტირებული დეკარტეს სიტყვებშია, «ჩვენამდე არავინ იყო». ეს ნიშნავდა იმდენად არა ისტორიის წაშლას რამდენადაც მისი შესაძლო ექსპანსიის შეჩერებას შემდგომში. ეს ნიშნავდა გაბრძოლებას წარსულის მემკვიდრეობის წინააღმდეგ, მსგავსი გაგებების და მათი ფესვების კითხვის ქვეშ დაყენებას. სფერო რომელიც მე გამოსაკვლევად ავირჩიე იყო პოეზია. პოეზიის იდეა – ენა და რეალობა, ერთდროულად, რომელიც მოსვენებას არ მამლევდა ჩემი პირველი პოეტური მცდელობების დღიდან. მემკვიდრეობით მიღებული თვალსაზრისები, რომლებთანაც შეგუება უკვე შეუძლებელი გამხდარიყო, იყო ერთადერთი დეკლამირებული შეხედულება პოეზიაზე. ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ლექსებმა ანუ თავად ფაქტებმა გაგვანდეს – იყო გააზრება იმისა, რომ პოეზია, ისევე როგორც ენა, არსებობდა ყველგან: ძლევამოსილი, რთული, თავისი სავარაუდო საწყისებიდანვე. ნათელი ხდებოდა, რომ პოეზია არა ფუფუნება, არამედ ნამდვილი აუცილებლობა იყო ჯერომ როთენბერგი. წინა-სახე (1984).

გარღვევები ბოლო ასწლეულის მანძილზე პოეზიაში და სხვა ყველგანაც ნიშანდობლივი იქნა ახალი მიდგომებით პოეტურ ენასთან და წარმოდგენასთან. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ექსპერიმენტატორი მწერლების რამოდენიმე თაობის შრომას, დაწყებული დადა-მამებისგან: ტრისტან ცარა და არტონენ არტოსგან.

რა არის პოეზია? მე ამაზე საკუთარი პასუხი მაქვს, რომელსაც აუცილებლად ვეტყვი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მაგრამ მოდით შევეშვათ ამ მარადიულ კითხვებს, მით უმეტეს, რომ მათ არაფერი საერთო არ აქვთ ამ სტატიასთან. ჩვენ არ გვინტერესებს რა არის პოეზია. გვინდა თუ არა ჩვენ ეს – ის არსებობს, ამიტომ ნუ გადავიტვირთავთ თავს ზედმეტად. თუ უფრო პრაგმატულად მივუდგებით საკითხს – სინამდვილეში ჩვენ გვინტერესებს რას გვეუბნება პოეზია და როგორ გვეუბნება. რას გამოხატავს და როგორ გამოხატავს.

პოეზია გამოხატავს ადამიანის ემოციონალურ სიმართლეს, გარკვეული იარაღი ალესილი მგრძნობიარე ინდივიდების მიერ, რომელიც მეტაფორას და მხატვრულ სახეს (ან ნებისმიერ გამოსახულებას) – სიმღერის სამსახურში აყენებს.

ყოველ შემთხვევაში ასე ჟღერს რომანტიციზმის მიერ მემკვიდრეობით დატოვებული ლეგენდა, აგერ უკვე 200 წლის მანძილზე კარიკატურულად გამოსახული და მუმიფიცირებული ეთოსი. და თითქოს მას კვლავაც აქვს სიცოცხლის ნიშნები ორსაუკუნოვანი რადიკალური სოციალური ცვლილებების შემდეგ. ეს ლეგენდა თითოეულმა ჩვენგამა ისე კარგად იცის, რომ მისი ერთ დროს ავანტ-გარდული ფორმულირება უილიამ უორდსუორთის მიერ კვლავაც ახლობელია, მიუხედავად მისი პირველყოფილი «მანიფესტური» ტონის მოძველებისა.

«როგორც მე უკვე ვთქვი», იმეორებდა იგი, «პოეზია არის ძლევამოსილი გრძნობების სპონტანური გადმოღვრა; ის იღებს სათავეებს სულში მოგროვებული ემოციებისგან».

მაგრამ როგორ გამოიყურება არაექსპრესიული პოეზია? პოეზია, უფრო ინტელექტის, ვიდრე ემოციის? პოეზია, რომელშიც მეტაფორული და სახეობრივი შენაცვლებების მაგიერ გვთავაზობს ენის პირდაპირ პრეზენტირებას, მთელი მისი აუთვისებელი სიღრმეებით და სიმაღლეებით, ზემოთხსენებული «სპონტანური გადმოღვრის» გაძევებით წვრილმანი პროცედურების და ამომწურავად ლოგიკური პროცესის მიერ? პოეზია, რომელშიც პოეტის პატივმოყვარე ეგო შეცვლილია თავად ლექსის თვითმართვადი ენით, ერთგვარი ხელოვნური ინტელექტით? ისე, რომ პოეზია გამოიცდებოდეს არა კითხვით «შეიძლებოდა ამის უკეთესად გაკეთება»? («სახელოსნოს» შეკითხვა. საუბარია უორქმოფზე) არამედ ასე: შეიძლებოდა ამის სხვაგვარად გაკეთება? ან ალქმით დონეზე სხვაგვარად გაკეთება?

ამგვარი პროდუქტი ცხადად გვაჩვენებს ერთგვარ დამაბულობას მატერიასა და ცნებას შორის, ანუ მატერიალურსა და კონცეპტუალურს შორის. ისინი თითქოს ცდილობენ შეარიგონ მოდერნისტიები, მათ მიერ ხაზგასმული – ხელოვნების მასალით (ხშირ შემთხვევაში ეს ნიშნავს თავად ენის წარმოდგენას მასალად) და პოსტ-მოდერნისტული გაგება თეორიულად აგებული ხელოვნების, რომელიც თავისუფალია ჟანრისგან და აქედან გამომდინარე ლექსს შეიძლება ჰქონდეს მეტი საერთო რომელიმე მუსიკალურ პროდუქტთან ან ფილმთან ან სკულპტურასთან, ვიდრე სხვა ლირიკულ ნაწარმოებთან. ამრიგად, ეს ნაშრომები გვახსენებენ რომ ხელოვნების ობიექტის დემატერიალიზაციას, დაწყებულს გვიან 1960-იანებში და ადრეულ 70-იანებში თან სდევდა ენის რე-მატერიალიზაცია: «ენა როგორც ნივთიერი ყოფა, როგორც «ნაბეჭდი ნივთი», მატერია – ინფორმაცია, რომელსაც აქვს ფიზიკური ყოფის ნიშანი» – თქვა რობერტ სმითსონმა – ენის ჩემეული შეგრძნება სწორედ ასეთია. არა მატერია და არა იდეა, არამედ «ნაბეჭდი ნივთი». ვფიქრობ, სმითსონი გულისხმობდა ენის (ამ შემთხვევაში ცნების) მატერიალიზებას, მხოლოდ მასზე ჩატარებული გარკვეული ინტელექტუალური, კოგნიტური ოპერაციების შედეგად. ეს არის აუცილებელი და საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ენა ნივთიერ მდგომარეობაში სრულფასოვნად შედგეს. მგონი ზედმეტად განზოგადებული იდეაა და ამიტომ შევეცდები მეტი თვალსაჩინოებისთვის ჩვენს განსჯის ობიექტს მოვარგო. სწორედ აქედან იხსნება კვანძი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე «კონცეპტუალური მწერლობის» ნიმუშები (შეგნებულად არ ვიძახი პოეზიას) არ არის მწერლობა, რომელშიც აზრი (იგივე ფაბულა, მორალი, დედააზრი) უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სხვა ყველაფერი, ესაა მწერლობა სადაც აზრი განუყოფელია თავად ნაწერისგან: ნაწერის აზრი არის რთულად, აბურდულად გადაჭდობილი თავად წ ე რ ი ს იდეას, ეკრიტურის ერთგვარი მატერიალური პრაქტიკა.

კონცეპტუალიზირებული მწერლობა ამ გზით გვაბრუნებს, ჩვენდა გასაკვირად – პოეზიის ფორმებთან. მაგრამ არა ფორმებთან – მსგავსი სონეტებისა, ან ოთხტაეპიანი ლექსებისა, შესაბამისი მახვილების და რითმული სქემებით. ამის მაგივრად კონცეპტუალური მწერლობის ახალი ფორმები და სტრუქტურები იხსენებენ და იწვევენ შეგრძნებებს – გამოგონების, იძულების, პერვერსიის, რომელსაც თუნდაც სონეტიც ოდესღაც განასხეულებდა. კონცეპტუალური მწერლობა არის ახალი «ახალი ფორმალიზმის» მწერლობა, შორს ლუსი ლიპარდის პერიოდის რელიკვიის მდგომარეობისგან, რომელიც ლიპარდმა აღწერა თავის შეუფასებელ «ექვს წელიწადში» (1966-იდან 1972-მდე), რომელმაც თავის მხრივ დაახასიათა ყველაზე «მკაცრი» და ამალეღვებელი ოცდამეერთე საუკუნის კონცეპტუალისტი არტისტები (შეგნებულად არ ვიძახი პოეტებს), როგორცაა დენ ფარელი და მონიკა დე ლა ტორე.

ახლა, ყველამ ერთად გავიხსენოთ უორდსუორთის სიტყვები: პოეზიის ფორმა არის ის ფორმა, რომელიც «თავისთავად არსებობს გონებაში».

წავიდეთ უფრო წინ. წინ ციფრული ეპოქისკენ, რომლის ათვისებაც პოეზიამ უკვე მოახერხა.

პოეზიის ისტორიული მოძრაობა პოეტური ხაზიდან – ვიზუალური, ლინგვისტური კონსტელაციისკენ ხდებოდა კომპიუტერების მოძრაობის პარალელურად, ბრძანებითი ხაზის ინტერფეისიდან – გრაფიკულ ინტერფეისამდე. პოეზიაში არსებული დინამიზმით და ჰიპერსივრცით, კონცეპტუალისტი პოეტებს, თითქოს, ერთი სული ჰქონდათ როდის შეაღწევდა მულტიმედია მათ პრაქტიკაში, მანამდეც კი, სანამ ეს ტექნოლოგიები საერთოდ არ არსებობდა და საერთოდ, სანამ ვინმე დაუშვებდა მისი გაჩენის ალბათობასაც კი.

და ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობამდე სხვა რა გზა ჰქონდათ მათ – ისევ და ისევ ფურცელი; ახლა უკვე ადვილი მოსაძებნია ნიმუშები ინტერნეტში; მდიდარი ტრადიცია ბოძებული ელექტრონული ფორმის პიონერებისგან 1950 წლიდან; სულ უფრო ბევრი არტისტი ფუძნდება ქსელში და მრავალი მათგანი თავისდა უნებურად, ხდება პრაქტიკანტი კონცეპტუალისტური დამწერლობისა, მაშინ როცა პოეტური ენის დინება მიიწევს გრაფიკული ინტერნეტ-ქსელიდან ამოფესვილი ენობრივი ინსტიტუტების წინა ხაზისკენ.

ასეთი პროდუქტები შეუძლებელია ნაჩვენები იყოს ქალაქზე სტატიკურ ფორმაში. ესაა დაქვემდებარებული ტექსტი, გამოსახულება, ან ტექსტს პლიუს გამოსახულება დინამიური გზებით – ჯავა, ფლეში, უკანა ხაზის პროგრამირება, ან მარტივი ანიმაცია; ვებ-ტექნოლოგიები განაგრძობენ განვითარებას; ვნახოთ რა იქნება შემდეგ. დღეს ჩვენ უადრესად საინტერესო ძვრების უშუალო მომსწრნი ვართ.

როგორც იტყოდა გერტრუდ შტეინი (არაზუსტი ციტატა): ყველაზე ამალეღვებელი ამ ყველაფრის შესახებ არის ის, რომ, როცა ახალია თან ძველიც არის და როცა ძველია – ახალი. მაგრამ ყოველ ჯერზე ეს სულ სხვა გზით ხდება, განსხვავებული გზით, ჩვენი გზით.

**სხვა სიტყვებით განვსაზღვროთ და შევაჯამოთ ეს ყველაფერი.** კონცეპტუალური ავტორის ლექსი არის რაღაც სიმბოლური ნიღაბი, რომელიც გვიჩვენებს ენის და რეალობის ჭეშმარიტ ბუნებას, სადაც ხაზგასმულია წესრიგი (ან უწესრიგობა) რაღაცეებისა, რასაც ჩვეულ ცხოვრებაში ქაოტურად და არაპროგნოზირებადად მივიჩნევთ. უცნაურია, მაგრამ შორეული და საბოლოო რეალობის საჩვენებლად «ნიღბების» გამოყენება უნივერსალური შამანური პრაქტიკაცაა.

კონცეპტუალური ნაწარმოების მკითხველი სულ სხვა, განსხვავებული სტრატეგიით უნდა მიუდგეს საქმეს და არა ისე, როგორც მიეჩვია სტანდარტული ნარატივის კითხვისას. ტექსტი შეიძლება გამოიყურებოდეს ქაოტურად და გაუგებრად. მეტსაც გეტყვით: შეიძლება რომელიმე ასეთი ნაწარმოებთაგანი გამოიყურებოდეს ისე, თითქოს ის შეიცავს რაღაც მესიჯს, რომელიც გეუბნება: ნაწარმოების «გაგება» ილუზიაა – ტრიუკი, რომელსაც ავტორი უტარებს მკითხველს. ეს სხვანაირი ნაწარმოებია. ის არ გეტყვის «შეცვალე შენი ცხოვრება», როგორც რილკეს ფორმულა გეტყოდა. არა. ის უბრალოდ გაჩვენებს რა არის შენი ცხოვრება, სად ხარ ახლა. და რასაც გაჩვენებს არის ის, რომ რეალობა უსასრულოდ რთული და მუდმივად ცვალებადია. რომ არ არსებობს უეჭველი აზრი ამ ტექსტის, მოჭრილი ფაბულა ამ ტექსტის, ან ამ ცხოვრების, ან ამ სამყაროსი. რომ შენ უნდა მიიღო და გაითავისო მრავალაზროვნება ყველაფრისა და რომ ვერასოდეს დანამდვილებით ვერ შეიცნობ ამ ყველაფერს. კონცეპტუალისტი ჯიმ ლეფტვიჩი ამბობს: «თუ თავდაპირველად ენა არის შემთხვევითი წარმომადგენელი ჩვენს თვალსაზრისებში ცხოვრების შესახებ, შემგომში ის თავად ხდება აუცილებელი იარაღი მისდამი მიდგომის შეცვლისა». ანუ თუკი ენა გამოიყურება ლოგოკლასტიკურად, მაშინ ადამიანმა იმგვარად უნდა შეცვალოს კითხვასადმი მიდგომა, რომ დამსხვრეულის გამთელება შესძლოს. ასეთი მატერიალის წაკითხვა მოითხოვს გრძნობის თითოეული ორგანოს ბოლომდე გახსნას, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია. კინუ შეეცდებით მის კროსვორდით «ამოხსნას», არამედ მიიღეთ მისი ჟღერადობა, ვიზუალური მხარე, ტექსტურები, მნიშვნელობა და სიტყვების რეზონანსი. ხომ ხედავთ, შეუძლებელია ეს პოეზიად იწოდებოდეს; ეს გაცილებით მეტია, ვიდრე პოეზია. ამდენად, კითხვა არსებობს თუ არა კონცეპტუალური პოეზია კვლავაც პასუხგაუცემელი რჩება. ოპტიმალური პასუხი ასე ჟღერს: კი და არა.

ახლა ცოტა ხნით ჩამოვრჩეთ ავანტ-გარდს, ოღონდ იმდენად არა, რომ თანამედროვე პოეზიაც უკან მოვიტოვოთ. საინტერესოა ქართულ (და არა მარტო) კონტექსტში რანაირად შეიძლება პოეტისთვის ვარირება ამ სივრცეში, ისე რომ, არც ავანტ-გარდამდე მივიდეს, ანუ არც საშუალო სტატისტიკური აღქმითი უნარების მქონე მკითხველი ჩამოიშოროს და ამავე დროს, არც დაკარგოს დღევანდელი პოეტური დროის ადეკვატურობა. დავსახოთ მოცემულობა. რა განწყობით უნდა მიუდგეს ავტორი ლექსის წერას? ეს კითხვა ქართული ლოკალური სივრცისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ქართველი არტისტები არ არიან განებივრებული იმ ტექნიკური საშუალებებით, ან ინფორმაციით, ან კავშირებით სხვა თანამედროვე მიმდინარეობების თანამედროვე წარმომადგენლებთან (ეს უკანასკნელი ძალზედ მნიშვნელოვანია, როცა საუბარი მიდის კი არა, უკვე მოცემულობაა საზღვრებწაშლილ არტ-სივრცეში მოღვაწეობა, თანამშრომლობა, რათა ნაწარმოებმა თანამედროვე არსებობისთვის აუცილებელ არტ-მასშტაბებს მიაღწიოს. ასეთი «ჟანრობრივი კავშირების» საუკეთესო ქართული მაგალითია, კარლო კაჭარავა და დავით ჩიხლაძე, რომელთა პოეზიის საკვებიც მთლიანად მხატვრობა იყო. ასევე დათო ბარბაქაძე. მის ლექსებში თითქმის შეუძლებელია გამიჯნო სად მთავრდება პოეზია და სად იწყება ფილოსოფია).

ზევით დასმულ კითხვაზე პასუხი უკვე არსებობს, რომელიც საუკეთესოდ ჩამოაყალიბა დევიდ სიმენმა. დღეს ლექსი, თავისი ფუნქციონალური და კოსმიური თვალსაზრისით უნდა იყოს – ობიექტი და არა ენერჯის ცენტრი. ეს ნიშნავს, რომ კრეატიული, შემოქმედებითი აქტი თავად ხდება ლექსი. მაშასადამე, ეს პოეზია არ არის ექსპრესიონისტული, რადგან მას უნდა არა კომუნიკაცია (დააკავშიროს



რადაცები), არამედ შექმნას რადაცები. თუმცა გამომდინარე ენერგიიდან, რომელიც კონცენტრირებულია ლექს-ობიექტში, ეს ქმნილება თვითონ ხდება კავშირი საკუთარი "ყოფნით". ამ პოეტური თეორიის დასკვნითი ნაწილია შეუმჩნეველი პოეტი დასახლებული ლექსში, რომელიც ელოდება გამოათავისუფლოს ენერგია კრეატიული მკითხველისთვის. (არა საკუთარ თავზე ორიენტირებული პოეტი, მანიაკალური ეგოთი, ეგოცენტრისტი როგორც უნდა ყოფილიყო აქამდე). ლექსი, როგორც ლინკი, ჩატეხილი ხიდი მკითხველის გონებასა და ავტორის გონებას შორის, რომელიც მკითხველმა თავად უნდა ამოაშენოს. ავტორი ამბობს ინსტრუქციებს, ხოლო ლექსს თავად მკითხველი წერს კითხვის პროცესით. ზოგჯერ თითოეული სიტყვა დაკავშირებულია სხვა ყველა სიტყვასთან, მეტიც, საერთოდ ყველა გრძნობასთან და ცნობიერულ სახესთან, რაც შეიძლება ადამიანს გააჩნდეს.

ხოლო რაც შეეხება პოეტურ ავანტ-გარდს, რომელიც მთლიანად კონცეპტუალიზმმა დაიქვემდებარა, მისი მეორე ტალღა მოძრაობს გრაციოზულად და მიზანდასახულად. მკითხველს შეუძლია შეუერთდეს მას თუ გადადებს გვერდზე საკუთარ პრეკონცეფციებს, «ცუდ-წარმოდგენებს» ლიტერატურის რაობის შესახებ. იბადება კითხვა: რა ეფექტი ექნებათ ამ მწერლებს ზოგადად ენაზე. თუ თქვენ - ენას მიიჩნევთ ძირითად მედიუმად ადამიანურ კულტურაში, ეფექტი შეიძლება განიმარტოს, როგორც ოკეანე, რომელშიც კულტურა და კაცობრიობა არსებობს. ის თავად კულტურაა. ნებისმიერ დროს, როდესაც ადამიანი საუბრობს, წერს, ფიქრობს ან ნებისმიერი სხვა გზით ლინგვისტურად ფუნქციონირებს, ხდება რაღაც მოვლენა წყალში, რომელიც მეტ-ნაკლებად ქმნის გარკვეულ დინებებს და ცვლილებებს მთელი ოკეანის მასშტაბით, როგორც ტბორში ჩაგდებული კენჭი. ამ არტისტების ნაშრომები, თავისი მასით, არის როგორც მთელი კუნძული, რომელმაც შეცურა ენების ზღვაში და გავლენას ახდენს მის თითოეულ სანტიმეტრზე. წარმოქმნილი ტალღები იშლებიან ყველა მიმართულებით. ისინი აუცილებლად მოაღწევენ და მოიძვიან გარკვეულ ეფექტებს თითოეული ჩვენთაგანის «პერსონალურ ენაში».

მაშ ასე, რა დავარქვათ ამ მოვლენას, ჯგუფს თუ მოძრაობას? საერთოდ შეიძლება ისინი მოვიაზროთ ჯგუფად და მოძრაობად, როგორც იყო მაგალითად ბიტნიკური მოძრაობა თაობების წინ? ბიტ თაობა მეტწილად გარკვეული მედია-კონცეპტი იყო. ეს მწერლები სინამდვილეში შესამჩნევად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ძირითადი მახასიათებლებით და საერთოდ დამოკიდებულებებით. პრინციპში იგივე შეიძლება ითქვას ამ მეორე, უკვე ციფრულ ტალღაზე, ციფრულ თაობაზე. თუმცა ის მედია მასშტაბები და ცნობადობა ამ ავანტ-გარდისტებს არ გააჩნიათ პოპულარულ მედიაში. ეს სწორედ ის მდგომარეობაა, რომელიც ირონიულად ერგება მათ თვალსაზრისებს ამ ერთგვარი «პოეტური ეგოს» განადგურების შესახებ. იმედია, ეს სტატია დაეხმარება ქართველ მკითხველს მოახდინოს იდენტიფიკაცია ამ «ბ ა ი ტ ნ ი კ ე ბ ი ს ა» თუ «მეგა-ბიტნიკებისა» (სახელი თქვენ თვითონ მოუფიქრეთ).

ასე რომ, სტატის პროლოგში დასმულ კითხვაზე პასუხი გაუცემელი დარჩა. სათაურიც ისევ აქტუალური რჩება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუძლებელია ასეთი ნაწარმოებები პოეზიად იწოდებოდეს. ეს გაცილებით მეტია ვიდრე პოეზია და ნაკლები ვიდრე მთლიანი არტ-სივრცე. უახლოესი 50 წელიწადი ყველაფერს დაგვანახებს და სათანადო დეფინიციებს მიანიჭებს მათ, ხოლო ამ ეტაპზე მოვიქცით ისე, როგორც ჩემს ერთ-ერთ ლექსშია: დაბრუნდით იქ, საიდანაც დავიწყეთ, მაგრამ ბოლომდე შევიგრძენით მთელი ამ გზის მშვენიერება.

